საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 მარტი **ოთხშაბათი** 2012
№055(13661) ფასი 80 თეთრი




# სწრაფი გოლი იყო, იღბალი არა

## ვან პერსის ეს რომ გაეტანა...



# მოურინიოს ულტიმატუმი ჩელსის: 12 მილიონი და რონალდო!

**ჟოზე მოურინიო მზად არის, ოღონდ 12 მილიონ ფუნტსა და კრიშტიანო რონალდოს გადაბირებას ითხოვს...**

**შვეიცარიული პრესის ცნობით, რომან აბრამოვიჩი ჟენევის ერთ-ერთ სასტუმროში იოახიმ ლიოვს შეხვდა და ევრო 2012-ის შემდეგ „ჩელსის" გაწვრთნა შესთავაზა...**



# რუსისთვის უფორმო ბენფიკაც საკმარისია




ჩემპიონთა ლიგა

9

ეროვნული ბიბლიოთეკა



დანიშვნა

# U 19-ს კორღალიძე ხელმძღვანელებს

## ნაკრების ბირთვი უცვლელი დარჩება



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, რომელიც მაისში ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში იასპარეზებს, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გუნდი ოთარ კორღალიძეს ჩააბარეს. შეგახსენებთ, რომ კორღალიძემდე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გიორგი დევდარიანი თავკაცობდა (რომელიც იანვარში თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახდა); თუმცა ამ ცოტა ხნის წინ დევდარიანმა საგანგებო განცხადება გააკეთა და თანამდებობიდან გადადგა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს, ოთარ კორღალიძეს გუშინ მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- რა გეგმებით მოდიხართ ნაკრებში, რა ცვლილებებს გეგმავთ?**

- არა მგონია, დიდი ცვლილებები საჭირო იყოს. ძირითადი ბირთვი იგივე დარჩება, რაც შესარჩევ ციკლში იყო. დანარჩენი კი სამუშაო პროცესში გამოჩნდება. გარკვეული ცვლილებები მხოლოდ სამწვრთნელო შტაბში იქნება.

**- ვინ იქნებიან თქვენი ასისტენტები?**

- გადაწყვეტილი მხოლოდ ისაა, რომ ლევან ბარათაშვილი დამეხმარება, მეკარეთა მწვრთნელის კანდიდატურაზე კი ჯერ ისევ ვფიქრობთ.

**- 19-წლამდელების ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებიც გიორგი დევდარიანის ხელში გაიზარდნენ, მათი უფროსი მეგობარიც იყო და ასეთი გუნდის გაძღოლა, ალბათ, საკმაოდ ფაქიზი საქმეა.**

- ცხადია, ამაზე ვფიქრობდი, როდესაც ფედერაციამ ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზა. მაგრამ მეც არ ვარ გადამთიელი, მოთამაშეებთან ასევე მეგობრული და იმავე საფეხბურთო პრინციპების მიმდევარი ვარ.

**- საკონტროლო მატჩები თუ დაგეგმეთ?**

- პირველ შეკრებას 12 ან 13 მარტს თბილისში დავიწყებთ, 20 მარტს კი კვიპროსში ამ ქვეყნის 19-წლამდელებს შევხვდებით. მეორე შეკრება გვექნება აპრილში, სავარაუდოდ, 20 აპრილს პორტუგალიაში გავემგზავრებით და მეორე ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ.

**P.S.** შეგახსენებთ, რომ უეფას შტაბბინაში ჩატარებულ წილისყრაზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ჯგუფში მოხვდნენ ხორვატია, ავსტრია და ბოსნია. ტურნირს კი 25-30 მაისს ხორვატია უმასპინძლებს.

### ოთარ კორღალიძე დოსიე



*დაიბადა თბილისში 1959 წლის 2 სექტემბერს. იყო საკმაოდ წარმატებული მოთამაშე და ქართველი ფეხბურთელებიდან, ალბათ, ყველაზე მეტ კლუბში უთამაშია. 23-წლიანი კარიერის განმავლობაში 11 ქართული და უცხოური კლუბის ფორმა მოურგია, კარიერა კი 41 (?!) წლის ასაკში დაასრულა.*

*ბევრისთვის უცნობია, რომ ჩვენმა თავდამსხმელებმა ევროპულ ლიგებში საუკეთესო შედეგი ორჯერ აჩვენეს: 1991-92 წლების სეზონში მეტოქეთა კარი ოთარ კორღალიძემ 40-ჯერ აიღო, შემდეგ სეზონში კი მერაბ მეგრელაძემ - 41-ჯერ. მაგრამ "ოქროს ბურთის" პრიზი 5 წელიწადი არ თამაშდებოდა და ამის გამო კორღალიძე-მეგრელაძეს ეს პოპულარული ჯილდო არ მიუღიათ.*

**მოთამაშის კარიერა**

| | | |
|---|---|---|
| 1977 | გურია (ლანჩხუთი) | 18 (3) |
| 1980 | დინამო (თბილისი) | 0 (0) |
| 1981 | ლოკომოტივი (თბ) | ? (?) |
| 1982-1986 | ტორპედო (ქუთაისი) | 154 (42) |
| 1987-1988 | დინამო (თბილისი) | 29 (4) |
| 1988-1989 | გურია (ლანჩხუთი) | 57 (8) |
| 1990-1992 | გურია (ლანჩხუთი) | 84 (75) |
| 1992-1993 | ალაზანი (გურჯაანი) | 27 (23) |
| 1993 | გურია (ლანჩხუთი) | 5 (4) |
| 1993-1994 | კაზინო (ავსტრია) | 3 (0) |
| 1994-1995 | ვინერი (ავსტრია) | 17 (3) |
| 1995 | დინამო (თბილისი) | 5 (1) |
| 1995 | ნეფთჩი (ბაქო) | 4 (2) |
| 1995-1996 | ფლორა (ესტონეთი) | 8 (3) |
| 1996 | გურია (ლანჩხუთი) | 13 (2) |
| 1997 | ოდიში (ზუგდიდი) | 3 (0) |
| 2000 | კურესაარე (ესტონეთი) | 1 (0) |

**სამწვრთნელო კარიერა**

**1997-99** - „არსენალი" თბილისი (მთავარი მწვრთნელი)
1999-2000 - „დინამო" თბილისი (მთავარი მწვრთნელი)
2000-01 - „ფლორა" ტალინი (ასისტენტი)
2001-02 - „ლოკომოტივი" თბილისი (ასისტენტი)
2002-04 - „დინამო 2" თბილისი (მთავარი მწვრთნელი)
2003-04 - საქართველოს 19-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი
2005-06 - „კახეთი" თელავი (მთავარი მწვრთნელი)
2006-08 - „ზოოვეტი" თბილისი (მთავარი მწვრთნელი)
2008-09 - „სიონი" ბოლნისი (მთავარი მწვრთნელი)
2009-10 - „ოლიმპი" რუსთავი (მთავარი მწვრთნელი)

იმედი



ბაჩანა არაბული

# ითამაშებს არაბული ელიტ რაუნდში?

2010 წლის შემოდგომაზე **კობა ჟორჟიკაშვილის** გაწვრთნილმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი წარმატებით ჩაატარა, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ელიტ რაუნდში გავიდა.

სამწუხაროდ, ქართველმა ბავშვებმა ელიტრაუნდში წარუმატებლად იასპარეზეს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც გუნდის ლიდერის, **ბაჩანა არაბულის** უთამაშებლობა იყო - ნიჭიერმა თავდამსხმელმა შარშან მარტში, ელიტრაუნდამდე რამდენიმე დღით ადრე წინა ჯვარედინი იოგები დაიზიანა.

მას შემდეგ არაბულს აღარ უთამაშია. თავიდან ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ჯვარედინი მყესები არ ექნებოდა გაწყვეტილი, მაგრამ ბაჩანას ოპერაცია დასჭირდა, რომელიც შტუტგარტის კლინიკაში ჩაუტარდა და სარეაბილიტაციო პერიოდიც გერმანიაში გაიარა.

18 წლის თავდამსხმელი ახლა თბილისშია: *"ვარჯიშის გეგმა გერმანელმა ექიმმა გამომიწერა და რეაბილიტაციის კურსსაც მისი ზედამხედველობით გავდივარ. ახლა მსუბუქად ვვარჯიშობ, მაგრამ რეაბილიტაციის ეტაპი არ დამისრულებია. ექიმი მალე მეტყვის, როდის გადავიდე სრულ დატვირთვებზე".*

სად ითამაშებს ტრავმის მოშუშების შემდეგ 18 წლის თავდამსხმელი? არაბულით შარშან "მანჩესტერ სიტი" იყო დაინტერესებული, ქართველმა ფორვარდმა "სიტის" რეზერვისტებში რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა, მაგრამ ტრავმამ ინგლისში მისი გადასვლა ჩაშალა. შარშან ზაფხულს ბაჩანას დამატება **გია ცეცაძეს** გორის "დილაში" სურდა, მაგრამ ცხადია, მაშინ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მერე ლაპარაკი იყო თბილისის "დინამოზე", მაგრამ ბაჩანას სრულ მომჯობინებამდე ამაზე ლაპარაკი შეწყდა.

არაბულის ტრანსფერი საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" ეკუთვნის, რომლის გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე** ამბობს: *"ბაჩანამ რეაბილიტაციის ეტაპის ნაწილი "კარლსრუეში" ალექსანდრე იაშვილის დამხრებით გაიარა, ახლა კი ჩვენი კლუბის სამედიცინო სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ ემზადება. მალე ისევ გერმანიაში გავუშვებთ და ექიმი ეტყვის, როდიდან შეძლებს ჩვეულებრივი რეჟიმით ვარჯიშს. მთავარია, სერიოზული ტრავმის შემდეგ მოედანს მალე დაუბრუნდეს. ამის შემდეგ გადაწყდება, სად ითამაშებს არაბული".*

ბაჩანა მხოლოდ 18 წლის არის, კარიერა ჯერაც წინ აქვს და იმედია, ძლიერ კლუბში გადასვლის შანსი გამოჯანმრთელების შემდეგ კიდევ მიეცემა. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისაა, მოახერხებს კი არაბული ფორმის აღდგენას მაისამდე, როდესაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ხორვატიაში ელიტ რაუნდის მატჩები ელის?

*"წესით, ელიტ რაუნდამდე სრული დატვირთვით ვარჯიში უნდა შევძლო. ძნელი სათქმელია, სათამაშო ფორმაში ვიქნები თუ არა, მაგრამ ამის დიდი იმედი მაქვს"* – ამბობს არაბული.

სიტუაცია

# გიორგი აბურჯანიას მოლოდინი

## გენკი ან უკეთესი?

ელიტრაუნდისთვის მზადება დაიწყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელსაც **ვასილ მაისურაძე** ავარჯიშებს. გუნდშია კაპიტანი **გიორგი აბურჯანია**, რომელიც დიდი ხანია, უცხოური კლუბების ინტერესს იწვევს.

გიორგი 16 წლის იყო, როდესაც **თორნიკე მაისურაძემ** რუსთავის „მეტალურგში" ათამაშა და სპეციალისტებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მაღალ დონეზე ჩატარების შემდეგ, შემტევი ნახევარმცველი გასინჯვაზე შვეიცარიულ „ბაზელში" მიიწვიეს. დაინტერესებული იყო ჰოლანდიური „ვიტესიც", რომლის დუბლებთანაც შარშან ზამთარში ანთალიაში ორი კვირა ივარჯიშა – მაშინ არნემელებმა გასინჯვაზე კიდევ 5 ქართველი მოზარდი წაიყვანეს.

თუმცა, გიორგი 17 წლისა იანვარში გახდა, ევროპულ კლუბებს კი განაცხადში 18-წლამდელი არაევროპელი ვერ შეჰყავთ. ანალოგიური იყო **ლევან ყენიასა** და **გიორგი ჭანტურიას** შემთხვევაც. გიორგი "ბაზელში" ამის გამო ვერ დაიტოვეს. საქართველოში დაბრუნებას კი ისევ ევროპაში ვარჯიში ამჯობინა და მერე ბელგიაში ჩავიდა. 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა იანვარში ბელგიური „გენკის" შემადგენლობაში ივარჯიშა და ამის გამო ვასილ მაისურაძის ნაკრებს ბელარუსის საერთაშორისო ტურნირზე დააკლდა.

„გენკის" 19-წლამდელთა გუნდში ჩატარებულ პირველივე საკონტროლო მატჩში გიორგიმ „აალსტის" კარი ორჯერ აიღო, „გენკმა" კი 3:2 მოიგო. მერე "ლეუვენთან" საგოლე გადაცემა გააკეთა, ერთხელ თავი ორმხრივ მატჩში გამოიჩინა და მწვრთნელს მოეწონა.

მაგრამ უცნობი იყო, როგორ გადაწყდა მისი „გენკში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი. ამის გასარკვევად ფეხბურთელს დავუკავშირდით.

**- ისევ გენკში ივარჯიშებ?**

- არასრულწლოვანების გამო, "გენკთან" ჯერ კონტრაქტს ვერ ვაფორმებ. მაგრამ, როგორც მითხრეს, ბელგიელებს წინასწარ კონტრაქტის გაფორმება სურთ, 18 წლის რომ გავხდები, მერე პროფესიულ კონტრაქტსაც შემოგთავაზებენო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს. მაინც ელიტ რაუნდის დასრულებას ველოდები. იქნებ, ამის შემდეგ უკეთესი წინადადებები წამოვიდეს.

**- შევიტყვეთ, რომ "მეტალურგიდან" წამოხვედი.**

- პირველი ტურის მატჩი ფოთთან რომ ვითამაშეთ, ამის შემდეგ თორნიკე მაისურაძე გაათავისუფლეს და მეც წამოვედი. ახლა რეგიონული ლიგის "იბერიაში" ვირიცხები, რომელსაც ჩემი ბავშვობის მწვრთნელი გუბაზ დოლიძე ავარჯიშებს. შეკრებამდე ამ გუნდში ვვარჯიშობდი.

**- ელიტ რაუნდზე საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვი?**

- გამოკვეთილი ფავორიტია ესპანეთის ნაკრები. ძლიერი მოწინაალმდეგეა ინგლისიც, მაგრამ ელიტ რაუნდი თბილისში ტარდება და ეს უპირატესობა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

ხალხი იმედით გვიყურებს და ღირსეულად უნდა ვითამაშოთ. ამას გარდა, ჩემი და თითოეული ჩვენგანის შემდგომი წინსვლა ამ ტურნირში ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული. მე რაც ვიცი, თბილისში ევროპიდან ბევრი სელექციონერი ჩამოდის, მარტო ესპანეთიდან სამი გუნდის სკაუტს ელიან და უნდა ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**




გიორგი აბურჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# ტური, რომელიც ბევრის ბედს გადაწყვეტს

**თუ დიდთოვლობამ** ტური კიდევ არ გადადო, უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპი ხვალ დასრულდება. ამჯერად უმთავრეს ინტერესს არა ჩემპიონობისთვის მებრძოლთა, არამედ საუკეთესო რვა გუნდს შორის მოხვედრის მოსურნეთა მატჩები იწვევს. თუ ვის რა შედეგი აძლევს ხელს, ამას ხვალ, ტურის წინათქმაში გაეცნობით, ახლა კი რვა საუკეთესოს კანდიდატი რამდენიმე გუნდის მთავარი მწვრთნელის მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მათ ერთი და იგივე შეკითხვები დავუსვით.



ზურაბ ბერიძე



ვლადიმერ ხაჩიძე



გოჩა ტყებუჩავა

**- როგორ აფასებთ თქვენი გუნდის რვა საუკეთესოში მოხვედრის შანსებს?**

**გოჩა ტყებუჩავა** (ბაია): ბიჭები საბრძოლოდ არიან განწყობილნი და იმის მიუხედავად, რომ "მერანის" სახით სერიოზული მეტოქე გვყავს, მიზნად მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ. კარგია, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა. "ბაიამ" დაიმსახურა რვა საუკეთესოში მოხვედრა და გვჯერა, ამისკენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმასაც შევძლებთ.

**ზურაბ ბერიძე** (ვიტ ჯორჯია): იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ჩემპიონს ვხვდებით, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენზე არაა დამოკიდებული და იმედი მაქვს, პარალელურ მატჩებში სამართლიანი ბრძოლა გაიმართება. სამწუხაროდ, "ზესტაფონთან" დისკვალიფიკაციის გამო ჩვენი მთავარი ცენტრფორვარდი ბესიკ ჩიმაკაძე ვერ ითამაშებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მას სრულფასოვნად შევცვლით.

**ვლადიმერ ხაჩიძე** (სპარტაკი): გუნდების გაყოფამდე დასკვნითი ტურია დარჩენილი და ეს მატჩი უნდა მოვიგოთ, ამავდროულად კი ღმერთს შევთხოვოთ, რომ დარჩენილ შეხვედრებში ჩვენთვის სასურველი შედეგები დაფიქსირდეს. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ მეორე წრის დასკვნითი თამაშის მოსაგებად, თუმცა ამას გარდა, ბედმაც უნდა გაგვილიმოს.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ 2012 წელს ჩატარებული ოფიციალური მატჩებით?**

**გოჩა ტყებუჩავა:** კალენდარი ძალიან რთული გვქონდა – "დილას", "ზესტაფონსა" და "დინამოს" შევხვდით და მხოლოდ ერთი ქულა მოვიპოვეთ. მინიმუმ ერთი გამარჯვების მიღწევა მაინც შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ შევძელით. იოლი არც პირველი ეტაპის ბოლო შეხვედრა იქნება, მაგრამ უკანდასახევი გზა არ გვაქვს. ჩემი გუნდის თამაშის ხარისხი კი უკეთესი მომავლის იმედს მაძლევს.

**ზურაბ ბერიძე:** თუკი სხვა დროს ქუთაისში მიღწეული ფრე ჩვენს აქტივში ჩაეწერებოდა, ამგვარ სატურნირო სიტუაციაში ამას უკვე დანაკარგი შეგვიძლია ვუწოდოთ. მეტის მიღწევა შეგვეძლო "ტორპედოსთანაც" და სხვა მეტოქეებთანაც. თუნდაც ფოთში განცდილი მარცხი გავიხსენოთ, რაც, უპირველესად, ჩვენივე ბრალია.

**ვლადიმერ ხაჩიძე:** შეგვეძლო, რომ პირველი ეტაპის ბოლო მატჩს ქულათა უკეთესი მარაგით შევხვედროდით. თუმცა ისიც შესაძლებელი იყო, რომ ზედა რვა გუნდში მიხვედრის შანსი უკვე დაკარგული გვქონოდა. ისე კი, როცა "სპარტაკი" გასული წლის სექტემბერში ჩავიბარე, იმდროინდელი შედეგების მიხედვით, მოწინავე რვა გუნდში მოხვედრაზე არც კი იყო საუბარი, კლუბის ხელმძღვანელობა ახალი გუნდის შენებაზე ფიქრობდა. თუმცა იმდენი შევძელით, რომ ბოლო ტურამდეც კი გვაქვს რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრის შანსი, რის გამოყენებისთვისაც დასკვნით მატჩშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- როგორ აფასებთ ჩემპიონატის ახალ სისტემას?**

**გოჩა ტყებუჩავა:** ვფიქრობ, კარგი სისტემაა, რადგან ყველა გუნდი მობილიზებულია და მოდუნების უფლება თითქმის არავის აქვს. ახალმა რეგლამენტმა ჩემპიონატი აშკარად უფრო დაძაბული და საინტერესო გახადა.

**ზურაბ ბერიძე:** მომეცი 3 ქულა, მოგცემ 6-ს – აი, ეს არის ახალი სისტემის მთელი შინაარსი. არა მგონია, ამ რეგლამენტს ვინმესთვის ხეირი მოჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, წესიერ ხალხს ეს ხელს ნამდვილად არ უნდა აძლევდეს. მწვრთნელები და ფეხბურთელები დღეს ვარჯიშსა და თამაშზე უფრო ნაკლებს ფიქრობენ, ვიდრე სისტემის თავისებურებაზე – დგანან და იმის გამოთვლას ცდილობენ, ვის რა შედეგი აძლევს ხელს, ვის მოგება ურჩევნია და ვის – წაგება.

**ვლადიმერ ხაჩიძე:** მოდით, მოკლედ ასე გიპასუხებთ - იმედია, მომდევნო სეზონში ეს სისტემა აღარ იქნება.

**- როგორი იქნება თქვენი გუნდის მოტივაცია ზედა რვა გუნდში?**

**გოჩა ტყებუჩავა:** ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოვაყალიბეთ და ზედა რვა გუნდში თამაში ყოველმხრივ გვაძლევს ხელს – ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ძლიერ მეტოქეებთან თამაშით გამოცდილებას შეიძენენ და ამავდროულად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფლები იქნებიან.

**ზურაბ ბერიძე:** "ვიტ ჯორჯია" ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძვის და ეს ცარიელი სიტყვები არ არის. ასე იქნება რვა საუკეთესოშიც.

**ვლადიმერ ხაჩიძე:** ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა გარანტირებული გვექნება და ახალი სეზონისთვის მზადებასა და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას ახლავე შევუდგებით.

**- თუ რვა საუკეთესოში ვერ მოხვდით, უმაღლეს ლიგაში დარჩენის რა შანსი გექნებათ?**

**გოჩა ტყებუჩავა:** "ბაია" თავისი პოტენციალითა და დღევანდელი რესურსით აბსოლუტურად აკმაყოფილებს უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს და ამას აუცილებლად დაამტკიცებს.

**ზურაბ ბერიძე:** მომავალი სეზონისთვის უფრო ძლიერი გუნდი უნდა გვყავდეს და უკეთესი იქნება, თუ თამაში საქართველოს საუკეთესო კლუბებთან მოგვიწევს, მაგრამ ასე თუ არ მოხდა, უმაღლეს ლიგაში მაინც დამაჯერებლად დავრჩებით.

**ვლადიმერ ხაჩიძე:** იმის მიუხედავად, რომ ხელწამოსაკრავი მეტოქეები არ გვეყოლება, უძლიერესთა შორის დარჩენის საკმაოდ კარგი შანსი გვექნება, "სპარტაკს" ამის ძალა ნამდვილად შესწევს.

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# ისევ ზუგდიდი, ისევ თოვლი



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის ბოლო ტური 6-დან 8 მარტამდე იმიტომ გადაწია, რომ დიდთოვლობის გამო ზუგდიდში მატჩის ჩატარება შეუძლებელი იყო. სხვა სტადიონებზე პრობლემა საერთოდ არ ყოფილა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც მართებული გახლდათ – რაკი ჩემპიონატის ზედა რვა გუნდში მოსახვედრად დიდი ბრძოლაა გაჩაღებული, ყველა შეხვედრა ერთდროულად უნდა დაიწყოს და ყველა კლუბი თანაბარ მდგომარეობაში იყოს.

დავინტერესდით, რა მდგომარეობაა ზუგდიდში და სახარბიელო პასუხი ვერ მივიღეთ – "ბაიას" საწვრთნელი ბაზის ხელოვნურსაფარიან მოედანზე კვლავ თოვლი დევს, რასაც ყინვაც ემატება. გამორიცხული არ არის, ხვალისთვის მოედანი ავად თუ კარგად, მაინც მოიყვანონ სათამაშო კონდიციაში, თუმცა საგანგაშო ის არის, რომ ზუგდიდში კიდევ თოვაა მოსალოდნელი.

დრო კი აღარ ითმენს. უეფას მოთხოვნით, სეზონი დადგენილ ვადებში უნდა ჩატარდეს, ტურის კიდევ გადადება კი, ფაქტობრივად, უკვე შეუძლებელი ხდება. არც ის იქნება სამართლიანი, "ბაიამ" მარტვილის "მერანთან" პრინციპული მატჩი სხვა ქალაქში ჩაატაროს...

ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ შეიქმნას, ბუნების წყალობაა აუცილებელი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

პირველი ლიგა.




გურული დერბის მოლოდინში

# ინტრიგა მორჩა!

## პირველლიგელთა ოთხეული გაირკვა

გუშინ საბოლოოდ გაირკვა პირველი ლიგის იმ ოთხი გუნდის ვინაობა, მომავალი კვირიდან ახალ ტურნირში რომ ჩაებმება. შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში IX-XII ადგილებზე გასული ოთხი გუნდი და პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი ახალ, ორწრიან ტურნირს დაიწყებს, რომლის დამთავრების შემდეგაც ოთხი საუკეთესო გუნდი მომავალ სეზონში უძლიერესთა შორის იასპარეზებს, დანარჩენ ოთხს კი პირველ ლიგაში მოუწევს გამოსვლა. პირველი ლიგის ოთხი საგზურიდან ვაკანტური მხოლოდ ერთადერთილა იყო, რადგან საჩხერის „ჩიხურამ", ბათუმის „დინამომ" და ლანჩხუთის „გურიამ" ვადამდე გაინაღდეს გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლება. იმ ერთადერთ ვაკანტურ ადგილზე კი პრეტენზიას ორი გუნდი აცხადებდა: ოზურგეთის „მერცხალი" და „ჭიათურა", თუმცა ინტრიგა გუშინვე მორჩა და „მერცხალის" ხვალინდელ შეხვედრასაც ყველანაირი აზრი დაეკარგა. ყოველივე ეს კი გუშინდელი მატჩის მერე გაირკვა: „ჭიათურამ" სტუმრად ვერ შეძლო თბილისის „ლოკომოტივის" დამარცხება (შეხვედრა ფრედ, 2:2 დამთავრდა) და ოზურგეთის „მერცხალსაც" უკვე ველარანაირად ველარ დაეწევა. ასე და ამრიგად, **საჩხერის „ჩიხურა", ბათუმის „დინამო", ლანჩხუთის „გურია" და ოზურგეთის „მერცხალი"** მეტოქეების მოლოდინში არიან (ორი უკვე ცნობილია — „გაგრა" და „სიონი") და სხვადასხვახნიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზეც სერიოზულად ფიქრობენ. მით უფრო, რომ ამ რვაგუნდიან „გადასასვლელ ტურნირში" ყველა ერთნაირ პირობებში იქნება — რვავე გუნდი გათამაშებას ნული ქულით დაიწყებს!

**ა ზონა**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ)-კოლხეთი (ხ) | 0:0 |
| ლოკომოტივი-ჭიათურა | 2:2 |
| სტუ-მესხეთი | 3:1 |

**დღეს, 15:00**

სამტრედია – მეშახტე (ტყიბული)
ჩხერიმელა (ხარაგ.)–მერცხალი (ოზ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 18 | 13 | 3 | 2 | 28-9 | 42 |
| 2. მერცხალი | 17 | 12 | 2 | 3 | 24-14 | 38 |
| 3. ჭიათურა | 18 | 11 | 4 | 3 | 30-16 | 37 |
| 4. სტუ | 18 | 8 | 2 | 8 | 39-42 | 26 |
| 5. ჩხერიმელა | 17 | 7 | 4 | 6 | 21-24 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 5 | 5 | 8 | 30-28 | 20 |
| 7. კოლხეთი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-19 | 20 |
| 8. მესხეთი | 18 | 5 | 2 | 11 | 19-25 | 17 |
| 9. სამტრედია | 17 | 2 | 5 | 10 | 11-28 | 11 |
| 10. მეშახტე | 17 | 2 | 4 | 11 | 14-29 | 10 |

**ბ ზონა. 7 მარტი. 15:00**

აეტი (სოხუმი) – სულორი (ვანი)

**8 მარტი 15:00**

იმერეთი(ხონი)–ადელი (ბთ)
სამგურალი (წყალტ.)–გურია (ლანჩ.)
ჩიხურა (საჩხ.)–ნ/დინამოელი (თბ)
სძური (წალენ.) – ზოოვეტი (თბ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 17 | 15 | 1 | 1 | 39-6 | 46 |
| 2. გურია | 17 | 11 | 3 | 3 | 39-15 | 36 |
| 3. ზოოვეტი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-27 | 27 |
| 4. ნ/დინამოელი | 17 | 8 | 2 | 7 | 30-23 | 26 |
| 5. იმერეთი | 17 | 8 | 2 | 7 | 29-25 | 26 |
| 6. სძური | 17 | 7 | 3 | 7 | 23-26 | 24 |
| 7. სამგურალი | 17 | 6 | 5 | 6 | 27-21 | 23 |
| 8. ადელი | 17 | 4 | 1 | 12 | 19-34 | 13 |
| 9. სულორი | 17 | 2 | 5 | 10 | 10-34 | 11 |
| 10. აეტი | 17 | 3 | 1 | 13 | 12-40 | 10 |

გაგრა

# იმედიანი დებიუტანტი

დაარსების დღიდან, "გაგრას" ახალგაზრდული გუნდის სახელი აქვს. მაგრამ საშემოდგომო ეტაპის შემდეგ ცხადი გახდა, საქართველოს თასის მფლობელს საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა გაუჭირდებოდა. გუნდის თავკაცებმაც თითქმის ყველა გამოცდილი მოთამაშე გაუშვეს და ლამის სკოლის ასაკის მოთამაშეები დააწინაურეს.

"ზესტაფონთან", ქუთაისის "ტორპედოსთან" და გორის "დილასთან" გაგრელთა მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ** ძირითად შემადგენლობაში 16 წლის თავდამსხმელი **გიორგი როსტიაშვილი** ათამაშა. გიორგი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრია და იმედოვნებს, რომ კლუბში მიღებული სათამაშო პრაქტიკა ელიტრაუნდის შესარჩევი ციკლის თამაშების დროს წაადგება. ეს "გაგრას" ვებგვერდთან განაცხადა: *"კლუბში ყველაფერს ვაკეთებ ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების მისაქცევად, რათა დავამტკიცო, რომ თამაშის ღირსი ვარ. იმედია, რომ ნაკრებში ისევ გამომიძახებენ. გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც წლებია უმაღლეს ლიგაში თამაშობენ და მათთან ვარჯიში ნამდვილად წამადგება. შარშან, ფოთის „კოლხეთთან" განაცხადში ვიყავი, მაგრამ არ მითამაშია. წლეულს კი, "გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა პირველი გუნდის შეკრებაზე წამიყვანა და ნელ-ნელა დავრწმუნდი, რომ პირველ გუნდში თამაშის შანსი მომეცემოდა. "გაგრა" იმიტომ მიყვარს, რომ ახალბედა ფეხბურთელს უხსნიან გზას. "ზესტაფონთან" 11 კაცში რომ დამაყენეს, ცოტა ავღელდი. მაგრამ როგორც კი თამაში დაიწყო, დავწყნარდი და ვითამაშე ისე, როგორც შემეძლო. აქ დუბლშემადგენლობებისგან განსხვავებული მოთხოვნებია.*

*ახლა "დინამოს" ეროვნულ სტადიონზე ვხვდებით, სადაც არასოდეს მითამაშია. „დინამო" დიდი გუნდია და ძალიან მინდა მის წინააღმდეგ გამოსვლა. ფლეი ოფში ვერ მოვხვდით, მაგრამ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. იმედია, შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება".*

მერაბ მამულაშვილი

დუბლების ჩემპიონატი

# ვასილ მაისურაძე: მთავარია განვითარება

საქართველოს ჩემპიონატი დუბლშემადგენლობათა შორის – ვინც ასეთ თამაშებზეც დადის, სწორად იქცევა, რადგან უმაღლესი ლიგის მეორე გუნდები ხანდახან ისეთ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე მოედანზე, თქვენი მოწონებული.

დუბლების ცხრილს "დინამო თბილისი" ლიდერობს, უახლოეს მდევარს, ზუგდიდის "ბაიას" ცხრა ქულით უსწრებს და ძნელად თუ დათმობს პირველობას.

"დინამოდან" ალექს გარსია რომ დაითხოვეს, მის ნაცვლად გიორგი დევდარიანი დანიშნეს, ვინც მანამდე "დინამოს" დუბლებს თავკაცობდა. ამ ცვლილების შემდეგ კი "დინამოს" მეორე გუნდის გაწვრთნა ვასილ მაისურაძეს მიანდეს, რომელიც ამ დროისთვის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაციც გახლავთ.

მაისურაძეს "დინამოს" დუბლშემადგენლობაზე ვესაუბრეთ.



ვასილ მაისურაძე

**- "დინამო" განსაკუთრებული კლუბია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურებულა, ანუ "დინამო" ჩვენი ნაკრებებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანი კლუბია. ყოველივე აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა კონტინგენტია თავმოყრილი "დინამოს" დუბლებში, თუ არიან ისეთი ახალგაზრდები, დღეს ან ხვალ სერიოზულ პრეტენზიას რომ გამოთქვამენ პირველ გუნდში მოხვედრაზე?**

- ეს არის პროცესი, "დინამოს" პირველი გუნდისთვის მხოლოდ დუბლი როდი მუშაობს, ამისთვის მთლიანად "დინამოს" აკადემიაც მიზანმიმართულად მოქმედებს. შესაძლოა, რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი უცბად აღმოჩნდეს პირველ გუნდში. "დინამოს" დუბლებში ისეთი კონტინგენტი ჯერ არ არის, რომ ხვალვე შეძლოს პირველ გუნდში მოხვედრა, მთავარია, ამ ფეხბურთელების განვითარება სწორი გზით მოხდეს.

**- რა ასაკის ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი "დინამოს" მეორე გუნდში?**

- 1992-95 წლებში დაბადებულები.

**- "დინამოს" დუბლიდან ფეხბურთელების განათხოვრება უმაღლესი ლიგის გუნდებში – ასეთი პრაქტიკა უკვე ინერგება...**

- ჩაფიძე, გაბაშვილი და ნადირაძე ცხინვალის "სპარტაკში" იჯარით წავიდნენ, ისინი ისევ "დინამოს" ეკუთვნიან. ვფიქრობ, ასეთი რამ ნორმალურია.

**- რა სისტემური ხასიათი აქვს "დინამოს" პირველი და ასაკობრივი გუნდების თანამშრომლობას?**

- "დინამოს" დუბლსაც იგივე მოდელი აქვს არჩეული, რაც პირველ გუნდს, ვარჯიშებიც იდენტური სისტემით ტარდება. ამ სისტემაში არიან მოქცეულნი კლუბის აკადემიის გუნდებიც. ყველაფერ ამას "დინამოს" მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ხელმძღვანელობს.

**- ანდრეს კარასკოს რა ფუნქცია აკისრია?**

- ის აკადემიის მთავარი მწვრთნელია და რა თქმა უნდა, მასთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობ.

**- "დინამოს" ბაზაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. მეორე გუნდს რომელი მოედანი დაეთმობა?**

გადაწყდა, რომ დიღმის მასივში ჩოგბურთის კორტების ყოფილი ტერიტორია "დინამოს" განკარგულებაში იქნება, სადაც სამი მოედანი გაკეთდება, იქ გადავლენ მეორე და აკადემიის უფროსი ასაკის გუნდები. ეს მხოლოდ "დინამოსთვის" კი არ იქნება კარგი, არამედ ამით მთლიანად საფეხბურთო გარემო გამოანათებს.

**- "დინამო" ამბიციური კლუბია და ლეგიონერების მოწვევაზე უარს არ ამბობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველის ადგილს გუნდში უცხოელი იკავებს...**

- მიმაჩნია, რომ თუ კლუბი ლეგიონერს მოიწვევს, ის ქართველზე ერთი თავით მაღლა უნდა იდგეს. ხანდახან ზოგი კლუბი შეცდომას უშვებს ამა თუ იმ ლეგიონერის მოწვევისას, ამისგან დაზღვეული არავინაა და რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა უნდა დავუშვათ, როცა უცხოელის მოწვევას დავაპირებთ. ვფიქრობ, "დინამოს" პირველ გუნდში მოსახვედრად მეტი შანსი ჩვენივე კლუბის ასაკობრივი გუნდების მოთამაშეებს მიეცემათ.

**- გამორჩეული ფეხბურთელები "დინამოს" დუბლსაც ეყოლება...**

- კონკრეტულად ვინმეს გამორჩევისგან თავს შევიკავებ. გამორჩეულ ფეხბურთელებს პირველი გუნდის მწვრთნელი თავისთან ავარჯიშებს ხოლმე, ახალგაზრდა ფეხბურთელებს გარჯა უფასდებათ.

**- "დინამოს" დუბლი გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა – შედეგი და ფეხბურთელის მომზადება პირველი გუნდისთვის – ეს როგორ არის დაბალანსებული?**

- დუბლი უკვე ის ასაკია, რომ შედეგი უმნიშვნელო ვერ იქნება, ახალგაზრდებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია უნდა ჩამოუყალიბდეთ, მთავარი კი მაინც უფრო ფეხბურთელის განვითარებაა.

**- დუბლების ჩემპიონატიდან კიდევ რომელ გუნდებს გამოარჩევდით?**

- "ბაიას", "ზესტაფონსა" და "ტორპედოს".

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# მირზა ბჟალავა: იმედია, ზაფხულში მაინც გამიმართლებს

**2006 წელს მირზა ბჟალავა** 18 წლის იყო, როდესაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა. მაშინ ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველის მომავალი ვარდისფერში წარმოგვედგინა, საქართველოს ნაკრების კანდიდატი უდავოდ პერსპექტიული მოთამაშე გახლდათ. სამწუხაროდ, „ზესტაფონიდან" ავსტრიაში წასული ქართველის კარიერა ფეხის ტრავმის გამო ვერ აეწყო: ლუშტენაუს „აუსტრიადან" ამავე ქვეყნის „ბრეგენცში" გადავიდა, ბოლოს კი შვეიცარიის რეგიონული ლიგის „გიპოსაუში" აღმოჩნდა – ცხადია, უსიამოვნო უკუსვლაა. ზაფხულში დიდ ფეხბურთში დაბრუნების იმედი გადაეწურა - არც თურქეთში „გენჩერბირლიგში" ჩარიცხეს (სადაც გასინჯვაზე მიიწვიეს), იტალიის სერია C-ს გუნდში ტესტირებას კი ისევ შვეიცარიაში გარანტირებული თამაში და სათამაშო პრაქტიკა ამჯობინა.

პერსპექტიულ ნახევარმცველს იმედი ჰქონდა, რომ უფრო სოლიდურ კლუბში ზამთარში მაინც მოხვდებოდა, მაგრამ...

*"ავსტრიის საზღვართან ახლოს ვცხოვრობ და ზაფხულამდე შვეიცარიის რეგიონალური ლიგის კლუბში "გიპოსაუში" ვითამაშებ. დიდი ხანია, გუნდის შეცვლა მინდა, მქონდა იმედი, მაგრამ ახლა შეუძლებელი აღმოჩნდა. იქნებ, ეს ზაფხულში მაინც მოვახერხო. ფაქტია, რომ დღევანდელი მდგომარეობა არ მაკმაყოფილებს. ვნახოთ, ზაფხულში რა გამოვა"* – გვითხრა ბჟალავამ.



მერაბ მამულაშვილი



Daily Mail

## ინგლისური მედიის აზრით
# წინასწარ ნაგეგმული თამაში



რომან აბრამოვიჩი იძულებული იყო...

**ქვემოთ შეგიძლიათ გაეცნოთ "დეილი მეილის" ჟურნალისტის მეტ ლოუტონის საკმაოდ საინტერესო სტატიას მცირედი შემოკლებით.**

### პრეზიდენტი და მწვრთნელი

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა. **რომან აბრამოვიჩს** 25 ფეხბურთელი უნდა გაეშვა სახლში ან უფრო იაფი გადაწყვეტილება მიეღო და მხოლოდ მწვრთნელის დათხოვნით დაკმაყოფილებულიყო. გუნდის გასახდელი და ახალგაზრდა მწვრთნელი უკვე შეუთავსებელი ცნებები გახდნენ და იმისთვის, რათა ჩემპიონთა ლიგის გარეთ არ დარჩენილიყვნენ, აბრამოვიჩს რაღაც უნდა ეღონა. ერთ-ერთი უნდა წასულიყო. და აი, კვირას, მას მერე, რაც კობჰემის საწვრთნელ ბაზაზე კრება დამთავრდა, ანდრე ვილაშ ბოაშმა დათხოვნის შესახებ შეიტყო. როგორც იუწყებიან, ის ძალიან გაბრაზდა, როცა მიხვდა, რომ ფეხბურთელებმა დაამარცხეს. შაბათს "ვესტ ბრომვიჩთან" ნაგებისას, ისევე როგორც სეზონის განმავლობაში დანარჩენი ცხრა მარცხისას, აშკარა იყო, რომ მწვრთნელს ფეხბურთელებმა დაუდეს ფეხი. ახლა მისი სამწლიანი პროექტი აღარ არის ის, რასაც ამ პერიოდის შემდეგ ის სხვა მწვრთნელს მემკვიდრეობით გადასცემს.

აღსანიშნავია, რომ აბრამოვიჩს ავბ-ის გადაყენების გადაწყვეტილება დიდი სიხარულით არ მიუღია. ის ბოლომდე იცავდა თავის მწვრთნელს მიუხედავად იმისა, რომ უკვე კლუბის დირექტორატის წევრები და პირადი მრჩევლებიც კი მოუწოდებდნენ, რომ ჩახმახისთვის თითი გამოეკრა.

ვილაშ ბოაში აბრამოვიჩის კაცი იყო. მას პორტუგალიელის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია ჰქონდა. ის ჯერ კიდევ მოურინიოსთან ერთად მუშაობის პერიოდიდან ახსოვდა და ხვდებოდა, რომ მაშინდელი თანაშემწე ბოლომდე ჩამოყალიბებულ ადამიანად ქცეულიყო, ცოდნის საკმაოდ დიდი მარაგით. ავბ-ს არ გამოუცხადებია საკუთარი თავი კიდევ ერთ "განსაკუთრებულად" ან მოურინიოს მემკვიდრედ. თუმცა სხვებთან ურთიერთობისას ის არანაკლებ კონფრონტაციული აღმოჩნდა.

როცა ახალგაზრდა პორტუგალიელს ქირაობდა, აბრამოვიჩი დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. "პორტუსთან" ერთად წინა სეზონში მოგებული უამრავი ტიტული ბიზნესმენს დამაჯერებლობას მატებდა. აბრამოვიჩმა 13 მილიონი გირვანქა გადაიხადა მწვრთნელის კონტრაქტის გამოსყიდვაში და დამშვიდდა. იფიქრა, რომ ავბ იმის დემონსტრირებას მოახდენდა, თუ რატომ იყო გამართლებული **კარლო ანჩელოტის** გუნდიდან გაშვება. თუმცა ყველაფერი უფრო რთული სცენარით წარიმართა. რთული აღმოჩნდა მწვრთნელისთვის ისიც, რომ ის თავის რამდენიმე შეგირდზე, კლუბის ვარსკვლავებზე ცოტათი უფროსი აღმოჩნდა. განსაკუთრებით გაუძნელდა მას გასახდელის მართვა ისეთ მონსტრში, როგორიც "ჩელსია".

### ფეხბურთელები და მწვრთნელი

თუმცა ვილაშ ბოაშმა ანგარიში არავის გაუწია. მათ შორის ტაქტიკის შედგენისას. რომლისთვისაც "ჩელსის" ფეხბურთელები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. საშინელმა შედეგებმა ეს ყოველივე ცხადი გახადა. "ვესტ ბრომვიჩთან" ნაგების მეორე დღეს არისტოკრატთა ფლანგის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა შემდეგი რამ თქვა: *"ეს ზუსტად ის შემთხვევა იყო, როცა ბევრი არ იყო დარწმუნებული, რომ ფეხბურთის თამაში აუცილებელი იყო უნივერსიტეტებისთვის შექმნილი თეორიების მიხედვით. ის სტილი, რაც მწვრთნელმა გუნდში დანერგა, ბევრმა ვერ აითვისა, მათ შორის ჯონ ტერიმაც".*

არადა ამ დროს, ავბ მთელი ძალით ცდილობდა ფეხბურთელებთან ურთიერთობა დაელაგებინა. ის თავის დროზე იმაზეც კი წავიდა, რომ **ჯონ ტერისა** და **ანტონ ფერდინანდის** რასისტულ სკანდალში აშკარად თავისი კაპიტნის მხარე დაიჭირა. თუმცა ყველა ღირსების გათვალისწინებით, ავბ-ს არ ეყო კომუნიკაციის ნიჭი. ის წინასწარი გეგმის მიხედვით ტოვებდა ფეხბურთელებს სათადარიგოთა სკამზე. მაგალითად ის რამდენჯერმე მოექცა ასე **ფრენკ ლემპარდს**. უკანასკნელი დღეების ჩათვლით მწვრთნელი სულ უფრო იზოლირებული ხდებოდა. მას რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა დაუჭირა მხარი. უფრო იმათ, ვინც მან თავად მოიყვანა გუნდში. თუმცა, რაც უნდა ნიჭიერი სპეციალისტი იყო, ყოველთვის უნდა გაითვალისწინო ისეთი ფაქტორი, როგორიც "ჩელსის" გასახდელია. რომლისთვისაც ხანდახან ის მეტისმეტად ქედმაღალი იყო. და, რა თქმა უნდა, უნდა გაითვალისწინო გარემოება, რომ კლუბს აბრამოვიჩი მართავს. აშკარა იყო. ავბ-ს საამისოდ გამოცდილება არ ეყო.

### კრიზისის დასაწყისი და პერსპექტივა

ავბ-მა შუამავლების საშუალებით ითხოვა, რათა პრეზიდენტს მისთვის მხარდაჭერა საჯაროდ გამოეცხადებინა. აბრამოვიჩი ამაზე წავიდა, მაგრამ მისი ეს ნაბიჯი განვითარებული მოვლენების ფონზე მაინც ალოგიკური ჩანდა. აბრამოვიჩს უნდა ეღიარებინა, რომ მწვრთნელის მხრიდან ამგვარი თხოვნა "ნაპოლისთან" მატჩის წინ შეცდომა იყო. მაგრამ მაშინ ალბათ მას ისიც უნდა ეთქვა, რომ ასეთი სპეციალისტის მიწვევა უკვე შეცდომა იყო, ისევე როგორც ჯერ მოურინიოსა და შემდეგ ანჩელოტის გაშვება.

კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე **რობერტო დი მატეო** უხელმძღვანელებს. თუმცა ყველა ხვდება, რომ ისევე როგორც ავბ-ის შემთხვევაში, როდის რა მოხდება, არავინ იცის. აქედანვე ცნობილია, რომ დი მატეოს იდეებით "ჩელსიში" ბევრი არ არის აღფრთოვანებული.

ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

### დე ხეა: იყო შეცდომები, მაგრამ...

"მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე, 21 წლის **დავიდ დე ხეა** სეზონის ბოლო მონაკვეთს ფანტასტიკურად ატარებს. ამის თქმა ნამდვილად შეიძლება "ტოტენჰემთან" შეხვედრაზეც, სადაც მან გუნდი ზუსტად 4-ჯერ გადაარჩინა გოლს. დე ხეას თქმით, მას ესმის, რომ ინგლისში გადასვლის შემდეგ რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა, მაგრამ ისიც არ ავიწყდება, რომ შეცდომაზე ბევრად მეტი კარგი მომენტიც გააუვნებლა. აი, რას ამბობს ის: *"მიმაჩნია, რომ ჩემს საქმეს კარგად ვართმევ თავს. იმით, თუ როგორ მიდის დღეისთვის ჩემი საქმეები, ძალიან კმაყოფილი ვარ. იმედია, ყველაფერი უკეთესად თუ არა, ასე მაინც გაგრძელდება. ვცდილობ, თვითკრიტიკული ვიყო და ისევე როგორც ამას სხვები აკეთებენ, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლო. ისეთ კრიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ, რომ ჩემი ყველა შეცდომა მხედველობის ბრალია, ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ვიცი, რომ მსგავსი პრობლემა სხვებსაც აწუხებთ და კონტაქტურ ლინზებს ამიტომაც ხმარობენ".*

### ბენტი და ოლიმპიადა

"ასტონ ვილას" მთავარმა მეგოლემ, 28 წლის **დარენ ბენტმა** 25 თებერვალს "უიგანთან" 26-ე ტურის შეხვედრაში მატჩის 79-ე წუთზე კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო. მას ოპერაცია ორშაბათ საღამოს ჩაუტარდა და ახლა უკვე საბოლოოდ შეიძლება იმის თქმა, რომ ექიმების პირველადი პროგნოზი გამართლდა. დარენი მაისის ბოლომდე ან ივნისის პირველ რიცხვებამდე ვერ ივარჯიშებს. ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის მიღმა რჩება. ის ჯერ კიდევ ოპერაციამდე აცხადებდა, თუკი პროგნოზი გამართლდა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბრიტანეთის ნაკრებში მოვხვდე და ლონდონის ოლიმპიადაზე ვიასპარეზოო.

### ფერტონგენი და პრემიერლიგა

2006 წლიდან მოყოლებული, თუკი "ვაალვიკში" გატარებულ 6-თვიან პერიოდს არ ჩავთვლით, 24 წლის ცენტრალური მცველი **იან ფერტონგენი** "აიაქსშია" და მის შემადგენლობაში ყველა ტურნირზე ერთად 200-მდე თამაშიც ჩაატარა. ფეხბურთელს "თეთრ-წითლებთან" ხელშეკრულება 2013 წელს უმთავრდება და უკვე განაცხადა, რომ მის გახანგრძლივებაზე ერთი წუთითაც კი არ დაფიქრდება. ფერტონგენს კარიერის გაგრძელება ინგლისში სურს. მით უფრო, რომ რამდენიმე საინტერესო წინადადება მას უკვე აქვს. მაგალითად "ტოტენჰემიდან". ჰოლანდიურ პრესაში ისიც დაიწერა, რომ თუკი **დანიელ ვან ბუიტენს** ხელშეკრულება არ გაუხანგრძლივა, ფერტონგენის გადაბირებას "ბაიერნიც" შეეცდებაო. თუმცა ბელგიელის თქმით, ის უპირატესობას ინგლისურ ვარიანტს მიანიჭებს. *"აიაქსი" ძალიან მომენატრება, მაგრამ მაინც ვაპირებ ამსტერდამში ჩემი სახლის გაყიდვას. იქამდე კი ინგლისურს ვსწავლობ და იქაური სტადიონების ატმოსფეროთი ვტკბები,"* – აცხადებს ფეხბურთელი.

### უიგანს მარტინესის ჯერ კიდევ სჯერა

"უიგანის" პრეზიდენტ **დეივ უილანის** თქმით, მას ჯერ კიდევ სჯერა, რომ **რობერტო მარტინესს** შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება და გუნდის ელიტაში დატოვება. ის 38 წლის სპეციალისტს ბოლომდე მხარდაჭერას ჰპირდება. წარმოუდგენელი აქ არც არაფერია. მე-17 ადგილისგან, რომელიც ტურნირის ბოლომდე ნერვიული ცხოვრების, თუმცა საბოლოოდ მაინც გადარჩენის გარანტიას იძლევა, გუნდს სულ ორი ქულა აშორებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



რობერტო მარტინესი

ჩელსი

# მოურინიოს ულტიმატუმი ჩელსის: 12 მილიონი და რონალდო!



რაზეც რედნაპი უარზეა, მოურინიო იმ საქმეში ძალიან ბევრს ითხოვს

"დეილი ექსპრესის" ცნობით, მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** მზადაა, სეზონის ბოლოს დატოვოს "სანტიაგო ბერნაბეუ" და "ჩელსის" დაუბრუნდეს. ოღონდ ამისთვის მას თავისი მოთხოვნები აქვს: **რომან აბრამოვიჩისგან** წელიწადში ის 12 მილიონ ფუნტსა და **კრიშტიანო რონალდოს** გადაბირებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში "განსაკუთრებული კაცი" მზად იქნება, "ჩელსიზე" მეორე ქორწინებას მოაწეროს ხელი. 12-მილიონიანი ანაზღაურება ძალიან ბევრია, თუმცა მაინც შეიძლება წარმოდგენა, რომ რუსი ოლიგარქი ამას დათანხმდეს. აი, რამდენად რეალურია, რომ "რეალი", მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი, "ოქროს კვერცხის მდებელ ქათამს" გაყიდის, ამაზე მსჯელობა თქვენთვის მოგვინდვია.

"სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობას კიდევ რამდენიმე მწვრთნელს უწინასწარმეტყველებენ. მათ შორისაა **პეპ გვარდიოლა**. თუმცა ესეც ზღაპრების სერიიდან გვგონია. თუ თავად კატალონიელმა სპეციალისტმა არ მოინდომა, აბრამოვიჩს "ბარსასთან" მოლაპარაკება გაუჭირდება. ყველაზე რეალური ვარიანტი, ჩვენი აზრით, მაინც **რაფაელ ბენიტესია**. უმთავრესი, რაც "ჩელსის" ბოსს მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევს, ევროპული ტიტულის არქონაა. ესპანელ მწვრთნელს კი ყველაზე დიდი წარმატებები სწორედ კონტინენტის მასშტაბით აქვს მოპოვებული. დასახელდა **ჰარი რედნაპის** კანდიდატურაც, მაგრამ მან თავად განაცხადა, ამის შანსი არ არსებობსო. რადნაპი თუკი "ტოტენჰემიდან" წავა, მხოლოდ ინგლისის ნაკრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ● არგენტინა. კლაუსურა. IV ტური

# ერთდროულად ლიდერის და აუტსაიდერის

## ტურის მორიგი მსხვერპლი: რამონ დიასი

**ნიუელსი-ბელგრანო 0:2**

**გოლები:** 0:1 სილვერა (31), 0:2 ს. პერეირა (36)
**გაძევება:** პელერანო (85. ნიუელსი)

**ბანფილდი-გოდოი კრუსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ნავარო (11), 1:1 ე. ლოპესი (64)
**გაძევება:** სიგალი (72. გოდოი კრუსი)

**ინდეპენდიენტე-არხენტინოსი 1:3**

**გოლები:** 0:1 ბატისტა (9), 0:2 ბორდაგარაი (45), 0:3 ბარსოლა (61), 1:3 ბატიონი (63)

**სან მარტინი-ესტუდიანტესი 0:1**

**გოლი:** 0:1 დ. სოსა (17 ს.კ)

**სან ლორენსო-ბოკა 0:2**

**გოლები:** 0:1 სანჩეს მინიო (58), 0:2 მოუჩე (86)
**გაძევება:** მენდესი (90. სან ლორენსო), ბუენო (90. სან ლორენსო), ინსაურალდე (90. ბოკა ხუნიორსი)

**სანტა ფე-კოლონი 2:2**

**გოლები:** 0:1 მორენო ი ფაბიანესი (22), 0:2 მორენო ი ფაბიანესი (32), 1:2 ხარა (62), 2:2 კორეა (67)

**არსენალი-რასინგი 0:0**

**გაძევება:** ტორანსო (78. რასინგი)

**ტიგრე-ლანუსი 1:0**

**გოლი:** 1:0 მორალესი (3-პენ)
**გაძევება:** კამორანეზი (86. ლანუსი)

**ოლიმპო-ატლეტიკო 2:1**

**გოლები:** 1:0 ფრანსოია (19), 1:1 განდინი (40-პენ), 2:1 როლე (90)

**ოლ ბოისი-ველესი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 10 |
| 2. ტიგრე | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 3. ველესი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 4. ესტუდიანტესი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 5. ოლ ბოისი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-0 | 8 |
| 6. ბელგრანო | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 7. ლანუსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 8. ოლიმპო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 9. სან მარტინი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 10. კოლონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 11. გოდოი კრუსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 12. ატლეტიკო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 4 |
| 13. არხენტინოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 14. ნიუელსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 15. სან ლორენსო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 16. ბანფილდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-9 | 4 |
| 17. არსენალი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| 18. სანტა ფე | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 19. რასინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-3 | 2 |
| 20. ინდეპენდ. | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - გასტონ კარპარი (სან მარტინი), ანდრე ფრანსოია (ოლიმპო), დარიო განდინი (ატლეტიკო); 3 - ივან მორენო ი ფაბიანესი (კოლონი), მარიანო პავონე (ლანუსი).

**მომდევნო ტური**

9 მარტი: **ესტუდიანტესი-ლანუსი, კოლონი-ნიუელსი.**

10 მარტი: **არხენტინოსი-სან მარტინი, რასინგი-ოლ ბოისი, ბელგრანო-სან ლორენსო.**

11 მარტი: **ბანფილდი-ტიგრე, გოდოი კრუსი-არსენალი, ატლეტიკო-სანტა ფე, ბოკა-ინდეპენდიენტე, ველესი-ოლიმპო.**

არგენტინის მოქმედმა ჩემპიონმა „ბოკა ხუნიორსმა“ კლაუსურა ბრწყინვალედ დაიწყო, 4 ტურის შემდეგ მარცხი არ იცის, არც გოლი გაუშვია, თუმცა ერთპიროვნული ლიდერი მაინც არ არის - 10-ქულიანი სან ფერნანდოს „ტიგრეცაა“, რომელიც ამავდროულად (და ეს არგენტინული ფეხბურთის მორიგი უცნაურობაა)... გასავარდნ ზონაშია.

„ბოკამ“ სტუმრად „კლასიკო“ მოიგო, „სან ლორენსო“ 2:0 დაამარცხა. მასპინძელთა გუნდი არაფრად არ ვარგოდა, მაგრამ ვერც „ბოკას“ თამაში მოხიბლავდა ნეიტრალურ გულშემატკივარს, რომ არა ბოლო წუთზე დატრიალებული მოვლენები კლასიკოს ჩვეულებრივი მატჩისგან ვერც კი გამოარჩევდით. კვლავ აქტიური იყო წინა ხაზზე გამწესებული **ცვიტანიჩი**, მაგრამ **რიკელმეს** არყოფნაში, ცვიტანიჩის სხვა ფეხბურთელებთან დამაკავშირებელი არავინ იყო. **სანტიაგო სილვა**, რა თქმა უნდა, ბევრს ცდილობდა, მაგრამ ჯერ ის ბოლომდე ვერ უგებს თანაგუნდელებს. ანგარიში ახალგაზრდა **სანჩეს მინიომ** გახსნა, რომელსაც პროფესიულ დონეზე დებიუტი სეზონის დასაწყისში ჰქონდა, მან შორი მანძილიდან გაიტანა „სან ლორენსოს“ კარში. მეორე გოლი **პაბლო მოუჩემ** ძალზე იოლად გაიტანა, **რივეროს** პასის შემდეგ მოუჩეს წინ კარი ცარიელი იყო - 0:2.

„ტიგრემ“ „ლანუსი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 1:0. მასპინძლებმა ადრევე გაიტანეს და შემდეგ დაცვაში ისე მწყობრად ითამაშეს, რომ „ლანუსს“, **პავონეს** ერთ-ორ შორეულ გასროლას თუ არ ჩავთვლით, შანსი არც ჰქონია. ანგარიში კი მე-4 წუთზე **დიეგო მორალესმა** მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გახსნა. მეორე ტაიმში ყველასთვის კარგად ნაცნობმა **მაურო კამორანეზიმ** მეტისმეტად იუხეშა **გასტონ დიასის** წინააღმდეგ და „ლანუსის“ იტალიელი ვეტერანი სამართლიანად გააძევეს.

„არხენტინოს ხუნიორსთან“ საშინაო მარცხი (1:3) ძვირად დაუჯდა „ინდეპენდიენტეს“ თავკაც **რამონ დიასს**, ის აიძულეს გადამდგარიყო. *„შედეგი არ მაქვს, ამიტომ უნდა წავიდე“*, - განაცხადა დიასმა. „წითელმა ეშმაკუნებმა“ ზედიზედ მე-4 მარცხი იწვნიეს, ასე რომ, დიასის გადადგომა ლოგიკური გახლდათ.

**ტურის გმირი**

„ტიგრე“ ორ ფრონტზე იბრძვის: ჩემპიონობისთვის და პრიმერაში ადგილის შენარჩუნებისთვის. დიეგო მორალესმა დაამტკიცა, რომ კლუბისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. „მატადორმა“ თავადვე მოიპოვა და გაიტანა პენალტი, რომელმაც „ტიგრეს“ ჩემპიონობის კანდიდატ „ლანუსზე“ გაამარჯვებინა.

**ტურის გოლი**

ყველაზე ლამაზი გოლი „სან მარტინის“ მცველმა **დიეგო სოსამ** გაიტანა... ოღონდ, ერთი პრობლემაა: ბურთი მან საკუთარ კარში ჩაჭრა.

**ვინ ვარდება**

20. ოლიმპო - 1,147; 19. ტიგრე - 1,202; 18. სანტა ფე - 1,217; 17. სან ლორენსო (1,232); 16. ატლეტიკო - 1,304.

***შენიშვნა:*** *ინდექსით ბოლო ორი გუნდი ეგრევე ვარდება, მე-17 და მე-18 გადათამაშებაში იასპარეზებს.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ასეთი სიტუაცია სანტა ფეს დერბიში, სანტა ფე-კოლონი 2:2 მორჩა

### ● პრემიერლიგა. XXVII ტური. შეჯამება



რობინ ვან პერსის წინაშე ლამის ყველა კარი ღიაა

# ის, რაც ამ ტურში შევიტყვეთ

გასულ უქმეებზე პრემიერლიგაში დიდი ტური იყო, რომელმაც ბევრი რამ გაარკვია. უპირველესად ის, რომ საჩემპიონო რბოლას ორი გუნდიღა შემორჩა. "ტოტენჰემი" ამ ბრძოლას ალბათ საბოლოოდ ჩამორჩა. აქ ლაპარაკი გვაქვს პრაქტიკულ შანსებზე, თორემ თეორიულად შეიძლება ოქროს მედლებისთვის "ლივერპულმაც" გამოიღოს ხელი, ვინც "მანჩესტერ სიტის" უკვე 27 (ოცდაშვიდი) ქულით ჩამორჩება. ენფილდელებს ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლაც გაუჭირდებათ, რადგან "არსენალი" 10-ქულიან ჰანდიკაპს ფლობს. სამაგიეროდ, ზემოთ ხსენებულ ჩრდილოლონდონურ კლუბებს შორის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდება მეოთხე ადგილისთვის, რომელიც პირდაპირ იძლევა ჩემპიონთა ლიგის საგზურს.

**1. ვან პერსის გაყიდვა თვითმკვლელობის ტოლფასია**

თავისთავად ეს 27-ე ტურის აღმოჩენად არ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ მაშინ, როცა ინტენსიურად წერენ, რომ 28 წლის ჰოლანდიელმა შეიძლება "ემირიტსი" დატოვოს და კარიერა ინგლისის ფარგლებს გარეთ განაგრძოს (დაინტერესებულ კლუბებს შორის ყველაზე ხშირად "ბარსელონა" სახელდება), ბუნებრივია, ამის კიდევ ერთხელ ხაზგასმა უპრიანი იქნება. მიმდინარე სეზონში "არსენალის" ბრძოლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა "მორიგ მფრინავ ჰოლანდიელზეა" დამოკიდებული. ვან პერსი კი წელს იშვიათი გამონაკლისების გარდა სულ ფორმაშია. პრემიერლიგაში მან უკვე გაიტანა 25 გოლი, რაც "არსენალის" მიერ გატანილი ბურთების 45%-ზე ცოტა მეტია. მის ანგარიშზე 5-ით ნაკლები ბურთია, ვიდრე მთელი "ლივერპულის". ვან პერსის უფრო მეტი ბურთი აქვს ვიდრე **სუარესს, კეროლს, ტორესს, დროგბასა** და **სტარიჯს** ერთად. მოკლედ, ჰოლანდიელის წასვლას ვერავითარი ფულადი კომპენსაცია ვერ აანაზღაურებს. იმედგაცრუება ლონდონში გატარებული უტიტულო სეზონების გამო ვან პერსის თვალებში, რა თქმა უნდა, იკითხება. იმისთვის, რომ კლუბმა ის კიდევ რამდენიმე წლით დარჩენაზე დაიყოლიოს, მისთვის მომატებული ხელფასის გადახდა და გუნდის რეალურად გაძლიერების გეგმის წარდგენა მოუწევს. თუმცა ვერც ერთი და ვერც მეორე ამის გარანტია ვერ გახდება.

**2. გულფი სიგურდსონი: ამომავალი ვარსკვლავი**

ნახევარმცველი ინგლისში გერმანიიდან იანვარში გადავიდა და ნელ-ნელა შედის ფორმაში. ფეხბურთელი, ვისაც "ჰოფენჰაიმის" ძირითადში ადგილს არ ანდობდნენ, "სუონსის" ძალიან ადგება. ჯერჯერობით უელსულ კლუბში ის იჯარით თამაშობს. ფეხბურთელს სტანდარტული მდგომარეობების ბრწყინვალე ოსტატად ახასიათებენ. სიგურდსონმა 21-ე ტურში "არსენალთან" სადებიუტო შეხვედრაშივე შეძლო საგოლე გადაცემის შესრულება. ბოლო მატჩში კი "უიგანთან" სულაც დუბლი შეასრულა. თუკი ისლანდიელი ასევე გააგრძელებს, სეზონის დასრულების შემდეგ ის ან "ჰოფენჰაიმში" დაბრუნდება, ანაც პრემიერლიგის რომელიმე უფრო ამბიციურ კლუბში ამოყოფს თავს.

**ტურის ნაკრები:**

**მიხაელ ვორმი** (ნიუკასლი) – **გარეთ მაკაული** (ვესტ ბრომვიჩი), **სტივენ კოლკერი** (სუონსი), **ჯონი ჰეიტინგა** (ევერტონი), **ლაიამ რიჯუელი** (ვესტ ბრომვიჩი) – **ეშლი იანგი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კლინტ დემპსი** (ფულჰემი), **გულფი სიგურდსონი** (სუონსი), **მეტიუ ეზერინგტონი** (სტოკ სიტი) – **პაველ პოგრებნიაკი** (ფულჰემი), **რობინ ვან პერსი** (არსენალი)

**სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:**

1. რობინ ვან პერსი (არსენალი) - **629** ქულა
2. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - **596**
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - **543**
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - **514**
5. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) – **478**

**ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის:**

269 მატჩი
202 მოგება
67 ფრე
138 მშრალად შენახული კარი
764 გოლი
3 944 ზუსტი დარტყმა კარში
3 042 აცილება
519 ფეხბურთელი
68 ეროვნების
15 ჰეთ თრიკი
853 ყვითელი ბარათი
49 წითელი ბარათი
9 233 928 ფანი სტადიონებზე

**ტურის გმირი**

**რობინ ვან პერსი**

"ენფილდზე" ორი გოლის გატანა და ლეგენდარულ სტადიონზე "ლივერპულის" დამარცხებას ყველა ვერ ახერხებს. მით უფრო, რომ ამ გამარჯვებით ჩემპიონთა ლიგის ოთხეულისთვის მისი გუნდი აშკარა ფავორიტი გახდა.

**ტურის მწვრთნელი**

**სერ ალექს ფერგიუსონი**

წინა დღეს „მანჩესტერ სიტის“ იოლი გამარჯვების შემდეგ „უაით ჰართ ლეინზე“ მის გუნდს მძიმე დაპირისპირება ელოდა. შოტლანდიელმა მოახერხა და **ჰარი რედნაპს** ტაქტიკაში მწარე გაკვეთილი ჩაუტარა.

**ლივერპული-არსენალი 1:2**

**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

**ბლექბერნი-ასტონ ვილა 1:1**

**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**მანჩესტერ სიტი-ბოლტონი 2:0**

**საუკეთესო:** დავიდ პისარო (მანჩესტერ სიტი)

**ქუინზ პარკი-ევერტონი 1:1**

**საუკეთესო:** ლეიტონ ბეინსი (ევერტონი)

**სტოკ სიტი-ნორვიჩი 1:0**

**საუკეთესო:** ჯონათან უოლტერსი (სტოკ სიტი)

**ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი 1:0**

**საუკეთესო:** ხუან მატა (ჩელსი)

**უიგანი-სუონსი 0:2**

**საუკეთესო:** გულფი სიგურდსონი (სუონსი)

**ნიუკასლი-სანდერლენდი 1:1**

**საუკეთესო:** დემბა ბა (ნიუკასლი)

**ფულჰემი-ვულვერჰემპტონი 5:0**

**საუკეთესო:** პაველ პოგრებნიაკი (ფულჰემი)

**ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ 1:3**

**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 27 | 21 | 3 | 3 | 69-19 | 66 |
| 2. იუნაიტედი | 27 | 20 | 4 | 3 | 66-27 | 64 |
| 3. ტოტენჰემი | 27 | 16 | 5 | 6 | 52-33 | 53 |
| 4. არსენალი | 27 | 15 | 4 | 8 | 55-38 | 49 |
| 5. ჩელსი | 27 | 13 | 7 | 7 | 47-32 | 46 |
| 6. ნიუკასლი | 27 | 12 | 8 | 7 | 39-39 | 44 |
| 7. ლივერპული | 26 | 10 | 9 | 7 | 30-25 | 39 |
| 8. ფულჰემი | 27 | 9 | 9 | 9 | 37-36 | 36 |
| 9. სტოკ სიტი | 27 | 10 | 6 | 11 | 27-38 | 36 |
| 10. ვესტ ჰემი | 27 | 10 | 5 | 12 | 34-35 | 35 |
| 11. ნორვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 38-44 | 35 |
| 12. სანდერლენდი | 27 | 9 | 7 | 11 | 35-31 | 34 |
| 13. ევერტონი | 26 | 9 | 7 | 10 | 27-28 | 34 |
| 14. სუონსი | 27 | 8 | 9 | 10 | 30-34 | 33 |
| 15. ასტონ ვილა | 27 | 6 | 12 | 9 | 30-35 | 30 |
| 16. ქუინზ პარკი | 27 | 5 | 7 | 15 | 28-46 | 22 |
| 17. ბლექბერნი | 27 | 5 | 7 | 15 | 38-60 | 22 |
| 18. ვულვზი | 27 | 5 | 7 | 15 | 30-56 | 22 |
| 19. ბოლტონი | 27 | 6 | 2 | 19 | 29-56 | 20 |
| 20. უიგანი | 27 | 4 | 8 | 15 | 23-52 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 18 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 16-16 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), დემბა ბა (ნიუკასლი); 13-13 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი); 12 –კლინტ დემპსი (ფულჰემი); 11-11 – ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), მარიო ბალოტელი (მანჩესტერ სიტი).

**ასისტენტები:** 12 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი); 9-9 – ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), ხუან მატა (ჩელსი); 8-8 - რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი), რობინ ვან პერსი (არსენალი), ლუიშ ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი).

**ლევან ბიბილაშვილი**

● სერია A. XXVI ტურის შეჯამება. ნაწილი II

# ლუის ენრიკე და სამართლიანობა

## სიმბოლური, გმირი, ციფრები და ფაქტები



დიეგო ფორლანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა



ზლატან იბრაჰიმოვიჩი გოლების რაოდენობით ანტონიო დი ნატალეს გაუთანაბრდა

**გუშინ, XXVI ტურის ყველაზე მნიშვნელოვან და გახმაურებულ მოვლენებზე გავამახვილეთ ყურადღება, დღეს კი სიმბოლურ ნაკრებზე, გმირზე, ციფრებზე და ფაქტებზე გვექნება საუბარი. მოკლედ, როგორც დაგპირდით, ტურის შეჯამების მეორე ნაწილი მეტწილად სტატისტიკურ მონაცემებს დაეთმობა...**

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**სორენტინო** (კიევო) - **სანტაკროჩე** (პარმა), **აჩერბი** (კიევო), **ტიაგო სილვა** (მილანი) - **ბრედლი** (კიევო), **ალმირონი** (კატანია), **მაური** (ლაციო) - **სკული** (ჯენოა), **ვარგასი** (ფიორენტინა) - **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **ფორლანი** (ინტერი).

ტურის სიმბოლურ ნაკრებში **დიეგო ფორლანი** მოხვდა, რომელიც აქამდე მუდმივად კრიტიკის სუბიექტი იყო... ეს უდავოდ აღსანიშნავი მოვლენაა, განსაკუთრებით „ინტერის“ გულშემატკივრებისთვის, რომლებსაც სჯერათ, რომ ურუგვაელ ფორვარდს ერთი მნიშვნელოვანი გოლი სჭირდებოდა პრობლემების დასაძლევად. ფორლანი **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად არის ტანდემში, რომელმაც „პალერმოს“ ჰეთთრიკი შეუსრულა და სიცილიურ გუნდს ფაქტობრივად მარტომ მოუგო. ზლატანმა ერთ-მეორეზე უკეთესი გოლები გაიტანა და ბომბარდირთა დავაში **ანტონიო დი ნატალეს** გაუთანაბრდა.

ნახევარმცველთა შორის **სტეფანო მაურის** გამორჩევა შეიძლება, რომელიც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს და დედაქალაქურ დერბიში გამარჯვების გოლი გაიტანა. დაცვაში ტრადიციულად **ტიაგო სილვას** ვხედავთ, რომელიც ბრწყინვალე იყო „პალერმოსთან“ შეხვედრაში და არა მარტო უშუალო მოვალეობების შესრულებისას, შეტევაშიც კი - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ულამაზესი გოლი გაიტანა და სიცილიელთა რბევას წერტილი დაუსვა.

### ტურის გმირი

ტურის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი რა თქმა უნდა ზლატან იბრაჰიმოვიჩია, რომელმაც „პალერმოსთან“ ჰეთთრიკი შეასრულა. თუმცა, იბრას გოლებზე უკვე იმდენი ითქვა და იმდენი დაიწერა, რომ ბევრს ველარაფერს დავამატებთ. ამიტომ, სიტყვას პირდაპირ ზლატანს გადავცემთ, რომელმაც საკუთარ თამაშს, როგორც ყოველთვის, მაღალი შეფასება მისცა:

*„იტალიაში ჰეთთრიკის შესრულება განსაკუთრებულად რთულია და ძალიან მიხარია, რომ ასე შედეგიანად ვიასპარეზე. საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ, რადგან პრაქტიკულად ყველაფერი გამომივიდა, რისი გაკეთებაც მსურდა. ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში გუნდი ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება, ეს კი ძალიან კარგი ამბავია. მთავარია, ტრავმირებული ფეხბურთელები მალე დაგვიბრუნდნენ და შემდეგ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“.*

### ტურის ფრაზა

**ლუის ენრიკე (რომას მთავარი მწვრთნელი დერბიში ნაგების შემდეგ):** *„კარგი იქნება თუ ერთხელ მაინც დერბის თერთმეტი ფეხბურთელით ჩავამთავრებთ, რადგან საუკეთესო სამართლიან ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს“.*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** პალერმო-მილანი 0:4 (XXVI ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ჯენოა 5:3 (XIX ტური), ინტერი-პალერმო 4:4 (XXI).

### სერიები

მოგება: **ნაპოლი - 4 თამაში**
წაგება: **ჩეზენა - 4**
წაუგებლად: **იუვენტუსი - 25**
მოუგებლად: **ჩეზენა, ინტერი - 6**

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **53 გოლი - მილანი; 44 - ნაპოლი; 41 – ლაციო, პალერმო.**

საუკეთესო დაცვა: **16 გაშვებული - იუვენტუსი; 22 – მილანი; 23 – უდინეზე.**

უარესი თავდასხმა: **16 გოლი - ჩეზენა; 21 – ნოვარა, 22 - კიევო.**

უარესი დაცვა: **48 გაშვებული - ჯენოა, 46 - ნოვარა; 43 – პალერმო.**

ზუსტი გადაცემები: **14266 - მილანი; 13903 - რომა; 13410 - იუვენტუსი.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **459 - იუვენტუსი; 410 - რომა; 400 – ინტერი, მილანი.**

კარში დარტმები: **160 - იუვენტუსი; 147 - მილანი; 130 - ნაპოლი.**

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 18 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 16 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 15 - ხერმან დენისი (ატალანტა); 14 - როდრიგო პალასიო (ჯენოა); 13 - მიროსლავ კლოზე (ლაციო), დიეგო მილიტო (ინტერი).

**ასისტენტები:** 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 8 - პაბლო არმერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), რობინიო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), ჯიბრილ სისე (ლაციო); 5 - ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

**ზუსტი პასები:** 1926 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1683 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1588 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1501 - ტიაგო სილვა (მილანი); 1489 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1477 - დანიელე დე როსი (რომა).

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 112 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 92 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 84 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 81 - ედინსონ კავანი (ნაპოლი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 80 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

**კარში დარტყმები:** 50 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 36 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 34 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 33 - ხერმან დენისი (ატალანტა), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 28 – მიროსლავ კლოზე (ლაციო), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

**ჯარიმები:** 62 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 60 - ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 57 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა), მატია დესტრო (სიენა); 56 - ხუან კუადრადო (ლეჩე), ხერმან დენისი (ატალანტა); 54 - ლუკა მორონე (პარმა), გაბი მუდინგაი (ბოლონია).

**ციფრები და ფაქტები:** "ლაციომ" რომაული დერბი ნომინალური სტუმრის რანგში პირველად მოიგო 1997 წლის შემდეგ;

■ ■ ■

"ლაციომ" სეზონში ორივე დერბი პირველად მოიგო 1996/1997 წლების სეზონის შემდეგ;

■ ■ ■

"რომამ" პირველი მატჩი წააგო 2012 წელს "სტადიო ოლიმპიკოზე";

■ ■ ■

"ინტერმა" 543-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა გაუტანა რა "კიევოს";

■ ■ ■

"ინტერმა" 4-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა ეთამაშა რა ფრედ "კიევოს";

■ ■ ■

"კატანიას" არასდროს მოუგია "ინტერისთვის" "ჯუზეპე მეაცაზე";

■ ■ ■

"პალერმოს" კარში ზლატან იბრაჰიმოვიჩს 10 გოლი აქვს გატანილი, სხვა არც ერთი გუნდის კარი შვედს ამდენჯერ არ დაულაშქრავს;

■ ■ ■

"იუვენტუსმა" ბოლო 5 თამაში 4 ფრედ დაასრულა;

■ ■ ■

"კიევოს" მცველმა ბუკარი დრამემ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

"პარმამ" პირველად წააგო საკუთარ მოედანზე გასული წლის 23 ოქტომბრის შემდეგ;

■ ■ ■

"ფიორენტინამ" 3-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, მატია ნასტასიჩმა კი პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

"ლეჩეს" 5 მატჩია არ წაუგია;

■ ■ ■

"ჯენოას" 5 თებერვლის შემდეგ არ მოუგია, 2 ფრე და 3 მარცხი;

■ ■ ■

"სიენას" არასდროს წაუგია საკუთარ მოედანზე "კალიარისთან";

■ ■ ■

თუ ევროპის ლიგის პაექრობასაც გავითვალისწინებთ, "უდინეზემ" მიჯრით მესამე საშინაო შეხვედრა დაასრულა ნულოვანი ფრით.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 53-22 | 54 |
| 2. იუვენტუსი | 25 | 13 | 12 | 0 | 38-16 | 51 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 41-30 | 48 |
| 4. უდინეზე | 26 | 13 | 7 | 6 | 37-23 | 46 |
| 5. ნაპოლი | 26 | 11 | 10 | 5 | 44-25 | 43 |
| 6. რომა | 26 | 11 | 5 | 10 | 39-33 | 38 |
| 7. ინტერი | 26 | 11 | 4 | 11 | 36-36 | 37 |
| 8. კატანია | 25 | 8 | 10 | 7 | 34-35 | 34 |
| 9. პალერმო | 26 | 10 | 4 | 12 | 39-43 | 34 |
| 10. კიევო | 26 | 9 | 7 | 10 | 22-31 | 34 |
| 11. ატალანტა | 26 | 9 | 11 | 6 | 30-28 | 32 |
| 12. ჯენოა | 26 | 9 | 5 | 12 | 35-50 | 32 |
| 13. ფიორენტინა | 25 | 8 | 7 | 10 | 25-25 | 31 |
| 14. ბოლონია | 25 | 8 | 7 | 10 | 25-29 | 31 |
| 15. კალიარი | 26 | 7 | 10 | 9 | 23-28 | 31 |
| 16. სიენა | 26 | 7 | 8 | 11 | 30-28 | 29 |
| 17. პარმა | 25 | 7 | 8 | 10 | 30-39 | 29 |
| 18. ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 30-42 | 25 |
| 19. ნოვარა | 25 | 3 | 8 | 14 | 20-44 | 17 |
| 20. ჩეზენა | 25 | 4 | 4 | 17 | 16-40 | 16 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### დღეს

| | |
|---|---|
| ბოლონია-იუვენტუსი | 21:30 |
| ჩეზენა-კატანია | 21:30 |
| პარმა-ფიორენტინა | 21:30 |

### მომდევნო ტური

**9 მარტი:** ნაპოლი-კალიარი, კიევო-ინტერი;
**10 მარტი:** პალერმო-რომა;
**11 მარტი:** ნოვარა-უდინეზე, ჯენოა-იუვენტუსი, ატალანტა-პარმა, მილანი-ლეჩე, ჩეზენა-სიენა, კატანია-ფიორენტინა, ლაციო-ბოლონია.

● უცნაური ამბავი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ატილიო ტესერი

# ნოვარას ტესერი დაუბრუნდა

უცნაური ამბავი გავრცელდა გუშინ იტალიურ სპორტულ პრესაში, რომელიც შემდეგ ოფიციალურად დადასტურდა - „ნოვარას“ მესვეურებმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ემილიანო მონდონიკოს** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად გუნდი **ატილიო ტესერს** ჩააბარეს. უცნაური კი ის გახლავთ, რომ მონდონიკო სულ რაღაც 37 დღის წინ ჩაუდგა „ნოვარას“ სათავეში და მაშინ სწორედ ტესერი ჩაანაცვლა.

ძნელია ასეთ გადაწყვეტილებას ლოგიკური ახსნა მოუძებნო, მაგრამ როგორც ჩანს, „ნოვარას“ მესვეურებს ტესერის მიმართ ნოსტალგია მოეძალათ - ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამ მწვრთნელთან არის დაკავშირებული გუნდის ბოლოდროინდელი ალმასვლა. შეგახსენებთ, რომ ატილიო ტესერის თავკაცობით, „ნოვარამ“ ორ წელიწადში განვლო გზა ლიგა პროდან სერია A-მდე.

● ინტერი

# ვილაშ ბოაში მოურინიოს კვალზე?

## 2-წლიანი კონტრაქტი და 3 მილიონი სეზონში

მას შემდეგ, რაც **ანდრე ვილაშ ბოაში** „ჩელსიდან“ დაითხოვეს, იტალიურ სპორტულ პრესაში არ წყდება საუბრები მისი „ინტერში“ შესაძლო დანიშვნის შესახებ. ამ საკითხზე კომენტარი მილანური გრანდის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა და აღნიშნა, რომ პორტუგალიელ სპეციალისტთან მოლაპარაკების დაწყება დღის წესრიგში არ დგას. თუმცა, აპენინელი ჟურნალისტები თავისას არ იშლიან და აცხადებენ, რომ დიდი ალბათობით, ზაფხულში მილანურ გრანდს სწორედ ანდრე ჩაუდგება სათავეში.

„კორიერე დელო სპორტი“ კიდევ უფრო წინ წავიდა და სანდო წყაროზე დაყრდნობით, მხარეთა შეთანხმების შესახებ გაავრცელა ცნობა. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ვილაშ ბოაში „ინტერთან“ 2-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და სეზონში 3 მილიონ ევროს მიიღებს. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ანდრე ვილაშ ბოაში

დრიბლინგი

უცხოური ფეხბურთი

გოტფრიდ ლენცის საავტორო რუბრიკა

# მართლაც R.I.P! ანდრემ მოისვენა!

## კარგი რა, მანჩინი! აი, ზუსტად ცოლიღა აკლია ბალოტელის...

**„დრიბლინგს“ ამჯერად ინგლისიდან ვიწყებთ. იმიტომ კი არა, რომ პრემიერლიგა სერია A-ს ჯობია – უბრალოდ, ანდრე ვილაშ ბოაშის გაგდებას ვზეიმობთ. გასაგებია, რომ ეს ამბავი ქართველებს ფეხებზე გვკიდია, მაგრამ „ჩელსის“ ფანებს ხომ უნდა მივუჟახუნოთ ჭიქა?**

### ინგლისი

*„იმედგაცრუებულები ვართ იმის გამო, რომ ეს ურთიერთობა ასე მალე დამთავრდა,“* – წერდა „ჩელსის“ ოფიციალური ვებ-გვერდი კვირას, ნაშუადღევს. ასე მალე? აბა, ხალხს ჰკითხონ! ჩვენ, რა თქმა უნდა, ხალხის მხარეს დავიჭერთ და ვიტყვით, რომ უფრო ადრე უნდა დამთავრებულიყო. მოკლედ, როგორც იქნა, **ანდრე ვილაშ-ბოაშის** ტანჯვა-წვალებას ბოლო მოეღო. „ვესტ ბრომვიჩთან“ წაგებამ (0:1) და გაუბედურებული პორტუგალიელი მწვრთნელის სიტყვებმა, გუნდმა 300 პროცენტით უნდა მოუმატოს, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიოსო, **რომან აბრამოვიჩს** მოთმინების ფიალა ბოლოს და ბოლოს აუვსო. რუსმა ოლიგარქმა კვირას „ჩელსის“ ბაზას მიაშურა, სადაც 34 წლის ვილაშ-ბოაში ელოდა – ანდრემ შაბათს ძალიან გვიანობამდე იმუშავა (ნეტა, რას აკეთებდა?) და ღამეც ბაზაზევე გაუთენებია. ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, ბოლო დროს პორტუგალიელი სპეციალისტი სულ ბაზაზე ალამებდა და ათენებდაო...

**კარლო ანჩელოტის** კომპენსაცია, პლუს „პორტუსთვის“ გადახდილი 15 მილიონი ევრო, ვილაშ-ბოაშის 257-დღიანი მუშაობა – აბრამოვიჩს „ანდრეს პაკეტი“ საერთო ჯამში 53-დან 60 მილიონ ევრომდე დაუჯდა. ცოტაც და ეს წყალში გადაყრილი ინვესტიცია თავისი ღირებულებით **ფერნანდო ტორესის** „ფლოპს“ (60 მილიონი) გადაუჯოკრავდა. ტორესზე ახალი ისაა, რომ 2011 წლის იანვრიდან დღემდე, ესპანელის მონაგარი თითო მწვრთნელთან ორი პრემიერლიგული გოლია.

„მირორი“ წერს, მომდევნო სეზონში „ჩელსის“ ან ისევ **ჟოზე მოურინიომ** უნდა მიხედოს, ანაც **პეპ გვარდიოლამ**, რომელსაც აბრამოვიჩი „ჩელსის“ „ლურჯ ბარსელონად“ გადაქცევას დაავალებსო. მანამდე კი, „არისტოკრატების“ მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** იქნება. ტაბლოიდი „სანი“ კარგს არაფერს წინასწარმეტყველებს: ამ გაზეთის ცნობით, „ჩელსის“ ფეხბურთელები დი მატეოს ვილაშ-ბოაშზე მეტად ვერ იტანენ...

■ ■ ■

წინა კვირის დასაწყისში „მანჩესტერ სიტის“ თავკაც **რობერტო მანჩინის** წარმოუდგენელი სიტყვები აღმოხდა – **მარიო ბალოტელი** დაჭკვიანდა და უნდა ნახოთ, მოედნის მიღმაც რა კარგად იქცევაო. ცხადია, „მანჩოს“ სიტყვების სისწორეში მაშინვე ყველას ეჭვი შეეპარა და აჰა: „ბოლტონთან“ მატჩამდე (2:0) ორი დღით ადრე, ბალოტელი ლივერპულის ერთ-ერთ სტრიპტიზ-კლუბს სტუმრობდა, სადაც შუაღამის სამ საათამდე დარჩენილა.

მანჩინი, რა თქმა უნდა, განრისხდა და ნახევრად ხუმრობით და ნახევრად გაბრაზებით თქვა, ბალოტელი ჩემი ვაჟი რომ იყოს, ერთს კარგად მივტყეპავდიო. რაკი ეს ფეხბურთელის უფლებების დარღვევაა, რობერტომ მარიო ვერ მიტყიპა. სამაგიეროდ, ბალოტელის გუნდის შიდა განაწესის დარღვევისთვის 300 000 ევროს გადახდა დააკისრეს. მოკლედ, მოუთოკავ მარიოს პირადი ცხოვრება ძალიან ძვირი უჯდება. ამიტომაც, მანჩინიმ მას დაქორწინება ურჩია!..

### იტალია

დერბის მოგება გარკვეულ პრობლემებს ყოველთვის აგვარებს - რომში კი ერთბაშად ყველა პრობლემას „აყომარებს“ ხოლმე! „რომასთან“ უკიდურესად მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, „ლაციოში“ ისევ იდილიაა, ნამდვილი სამოთხე. ყველას დაავიწყდა, რომ რამდენიმე დღის წინ **ედი რეია** ჩემოდნებზე იჯდა, ფანები ფეხბურთელებს ცემით ემუქრებოდნენ და იტალიური პრესა კი წერდა, რომ პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ ჯანფრანკო ძოლა** დაითანხმა. რომაულ დერბიში გამარჯვებამ კი ძოლას ჩემოდნები ისევ დააცლევინა!

*„ძოლა ნამდვილად დაინიშნება „ლაციოს“ მწვრთნელად, ოღონდ, 10 წლის შემდეგ!“* - ლამის ყვიროდა გახარებული რეია მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე და იქვე კიდევ ერთი ძალიან ოპტიმისტური განცხადებაც გააკეთა – იმედი მაქვს, რომ უახლოესი ორი თვის განმავლობაში მშვიდად მუშაობის საშუალება მომეცემაო.

სამაგიეროდ, ახლა „რომას“ თავკაც **ლუის ენრიკეს** აქვს სერიოზული პრობლემები. *„მოვიგებ ოთხ თამაშს და ფენომენს მიწოდებენ, ფეხქვეშ მეგებიან, მაგრამ მერე საკმარისია, ერთი თამაში წავაგო, რომ ყველასათვის უკანალის ხვრელი ვხდები. ეს რა უბედურებაა?“* - ხასიათწამხდარი იყო ესპანელი მწვრთნელი. ნუთუ ახლა გაიგო, რომ „ლაციოსთან“ წაგება „რომასთვის“ ზედიზედ 10-15 თამაშის წაგების ტოლფასია? ასეა თუ ისე, ლუის ენრიკე ახლა ისევ „უკანალის ხვრელია“ და ამ სტატუსის მოსაშორებლად მინიმუმ 4-მატჩიანი მოგებათა სერია დასჭირდება...

■ ■ ■

არა, ამ ხალხის გამოსწორება არ იქნება! ევროპაში მაიმუნებს ისევ ერჩიან!

ამჯერად „ლაციოს“ ფანებმა აიმყრალეს პირი და მაიმუნთა მოდგმისთვის დამახასიათებელი უესტ-შეძახილები „რომას“ შავკანიან მცველ **ჟუანს** მიუძღვნეს. ბრაზილიელი შეეცადა, თავი დაეცვა და „ლაციოს“ ფანების ტრიბუნას ამის შეწყვეტისკენ მოუწოდა. გამოიცანით, რა მოხდა ამ დროს? ცხადია, ცხადია: უესტ-შეძახილები კიდევ უფრო გაძლიერდა. მოკლედ, ეს ფსევდო-რასიზმი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც სტადიონზე გამოაცხადეს, თუ არ გაჩერდებით, მსაჯი მატჩს შეწყვეტსო.

რატომ ვუწოდეთ ამ ყველაფერს ფსევდო-რასიზმი? იმიტომ, რომ ნახევარი რომი მართლა რასისტი რომ იყოს, „ლაციოს“ შემადგენლობაში არც **ჯიბრილ სისე** იქნებოდა და არც **მობიდო დიაკიტე**. სხვათა შორის, მოგვიანებით, ეს თეორია „რომას“ ფანებმა გააშარჟეს და ასეთივე გამოხტომებით დიაკიტე აიკლეს. ყველაზე სასაცილო კი მაინც ის იყო, რომ მანამდე ჟუანს **დანიელე დე როსიმ** და **მიროსლავ კლოზემ** დაუყვავეს – მაგათ ნუ უსმენ, ჩვენ დაგვიჯერე, მაიმუნს ნაღდად არ ჰგავხარო.

თამაშის შემდეგ, ამ ფსევდო-რასისტულ ფონზე დაძაბული სიტუაცია სწორედ კაცურმა კაცმა, ჯიბრილ სისემ განმუხტა. *„ლაციოს ფანებს უბრალოდ მოწინააღმდეგის გაბრაზება უნდოდათ. ჟუანი კი ამაზე წამოეგო. როგორც ჩანს, კომპლექსიანი კაცია და აიჭრა. მეც შავკანიანი ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ „ლაციოს“ ფანებს ვუყვარვარ. რაც შეეხება მთავარს: ჩემთან სექსზე ულამაზესი გოგონები ოცნებობენ და თუ ვგავარ, დაე ვგავდე მაიმუნს. ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუ ამ ყველაფერს უფრო მარტივად შევხედავთ,“* - თქვა მან.

აგაშენა ღმერთმა, ჯიბრილ! ჩვენც მანდ ვართ.

■ ■ ■

როგორც იცით, „მილანი“-„იუვენტუსის“ ყველასათვის კარგად ცნობილი და უკვე ათასჯერ გადაღეჭილი ამბავის შემდეგ, იტალიაში მთავარი სალაპარაკო თემა მთელი კვირის მანძილზე მსაჯები იყვნენ. „რომამ“ „ლაციოს“ ანგარიში რომ გაუთანაბრა, ბურთმა კარის ხაზი 56 სანტიმეტრით გადაკვეთა, რაც ლაინსმენმა კარგად დაინახა. თუმცა საუკეთესო ლაინსმენის წოდება ჩვენი ენაკვიმატი იტალიელი კოლეგებისგან სხვა მსაჯმა, „ლეჩე“-„ჯენოას“ (2:2) ლაინსმენმა დაიმსახურა: გენუელებმა ანგარიში რომ გახსნეს, ბურთმა კარის ხაზი სულ რაღაც 2 სანტიმეტრით გადაკვეთა! შესაბამისად, ეს ლაინსმენი დიდ პატივისცემას იმსახურებს და ალბათ პრემიაც გამოუწერეს.

მაგრამ მსაჯობის ამბავში ყველაფერმა კარგად მაინც არ ჩაიარა. „პარმასა“ და „ნაპოლის“ ნერვიულ მატჩში, **ესეკიელ ლავეციმ** გამარჯვების გოლი უდიდესი ოფსაიდიდან გაიტანა, მანამდე კი „პარმას“ ასპროცენტიანი პენალტი არ დაუდეს. ყველაზე საინტერესო ამ მატჩში მაინც ნეაპოლელი ფანების ერთ-ერთი ტრანსფარანტი გახლდათ, რომელზეც ეწერა: *„დედა, ჩაყარე მაკარონი და მე ნუ დამელოდები, მარტომ ივახშმე. ჩვენ აქ პარმელებს ჭკუას ვასწავლით და ეჭვი მაქვს, ეს ამბავი დიდხანს გასტანს...“*



იმ დღეს ენახეთ... იცინოდა!

### ესპანეთი

„ბარსელონა“ „სპორტინგს“ ეთამაშებოდა, რასაკვირველია, კატალონიელთა დიად გამარჯვებას ველოდით – 4:0-ს, 5:0-ს, 10:1-ს ან რაღაც ამდაგვარს. 3:1-მა კი იმედები გაგვიცრუა და ეს სულ **ჟერარდ პიკეს** ბრალია, რომელმაც მსაჯს თავი გააგდებინა, მატჩის შემდეგ კი თქვა, ეს კაცი ძალიან მონდომებული იყო, რომ რომელიმე ჩვენგანი გაეძევებინაო. პიკეს ამ სიტყვებისთვის სასჯელი ელის.

შესაძლოა, პიკე იმის გამო იყო აჟიტირებული, რომ ინტერნეტში ვირუსის მატარებელი ვიდეო გავრცელდა, რომელშიც პიკეს გერლფრენდი შაკირა ვითომ **ალექსის სანჩესთან** ნებივრობს...

■ ■ ■

მოურინიო მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელად? ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი სერიოზული. არადა, ორშაბათს მოურინიო მიუნხენში ჩავიდა... წინა კვირას ჟოზე ლონდონში იმყოფებოდა და ცხადია, მაშინვე ერთი ამბავი ატყდა, „ჩელსიში“ ინიშნებაო.

*„არავის წინაშე არ ვარ ვალდებული, მოვყვე, რას და რატომ ვაკეთებ თავისუფალ დროს. მით უმეტეს, ჟურნალისტებს არ ვეტყვი არაფერს,“* - თქვა მოურინიომ შაბათს.

ოფიციალური ინფორმაციით, ჟოზემ სწორედ თავისუფალი დრო გამოიყენა იმისთვის, რომ მიუნხენი მოენახულებინა. ესპანური მედია წერს, თუ „ბაიერნის“ შეფებთან არ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ნაღდად სასტუმროს შესარჩევად იყო ჩასული – 19 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ხომ სწორედ მიუნხენში უნდა ჩატარდეს.

ჟოზე განსაკუთრებული კაცია და შეიძლება, მართლაც სასტუმროს შესარჩევად იყო ჩასული, მაგრამ იქნებ მაინც ერიოს თუნდაც სიმართლის მარცვალი იმაში, რომ „ბაიერნის“ ბოსებს, **ული ჰიონესსა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** გაესაუბრა? წყალი მხოლოდ იმას არ გაუვა, რომ მოურინიოს პირადი პრესატაშე გერმანულს სწავლობს: *„გუტენ მორგენ!“* - წერდა ამ სპეკულაციების შემდეგ **ელადიო პარამესი** სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“.

### გერმანია

შესაძლოა, დამთხვევა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უქმეებზე „ბაიერნში“ **იუპ ჰაინკესის** იმუნიტეტი მკვეთრად გაუარესდა, რაც მიუნხენური კლუბის „ლევერკუზენთან“ წაგებას და რეკორდმაისტერის მხრიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კაპიტულაციის გამოცხადებას მოჰყვა. იუპი კარგი კაცია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს... ზოგადად გუნდსაც ბევრი რამ აკლია, პირველ რიგში კი ისეთი კაცი ან კაცები, რომლებიც ასეთ დროს ილრიალებდნენ, კვერცხები გვჭირდება, კვერცხებიო. **ოლივერ კანი** მაგალითად! ან, **შტეფან ეფენბერგი**. თუნდაც მწვრთნელი - სახელდობრ ჟოზე მოურინიო. ჰაინკესმა კი მართალია, რაღაც ამგვარი თქვა (გოგონები ხომ არ ვართო), მაგრამ ისე უმარილოდ გამოუვიდა, მეტი რომ არ შეიძლება.

და იცით, ვინ გაგზავნა ასეთ სიტუაციაში ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ? **ჟერომ ბოატენგი**, რომელსაც „კოკერ სპანიელის“ გამოხედვა და საწყლად წინ გამოწეული ქვედა ტუჩი აქვს!

■ ■ ■

„კაიზერსლაუტერნისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩი 0:0 დამთავრდა, ვოლფსბურგელთა მენეჯერ-მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** კი ყველა გააოცა, როცა თქვა, მას მერე, რაც ამ გუნდში დავბრუნდი, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ, უბრალოდ, ვერ მოვიგეთო. გერმანელები გერმანელები არ იქნებოდნენ, მაშინვე ანალიზი რომ არ დაედოთ: „ვოლფსბურგს“ ამ შეხვედრაში არაზუსტი პასების 43-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა.

■ ■ ■

**მოჰამედ ზიდანმა** „მაინცის“ ფორმით მეხუთე მატჩში მეხუთე გოლი გაიტანა და გერმანელები ამაყად წერენ, იანვრის ტრანსფერებში ბუნდესლიგამ ყველას აჯობა, ყველა გუნდმა სწორი ნაბიჯები გადადგა, საუკეთესო მაგალითი კი „მაინციაო“.

ნუთუ? ინგლისში, „უიგანისა“ და „სუონსის“ დაპირისპირებაში, რომელიც 0:2 დამთავრდა, სტუმართაგან ორივე გოლი „ჰოფენჰაიმში“ დაწუნებულმა კაცმა, **გილფი სიგურდსონმა** გაიტანა, ხოლო „ფულჰემისა“ და „ვულვერჰემპტონის“ ჯახში კი, 5:0 რომ მორჩა, „შტუტგარტიდან“ გაშვებულმა **პაველ პოგრებნიაკმა** სულაც ჰეთ-თრიკი შეასრულა. ასე რომ, რა ზიდანი, რის ზიდანი... მით უმეტეს, მოჰამედი...

● ამბები

## გერერო საქადრისად დასაჯეს!

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „ჰამბურგის“ თავდამსხმელი **პაოლო გერერო** „შტუტგარტთან“ მატჩში ჩადენილი სასტიკი უხეშობისთვის საკადრისად დასაჯა: პერუელს რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს!

შეგახსენებთ, რომ შაბათს, „შტუტგარტთან“ 0:4-ზე წაგებულ მატჩში 28 წლის გერერომ შვაბთა მეკარე **სვენ ულრაიხს** კუთხურის ალმამდე ზდია და მერე უკნიდან ფეხი მუხლსუკან ჩაარტყა – თანაც, აშკარად გამიზნულად. მსაჯმა პეტერ ზიპელმა მას მაშინვე წითელი ბარათი აუფრიალა, გერმანიაში კი ეს საქციელი ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე საშინელ უხეშობად მონათლეს. ჰამბურგელები გაპროტესტებას აპირებენ, მაგრამ არა გვგონია, რომ ამან შედეგი გამოიღოს.




## პეტრიჩი ჰამბურგიდან წავა

მომავალი სეზონიდან **მლადენ პეტრიჩი** „ჰამბურგის“ ფეხბურთელი აღარ იქნება. ჩრდილოგერმანული კლუბის ოფიციალური ინფორმაციით, ხორვატ თავდამსხმელს ახალ კონტრაქტს არ გაუფორმებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პეტრიჩი HSV-ს ზაფხულში უფასოდ დატოვებს. კლუბის განცხადებით, ამის მიზეზი ახალი პოლიტიკაა, რომელიც მიზნად აქცენტის ახალგაზრდა მოთამაშეებზე გაკეთებას ისახავს.

*„მლადენმა „ჰამბურგისთვის“ ბევრი გოლი გაიტანა და დღესაც უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ მასთან ახალი ხელშეკრულება არ გავაფორმოთ, რადგან მთლიანად პოლიტიკას ვცვლით,“* - ნათქვამია კლუბის განცხადებაში. 31 წლის პეტრიჩს, რომელიც „ჰამბურგში“ 2008 წელს, დორტმუნდის „ბორუსიადან“ გადავიდა, ჰამბურგელთა ფორმით 127 მატჩში 60 გოლი აქვს გატანილი.



გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი


სამი კვირის წინ, მესის მაისურა ბოლოს კადლეცს დარჩა

# კადლეცს მესის მაისურა უკვე აქვს...

**ბარსელონა–ლევერკუზენი 23:45**

**პირველი მატჩი:** 3:1

გუშინ დილით, სანამ თვითმფრინავში ჩასხდებოდნენ და ბარსელონასკენ აიღებდნენ გეზს, ლევერკუზენელ ფეხბურთელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ. ზედიზედ სამმა მოგებამ და მათ შორის, „ბაიერნთან" 2:0-მა „ბაიერში" ხალისი დააბრუნა. თუმცა „ფარმაცევტები" კარგად ხვდებიან, რომ ამ სეზონში ეს მათთვის ბოლო საჩემპიონთალიგო მოგზაურობაა – ლევერკუზენში, რა თქმა უნდა, არავის სჯერა ის, რომ **რობინ დუტის** გუნდს „ნოუ კამპზე" „ბარსას" დამარცხება შეუძლია. შესაბამისად, გერმანელების ერთადერთი რეალური მიზანი ჩემპიონთა ლიგასთან ღირსეული გამომშვიდობებაა.

*„მხოლოდ ფეხბურთში კი არა, ზოგადად ცხოვრებაშიც არაფერი უნდა გამორიცხო, მაგრამ მე რეალისტი ვარ და რეალურად, ჩვენ „კამპ ნოუზე" 1:3-ის შემოტრიალება არ შეგვიძლია,* - თქვა გუშინ „ლევერკუზენის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** და იქვე დასძინა, - *„ბარსელონა" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია, ჩვენ კი მხოლოდ ის გვინდა, რომ „ბარსა" ცოტათი გავაბრაზოთ."*

ფიოლერმა ისიც თქვა, რომ დღეს არავითარ შემთხვევაში არ განმეორდება ისეთი სამარცხვინო ფაქტები, პირველ მატჩში „ლევერკუზენი" მთელი საფეხბურთო ევროპის დაცინვის ობიექტად რომ გადააქცია. რუდიმ ამაში **მანუელ ფრიდრიხისა** და **მიხალ კადლეცის** უთავმოყვარეო საქციელი იგულისხმა, რომლებიც **ლიონელ მესის** მაისურის გაცვლაზე ჯერ კიდევ პირველი ტაიმის შემდეგ უთანხმდებოდნენ და ერთმანეთშიც კი იკინკლავეს, ჩემი უნდა იყოს, არა, ჩემიო...

ამრიგად, დღეს „ლევერკუზენელები" მესის მაისურაზე აღარ ინადირებენ და თავმოყვარეობის აღდგენას შეეცდებიან. ფეხბურთელებს ერთი სული აქვთ, როდის გავლენ „ნოუ კამპის" მოედანზე, ქომაგებს კი თავდადებას და კარგ ფეხბურთს ჰპირდებიან. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში „ლევერკუზენის" მხრიდან „ბარსას" ძლევაზე ყველას ხელი აქვს ჩაქნეული, „ბაიერის" 4000-მა ფანმა მაინც მოისურვა კატალონიაში გამგზავრება და დღეს „ფარმაცევტებს" „კამპ ნოუზე" სწორედ ამდენი ქომაგი ეყოლება.

**მიხაელ ბალაკი** ბარსელონაში, რა თქმა უნდა, არ წასულა – როგორც იცით, 35 წლის ნახევარმცველი ტრავმირებულია. ლაზარეთშია და დღეს ვერ ითამაშებს მარჯვენა მცველი **ვედრან ჩორლუკაც** - ისევე, როგორც დიდი ხნის ტრავმირებულები: **სიდნი სემი, ტრანკუილიო ბარნეტა** და **რენე ადლერი.**

დუტისთვის, რომლის გუნდიც ევროტურნირებზე რიგით 157-ე მატჩს ჩაატარებს, მატჩის შედეგი მეორეხარისხოვანია: *„მთავარია, კარგად ვითამაშოთ. დანარჩენს კი უშუალოდ თამაში გამოაჩენს. დასაკარგი არაფერი გვაქვს, შეძენით კი, შეიძლება ბევრი რამ შევიძინოთ,"* - განაცხადა „ბაიერის" თავკაცმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მართალია, აქ ეს სულაც არ იყო საჭირო, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ „ბარსელონას" საკუთარ მოედანზე 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, გერმანულ კლუბთან კი ბოლოს 13 წლის წინ, 1998 წლის 4 ნოემბერს დამარცხდა (რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნთან" - 1:2). ისე, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ისტორიას პატარ-პატარა სასწაულები „ბარსას" წინააღმდეგაც ახსოვს: 1988 წელს „ლევერკუზენმა" „ბარსელონა" უეფას თასის მეოთხედფინალიდან გააგდო – „ულრიხ გაბერლანდ-შტადიონზე" 0:0-ის შემდეგ, „ბაიერმა" ბარსელონაში **ტიტას** გოლით 1:0 მოიგო. 28 წლის წინ კი, „მეცმა" ნამდვილი სასწაული მოახდინა: შინ „ბარსასთან" 2:4 დამარცხდა, ხოლო „ნოუ კამპზე" 4:1 მოიგო. დაახლოებით ასეთივე წარმატებას მიაღწია „კიოლნმაც" 1980 წელს: „თხები" შინ 0:1 დამარცხდნენ, ბარსელონაში კი 4:0 გაიმარჯვეს.

*„იმდროინდელ „ბარსელონებსა" და დღევანდელ „ბარსას" შორის უდიდესი სხვაობაა. ასე რომ, პარალელების გავლება უადგილოა,"* - აცხადებს ფიოლერი.

ალბათ პროტოკოლური ნათქვამია ის, რაც გუშინ „ბარსელონას" თავკაცმა **პეპ გვარდიოლამ** განაცხადა. მან თქვა, რომ გერმანული კლუბები ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან, 5-10 წუთშიც შეუძლიათ 2-3 გოლის გატანა და რომ „ბარსას" ყურადღებით ყოფნა მართებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი – დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, ადრიანო – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – ფაბრეგასი, მესი, კვენკა.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – შვააბი, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – რაინარტცი, ლ. ბენდერი – კასტრო, რენატო, შიურლე – კისლინგი.

**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**აპოელ–ლიონი 23:45**

**პირველი მატჩი:** 0:1

ნიქოზიაში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმია: აპოელ-ი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლისთვის იბრძვის და წარმატების რეალური შანსი აქვს, რადგან კვიპროსელებმა ლიონში მხოლოდ 0:1 წააგეს. შესაბამისად, ფრანგულ გრანდს აშკარა ფავორიტად ვერავინ მოიხსენიებს, თუმცა ის კი ფაქტია, რომ „ლიონი" კლასით აპოელ-ზე გაცილებით მაღლა დგას. ასე რომ, ნიქოზიელთა შანსი ბრძოლისუნარიანობასა და იღბალშია.

აპოელ-ის თავკაც **ივან იოვანოვიჩს** **მარსელო ოლივეირა** და **ალდო ადორნო** გამოუჯანმრთელდნენ, **ელიო პინტუ** კი დისკვალიფიცირებულია. „ლიონს" ტრავმის გამო **გურკუფი** აკლია, **ლოვრენი** კი გამოჯანმრთელდა. საინტერესოა ისიც, რომ **გომისს, კრისსა** და **კალსტრიომს** ყვითელი ბარათების მიღების შემთხვევაში დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრებათ, რის გამოც ფრთხილად უნდა იყვნენ. აპოელ-ში იგივე ეხებათ **ალექსანდრუს, ოლივეირას, ტრიკოვსკის, მარსინიოსა** და **პაულო ჟორჟეს.**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აპოელ (4-2-3-1):** ქიოტისი – პურსაიტიდისი, პაულო ჟორჟე, კაკა, მარსელო ოლივეირა – ნუნუ მორაისი, სოლარი – ხარალამბიდისი, ტრიკოვსკი, მანდუკა – აილტონი.

**ლიონი (4-4-2):** ლორისი – რევეილერი, ბ. კონე, კრისი, სისოხო – ბრიანი, გონალონსი, კალსტრიომი, ბასტოსი – ლისანდრო ლოპესი, გომისი.

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

საპასუხო მატჩები

# თითქმის მომხდარი სასწაული და გამარჯვებული დამარცხებულები

**არსენალი–მილანი 3:0 (0:4)**

**არსენალი (4-3-3):** შჩესნი - სანია, კოშელნი, ვერმალენი, გიბსი - როსიცკი, სონგი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (75. შამახი) - უოლკოტი (84. პარკი), ვან პერსი, ჟერვინიო.

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე, მექსე, ტიაგო სილვა, მესბა (89. ბონერა) - ნოჩერინო, ვან ბომელი, ემანუელსონი - იბრაჰიმოვიჩი, რობინიო, ელ შაარავი (69. აკვილანი).

**გოლები:** 1:0 კოშელნი (7), 2:0 როსიცკი (26), ვან პერსი (43-პენ)

**გაფრთხილება:** სანია, გიბსი, სონგი - ვან ბომელი, ნოჩერინო, იბრაჰიმოვიჩი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 22-1; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 9-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 60 000

**ბენფიკა–ზენიტი 2:0 (2:3)**

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - მ. პერეირა, ლუიზაო, ჟარდელი, ემერსონი - ვიტსელი, ხ. გარსია, გაიტანი (71. მატიჩი) - როდრიგო (62. ნოლიტო), კარდოსო (80. ოლივეირა), ბ. სეზარი.

**ზენიტი (4-1-2-3):** მალაფეევი - ანიუკოვი (53. ბრუნო ალვეში), ჰუბოჩანი, ლომბაერტსი, კრიშიტო - დენისოვი - სემაკი, შიროკოვი - ბისტროვი (46. ლაზოვიჩი), კერჟაკოვი, ზირიანოვი (70. ფაიზულინი).

**გოლები:** 1:0 მ. პერეირა (45), 2:0 ოლივეირა (92)

**გაფრთხილება:** გარსია, ოლივეირა - ანიუკოვი

**კუთხური:** 4-0; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14-4 (5-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 40 000

ასეთი რამ მხოლოდ ზღაპარში ხდება და... ხანდახან ფეხბურთში. მილანური 0:4-ის მიუხედავად, „არსენალის" მწვრთნელის, ფეხბურთელების, ხელმძღვანელების და ფანების კომენტარებიდან საოცარი მუხტი მოდიოდა. ამიტომაც, ბევრმა „არსენალი" არ „ჩამოწერა", მაშინ, როცა სხვა ნებისმიერი გუნდი აშკარად „ჩამოსაწერი" იქნებოდა. გადაჭედილი სტადიონი, მხოლოდ მოსაგებად მომართული ფეხბურთელები, ყოჩი **რობინ ვან პერსის** სახით... მეტი რა არის საჭირო და „მილანის" კარში გოლთა წვიმაც დაიწყო - ჯერ **კოშელნიმ** თავით, შემდეგ **როსიცკიმ** ჭკვიანური დარტყმით დაბალ კუთხეში და ბოლოს ვან პერსიმ პენალტის ნიშნულიდან 43-ე წუთისთვის 0:4 3:4-ად შემოატრიალეს. წინ კიდევ მთელი ტაიმი იყო, მაგრამ... მაგრამ ჩვენ ხომ დავწერეთ, ასეთი რამ მხოლოდ ზღაპარში ხდება და მხოლოდ ხანდახან ფეხბურთში, წუხელ ფეხბურთს არ გაუმართლა - „არსენალმა" მეტი ვეღარ შეძლო, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მილანი" გავიდა, თუმცა, რა თქმა უნდა, დამსახურებულად. არადა, იყო მომენტი, როცა ვან პერსი მეტრ-ნახევრიდან ურტყამდა **აბიატის** კარში და მაინცდამაინც ვეტერან გოლკიპერს მოარტყა.

მაშინ, როცა ასეთი წყვილი და ბატალიები ვიხილეთ, ცოტა უხერხულიც კია მეორე დაპირისპირებაზე, როგორც პირველის ტოლ-სწორზე წერა, თუმცა ლისაბონური „ბენფიკაც" ლიგის იმავე ეტაპზე გავიდა, სადაც „მილანი". პორტუგალიელებმა რუსულ ყინვაში წაგებული 2:3, მზიან პორტუგალიაში 2:0-ით გაქვითეს. პირველ ტაიმში **მაქსიმილიანო პერეირამ** გახსნა ანგარიში, მატჩის ბოლოს კი პორტუგალიური პუბლიკა **ნელსონ ოლივეირას** გოლმა დააწყნარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ვან პერსის შეეძლო არსენალის გმირი გამხდარიყო



ეროვნული ბიბლიოთეკა



თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# გორელთა წარუმატებელი დღე ბელგრადში




წარუმატებლად დავიწყეთ გამოსვლა ბელგრადში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე. სასტარტო დღეს ორი ქართველი ჭიდაობდა, ორივე ტიტულოვანი და გუნდის ლიდერი, თუმცა გუშინ აშკარად არ იყო გორელთა დღე – **გიორგი გოგშელიძე** (96) ადრევე გავარდა და აღარც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცა, **ოთარ თუშიშვილმა** (66) უფრო უკეთ კი იასპარეზა, ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ საბოლოოდ მაინც უმედლოდ დარჩა. მან ვერც ამჯერად აისრულა ევ-


მარცხნივ - ოთარ თუშიშვილი

როპის ჩემპიონატის მოგების დიდი სურვილი.

არადა, თუშიშვილმა ჩემპიონატი მაღალ დონეზე დაიწყო. განსაკუთრებით დამაიმედებელი იყო მისი სტატისტიკა პირველ ორ შეხვედრაში – სერბ **მირიან გეცინს** ორი პერიოდის ჯამში 11:0 (5:0; 6:0) მოუგო, ბელარუს **ალბერტ ბატურაუს** კი კი უფრო მოკრძალებული ანგარიშით, მაგრამ ისევ ძირითად დროში აჯობა – 3:1; 1:0. მესამე წრეში ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა – უკრაინელი ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადისა და მსოფლიოს მედალოსანი **ანდრეი სტადნიკი**, რომელმაც წინა შეხვედრები ასევე დამაჯერებლად მოიგო. თუშიშვილი აქაც მოწოდების სიმაღლეზე დადგა, თუმცა ბრძოლა მხოლოდ პირველ პერიოდში იყო, რომელიც ჩვენებურმა 6:3 მოიგო, მეორეში კი მინიმალური ანგარიშით – 1:0 იმარჯვა. ამ შეხვედრას შეალია ბევრი ენერგია. თუ რატომ დატრიალდა მისი ბედის ჩარხი ამის შემდეგ უკუღმა, ვერ გეტყვით, მაგრამ ორივე მომდევნო შეხვედრა დათმო. არც მეტოქეები იყვნენ სტადნიკზე ძლიერები, წაგება მხოლოდ ამას რომ დავაბრალოთ, თუმცა, ეტყობა, თუშიშვილს ხელი გაცდენილმა მოსამზადებელმა ციკლმაც დაატყო – ნეკნის ტრავმის გამო მას მთელი ეს ეტაპი ჩაუვარდა. ის ჯერ ნახევარფინალში დამარცხდა ბულგარელ ევროპის ვიცე-ჩემპიონთან და ამ ტურნირის მომავალ ვერცხლის მედალოსან **ლეონიდ ბაზანთან** – 0:1; 0:3. დამამშვიდებლის ფინალში კი ვერც უნგრელ ევროპის პრიზიორ **გეორგ ვოლერსთან** გახდა იმის მეტს, რომ პირველი პერიოდის 0:1 წაგების შემდეგ მეორე იმავე ანგარიშით მოიგო და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. მისდა სამწუხაროდ, იქაც იგივე შედეგი დაფიქსირდა, ოღონდ უნგრელის სასარგებლოდ და ბრინჯაოს მედალიც მას დარჩა.

გიორგი გოგშელიძემ ბელგრადში სულ ორი შეხვედრა გამართა და თითო მოგება-წაგებით დაასრულა ტურნირი. მან შეჯიბრება მძიმედ დაიწყო – მოლდოველ ევროპის პრიზიორ **ნიკოლაი ცებანთან** დამატებითი დრო დასჭირდა, როცა საუკეთესო წლებში ამ დონის მეტოქეებს უპრობლემოდ უმკლავდებოდა. პირველ პერიოდში ჩვენებურმა 2:0 იმარჯვა, მაგრამ მეორე 1:1 დასრულდა და რადგან ბოლო ქულა მეტოქემ მოიპოვა, პერიოდიც მან მოიგო. ცხადია, რომ მესამეში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა – გოგშელიძემ 2:1 იმარჯვა, თუმცა ასეთი დასაწყისი საგანგაშო სიგნალი იყო. სამწუხაროდ, ჩვენი შიში მეორე ორთაბრძოლაშივე გამართლდა თურქ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **სერჰატ ბალცისთან**. აქაც დაახლოებით იგივე სცენარი განვითარდა – პირველი პერიოდი ისევ გოგშელიძემ მოიგო და ისევ 2:0; შეხვედრა კვლავაც დამატებითში გადავიდა და ისიც მინიმალური სხვაობით დასრულდა, ოღონდ ამჯერად მეტოქის სასარგებლოდ – 4:3... ბალცი ნახევარფინალში დამარცხდა და სანუგეშოში თავად გადაინაცვლა, ჩვენებური კი ტურნირს დაემშვიდობა.

ვინაიდან ჩემპიონატის ტრანსლაცია არ მიმდინარეობს, შეხვედრის მსვლელობაზე ვერაფერს გეტყვით. ამბობენ, რომ გოგშელიძეს სიცხეც ჰქონია, თუმცა ვეჭვობთ, ასეთი მინიმალური ანგარიშით წაგება ისევ შეთქმულების თეორიების საბაბი გახდება. ეს პრეტენზიები რეალურად იქნებ მართალიც იყოს, ანუ მწვრთნელებს მსაჯის მიმართ მართლაც ჰქონდეთ სამდურავი – რაც არ ვიცით. ვერაფერს გამოვრიცხავთ, თუმცა გოგშელიძემ აქამდე კიდევ ერთი შეჯიბრება, ირანის საკლუბო პირველობა ჩააგდო, რაც მას სატურნირო პრაქტიკაში ჩაეთვალა. მართალია, ის სულ სხვა სტილის შეჯიბრება იყო – გუნდური და იქ საბოლოო შედეგს თანაგუნდელთა გამოსვლაც განაპირობებს, ჩვენებურის კლუბი არც უმედლოდ დარჩენილა – მესამეზე გავიდა, მაგრამ გოგშელიძე დამარცხდა თავის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან, რუს **აბდუსალამ გადისოვთან**.

ერთი სიტყვით, ოლიმპიადის წელს, როცა წინ სალიცენზიო ტურნირებია, გოგშელიძესთან დაკავშირებით ძალზე ცუდი რეალობა დავინახეთ – ჩვენებურმა თუ არ მოუმატა, ვინძლო, ვერც ლიცენზია მოიპოვოს. მით უფრო, რომ უსაგზუროდაა დარჩენილი რუსეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, ბულგარეთი, უზბეკეთი და წამყვანი ქვეყნების უმეტესობა, სალიცენზიო შეჯიბრება კი სულ სამია და იქაც 2-3 ლიცენზია გაიცემა, ანუ ფინალში გასვლა საუკეთესო ვარიანტია.

ვფიქრობთ, აჯობებდა, მას კიევის ტურნირზე ეჭიდავა.

დღეს ბელგრადში კიდევ ორი ჩვენებური გავა სარბიელზე, ორივე ევროპის ვიცე-ჩემპიონი – **ბესარიონ გოჩაშვილი** (55) და **მალხაზ ზარქუა** (60). გოჩაშვილი პირველ წრეში ლიტველ **შარუნას იურკუსს** ხვდება. ამ წყვილში გამარჯვებულს, სავარაუდოდ, ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ თურქ **აჰმეტ პეკერთან** მოუწევს პაექრობა, რომელსაც მანამ ფრანგი **ჩაკირ ანსარის** ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. ჩვენებურს წილისყრამ გაუმართლა იმ მხრივ, რომ აზერბაიჯანელი, რუსი და ბულგარელი ფალავანიც კი ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ, როგორც მონაკოელთა მოლდოველი ათლეტი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **გენადი ტულბეა**.

ზარქუა ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაებმება და სლოვაკ **მიკოლა ბოლოტნიუკს** შეხვდება. მასთან მოგება არ უნდა გაუჭირდეს, აი, მეორე წრეში კი ნამდვილად ძნელი ბრძოლა გადახდება – იქ გასასვლელად ერთმანეთს ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი აზერბაიჯანელი **ტოგრულ ასგაროვი** და თურქი **მუნირ პეკერ აკტასი** ხვდებიან.

ირაკლი თავაძე

## კვარცხლბეკი

### ვაჟები

**66 კგ.** 1. ალან გოგაევი (რუსეთი), 2. ლეონიდ ბაზანი (ბულგარეთი), 3. დავიდ საფარიანი (სომხეთი), გეორგ ვოლერი (უნგრეთი).

**96 კგ.** 1. აბდუსალამ გადისოვი (რუსეთი), 2. ვალერი ანდრიიცევი (უკრაინა), 3. სერჰატ ბალცი (თურქეთი), ივან იანკოუსკი (ბელარუსი).

### ქალები

**48 კგ.** 1. ლიუდმილა ბალუშკა (უკრაინა), 2. ესტერა დობრე (რუმინეთი), 3. მარინა ვილმოვა (რუსეთი), იაგელინა სასკია შელინი (გერმანია).

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.**

**დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.**

**განცხადება**

2012 წლის 30 მარტს, 15 საათზე, „ფალავანთა კლუბში" გაიმართება საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის მეცხრე რიგგარეშე ყრილობა.

დღის წესრიგი:

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები.

ფედერაციის პრეზიდიუმი.




ცურვა


ირაკლი ბოლქვაძე


თემურ კობახიძე

# კიევმა საგზურებს მიგვაახლოვა

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე ხუთიოდე თვეა დარჩენილი, ამიტომ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ინტენსიურად ტარდება სალიცენზიო ტურნირები. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებას კიევმა უმასპინძლა. უკრაინის დედაქალაქში ქვეყნის ღია ჩემპიონატზე მასპინძლებთან ერთად საქართველოს, რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვისა და ყაზახეთის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. მედლები გათამაშდა როგორც უფროსებში, ისე 1994-1995 წლებში დაბადებულთა შორის. ამ ასაკის მოცურავეები წლეულს ანტვერპენში ევროპის პირველობაზეც მოსინჯავენ ძალებს.

კიევში ჩვენებურთაგან (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ხომასურიძე**, მწვრთნელი **ირინა მინჟულინა**) განსაკუთრებით 17 წლის **ირაკლი ბოლქვაძემ** იყოჩაღა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან ახალგაზრდებს შორის 2.09,64-ით პირველი ადგილი დაიკავა. 400 მეტრზე კომპლექსში ბოლქვაძემ წინასწარ ეტაპზე 4.33,95-ით საქართველოს რეკორდი დაამყარა, საღამოს ფინალური გაცურვისას თავისივე მიღწევა გააუმჯობესა (4.33,06), რითაც ახალგაზრდებში ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო უფროსებში მეოთხე იყო. განსაკუთრებით ის არის მნიშვნელოვანი, რომ 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. სალიცენზიო ნორმატივებს (შესაბამისად, 2.04,38 და 4.25,44) მიუახლოვდა. ირაკლიმ 200 მეტრზე ბრასშიც მოსინჯა ძალები და 2.20,15-ით (სალიცენზიო ნორმატივი 2.16,35) მეხუთე ადგილი დაიკავა.

ბატერფლაიში ურიგოდ არ უბრძოლია **თემურ კობახიძეს**. 50 მეტრი მან 25,64 წამში დაფარა და ფინალში მეშვიდე იყო, თუმცა ეს შედეგი საკმარისი აღმოჩნდა საქართველოს რეკორდის გასაუმჯობესებლად. **ირაკლი რევიშვილმა** 200 მეტრი თავისუფალი ყაიდით წუთსა და 53,31 წამში გაცურა და მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა. საგულისხმოა, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს 2012 წლის ოლიმპიურ ლიცენზიამდე ამ დისტანციაზე ორიოდე წამი აშორებს. ბატერფლაითა და თავისუფალი ყაიდით 100 მეტრზე 17 წლის **დავით სიხარულიძე** ახალგაზრდებში მხოლოდ მეხუთე იყო, თუმცა ორივე დისტანციაზე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ქართველი მოცურავეები ზაფხულამდე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას: 24-29 აპრილს ბრესტში ბელარუსის ღია ჩემპიონატზე გამოვლენ, 5-9 მაისს ხარკოვში უკრაინის თასი ელით, 21-27 მაისს კი დებრეცენში (უნგრეთი) ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს. ბოლო სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი 2-3 ივნისს პრაღაში ექნებათ. იმედია, ჩვენს მოცურავეებს ამ ტურნირებზე ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება არ გაუჭირდებათ.

ვაჟა დანელია

წყალბურთი



# თოთხმეტი გუნდით

საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" სტარტი აიღო წყალბურთელთა საქართველოს პირველობამ ორ ასაკში. 1998 წელსა და უფრო გვიან დაბადებულთა შორის 8 გუნდს უნდა ესპარეზა, მაგრამ ბათუმელებმა, როგორც შევიტყვეთ, უსახსრობის გამო, თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს და პირველი ტურის ორივე მატჩში წაგება (0:10) ჩაეთვალათ. გთავაზობთ სასტარტო პაექრობათა შედეგებს: „ივერია-1" - „ქუთაისი" 17:3, „ივერია-2" - „საჩხერე" 4:2, „ლიგამუსი-1" - „ბათუმი" 10:0, „ლიგამუსი-2" - „თბილისი" 8:4; „ქუთაისი" - „თბილისი" 8:2, „ივერია-1" - „ლიგამუსი-2" 13:1, „ბათუმი" - „საჩხერე" 0:10, „ლიგამუსი-1" - „ივერია-2" 14:0.

უმცროსების შემდეგ შეჯიბრებაში 1996-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები (7 გუნდი) ჩაებნენ: „ივერია-1" - „ქუთაისი" 26:2, „ივერია-2" - „ბათუმი" 6:6, „ლიგამუსი" - „ქუთაისი" 20:2, „ივერია-1" - „ტონუსი" 31:0; „ლიგამუსი" - „ბათუმი" 14:6, „ივერია-1" - „თბილისი" 29:7, „ივერია-2" - „ქუთაისი" 7:5, „ლიგამუსი" - „ტონუსი" 26:2.

მომავალ პარასკევს ისევ უმცროსი ასაკის სპორტსმენები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს: "ივერია-2" – "ბათუმი", "ლიგამუსი-2"- "ქუთაისი", "ლიგამუსი-1" – "საჩხერე", "ივერია-1" – "თბილისი". 16-17 მარტს პაექრობებს 15-16-წლიანები განაგრძობენ. ეროვნული ჩემპიონატი კი 30 მარტს დაიწყება და მედლებისთვის "ლიგამუსი", "თბილისი", "ივერია", "ზვიგენები", "ბათუმი" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იბრძოლებენ.

ვაჟა დანელია

მთის პრობლემები

# სპორტის სამინისტრო ფშავს ეხმარება

ბოლო 20 წელიწადში უკანა ფშავის 23 სოფლიდან მხოლოდ 12 სოფელი დარჩა. ამ სოფლებშიც მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულობით ადის. ზამთარში ძირითადად მოხუცები რჩებიან, ისინიც იმიტომ, რომ შემოსავლის ერთადერთ წყაროს, ცხვარ-ძროხას ვერ ტოვებენ. 12 სოფელს მხოლოდ ერთი სკოლა და ერთი სამედიცინო პუნქტი აქვს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დახმარების ხელი გაუწოდა მთის სოფელს. მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** შუაფხოს სკოლის მოსწავლეების და დირექტორის თხოვნას გამოეხმაურა, სამინისტროში მიიწვია საჯარო სკოლის დირექტორი **ირმა ცქიფურიშვილი** და 17 მოსწავლისთვის სათხილამურო ინვენტარი გადასცა.



„სასიხარულოა, რომ ახალგაზრდებს პატარა ოცნება ავუსრულეთ და სპორტული ინვენტარი გადავეცით, რაც მათ ძალიან გაახარებს. გარდა იმისა, რომ თავისუფალ დროს სპორტით დაკავდებიან, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებენ, რაც ცხადია უმნიშვნელოვანესია. მეორე მხრივ, ამ ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება, ბევრი ვარჯიშისა და მონდომების შემთხვევაში წარმატებები მოიპოვონ და საკუთარი თავი წარმოაჩინონ“- თქვა მინისტრმა.

ირმა ცქიფურიშვილმა მადლობა გადაუხადა მინისტრს დახმარებისა და თანადგომისთვის.

**„ლელოს“ კორ.**

სპორტი ყველასათვის



# სიტყვა საქმიანი

სიტყვისა და საქმის ერთიანობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა საქართველოში მასობრივი სპორტის ყველასათვის ხელმისაწვდომობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში ხელშეწყობის მიზნით შექმნილი პირველი საუწყებო სამოყვარულო სპორტული კლუბი „ბილაინი“, რომელმაც შექმნიდან მეორე თვეს უკვე მეორე სპორტულ ასპარეზობაზე უხმო თავის აბონენტებს, თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს.

ამჯერად მასობრივ სპორტში ძალების მოსინჯვის მსურველებმა თავი მოიყარეს ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში და ერთმანეთს შეეჯიბრნენ პნევმატური იარაღიდან სროლაში. გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, რომლებსაც კლუბის სახელით სპეციალური პრიზები და დიპლომები ტყვიის სროლაში სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელმა **ნინო სალუქვაძემ** გადასცა.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბილაინი-4“, 2. „ბილაინი-1“, 3. „ბილაინი-3“. ამ გუნდებისგან შედგება სიმბოლური ნაკრები, რომელიც „ბილაინის“ სახელით იასპარეზებს საკლუბო სამოყვარულო შეჯიბრებებში.

**თენგიზ თომაშვილი**

შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** მაინტერესებს თბილისის ჭადრაკის სასახლის ისტორია. თუ გაქვთ შესაძლებლობა, მოგვითხრეთ მის შესახებ თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

**ლიკა ნემსაძე**
თბილისი, მოსწავლე

**პასუხი:** თბილისის ჭადრაკის სასახლის აგება დღის წესრიგში დადგა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ზეობის წლებში. იგი გაიხსნა 1973 წლის 14 აპრილს თბილისში, ვერაზე, ლურჯ მონასტერსა და ვერის პარკს შორის არსებული ე.წ. გაბაანთხევის ნაწილობრივი ამოვსებით რთულ რელიეფზე...

ამ დანიშნულების ნაგებობებს შორის ფორმითა და მოცულობით თბილისის ჭადრაკის სასახლე უნიკალურია მსოფლიოში. აშენდა ცნობილი არქიტექტორების **ვ. ალექსი-მესხიშვილისა** და **გ. ლუდუშაურის** პროექტით. მხატვრულად გააფორმა „სამეულმა“ - **ო. ქოჩაკიძემ, ა. სლავინსკიმ** და **ი. ჩიკვაიძემ.** სასახლეს აქვს 520-ადგილიანი მაღალჭერიანი დარბაზი სცენით, 17 ოთახ-კაბინეტი, მათ შორის მწვრთნელთა და დიდოსტატთა კაბინეტები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი. აქ განთავსებულია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ოფისი და სასახლესთან არსებული საჭადრაკო სკოლა. სასახლეს 2001 წელს **ნონა გაფრინდაშვილის** სახელი მიენიჭა.



სამთო თხილამურობა



# ჰანვალის ფერდობზე

სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მეოთხე ეტაპს მესტია უმასპინძლებს: 9-10 მარტს ჰანვალის ფერდობზე მოასპარეზენი გიგანტურ სლალომსა და სპეციალურ სლალომში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. წლეულს მესტიაში საჩოჩიალოს ტიპის ახალი საბაგირო დამონტაჟდა, რაც პაექრობების ორგანიზებას ბევრად გააადვილებს. საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს ნაკრების წევრებიც იბრძოლებენ. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ისინი იტალიაში, კერძოდ, ბრუნიკოში-საქართველოს სამთო-სათხილამურო ბაზაზე გაიმგზავრებიან და იქიდან ჩაერთვებიან ევროპის სხვადასხვა კურორტზე ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირებში.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ლიდერებს ჩამორჩნენ

ხუთი მარცხი და ოთხი ყაიმი - ასეთია ქართველ მოჭადრაკეთა გუშინდელი მონაგარი ქალთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც თურქული გაზიანთეფი მასპინძლობს. **ნინო ხურციძემ,** რომელიც ოთხი ტურის შემდეგ მეწინავეთა შორის იყო, გუშინ თეთრი ფიგურებით რუმინელ ქრისტინა-ადელა ფოიშორთან შეხვედრისას რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და წააგო. ასევე დასანანი მარცხი იწვნია **ნანა ძაგნიძემ,** რომელიც რეიტინგში მასზე საგრძნობლად დაბლა მდგარ დარია ჩაროჩკინას (რუსეთი) დანებდა. ტურნირის მონაწილე დანარჩენ ქართველთა შეხვედრების შედეგები ასეთია: **ნინო ბაციაშვილი**-ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0:1, **ნაზი პაიკიძე-ლელა ჯავახიშვილი** 0,5:0,5, ოლგა გირია (რუსეთი)-**ბელა ხოტენაშვილი** 1:0, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-**მერი არაბიძე** 1:0, **სალომე მელია**-ივა ვიდენოვა (ბულგარეთი) 0,5:0,5, **სოფიო გვე**-[illegible]-სოფიკო გურამიშვილი 0,5:0,5, მარია ბეზგოდოვა (რუსეთი)-**მირანდა მიქაძე** 0,5:0,5.

ერთპიროვნული ლიდერი მარი სებაგი (საფრანგეთი) ყაიმზე შეუთანხმდა ვალენტინა გუნინას (რუსეთი), მოაგროვა 4,5 ქულა და საშუალება მისცა ფოიშორსა და ნასტასია ზიაზიულკინას (ბელარუსი) მძლეველ ჰოანგ თრანგს (უნგრეთი) ქულებით გათანაბრებოდნენ. მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ანა მუზიჩუკი, ანტოანეტა სტეფანოვა, ვიქტორია ჩმილიტე,ოლგა გირია,ტატიანა კოსინცევა და ვალენტინა გუნინა.

დღეს მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# საპრიზო ადგილების შანსს ინარჩუნებენ

ქართველი საერთაშორისო ოსტატები - **გიგა ყუფარაძე** და **შოთა აზალაძე** ირანულ რეშტაში მოჭადრაკეთა ხაზარის თასის მე-10 გათამაშებაზე 7,5-7,5 ქულით საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ, თუმცა ისინი დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. გუშინ გამართულ მეცხრე-მეათე ტურებში ყუფარაძე ოლეგ კორნეევსა (რუსეთი) და სერგეი ტივიაკოვს (ჰოლანდია) დაუზავდა, აზალაძემ კი ბოლო ორი ტური უდანაკარგოდ განვლო: ჯერ თანამემამულე **გაიოზ ნიგალიძე** დაამარცხა, მერე არსენ იეგიაზარიანს (სომხეთი) აჯობა. ქართველთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ლევან ფანცულაია**-აშგარ გოლიზადეხი (ირანი) 0,5:0,5, დავით ბენიძე-ჰომეინ ტუფიგი (ირანი) 0,5:0,5, ლუკა პაიჭაძე-ნიმა ჯავანბახი (ირანი) 1:0, ვალერიან გაფრინდაშვილი-მაჰმუდ ლიდხი 1:0, დავით ლომსაძე-კავე ჩაზიოლშარიფი (ირანი) 0:1, ადნან ნადიმიფარი (ირანი)-აკაკი შალამბერიძე 0:1.

ათი ტურის შემდეგ 8 ქულით მასპინძელი პოუია იდანი დაწინაურდა, რომელმაც გუშინ სომეხი ლევონ ბაბუჯიანი დაამარცხა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ყუფარაძესთან და აზალაძესთან ერთად სერგეი ტივიაკოვი, ოლეგ კორნეევი და მოჰსენ შარბაფის მძლეველი მისრათდინ ისკანდაროვი (აზერბაიჯანი) ჩამორჩებიან. დღეს ქართველთა დუელის გარდა, ინტერესს იწვევს ტივიაკოვ-იდანის, ისკანდაროვ-კორნეევისა და ჰამედ მუსავიან-ლევან ფანცულაიას ორთაბრძოლები. დანარჩენი ქართველი მოჭადრაკეები კი ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: დავით ბენიძე (6,5)-ჯავად სეიდ ალავი, მოჰსენ შარბაფი-ლუკა პაიჭაძე (6,5), პურია დარინი-ვალერიან გაფრინდაშვილი (6,5), გაიოზ ნიგალიძე (6)-სუზანქარი, აკაკი შალამბერიძე (5,5)-სუბხანი, აფშინ მოხადამიანი-დავით ლომსაძე (4,5).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველთა ამერიკული თავგადასავლები

22 წლის **ანა ტატიშვილი** მსოფლიოს 73-ე ჩოგანია, რაც მისი კარიერის მიღწევაა - მსოფლიოს მოწინავე ასეულში დიდი ხანია ქართველი ჩოგბურთელი არ ყოფილა, ამიტომაც ანას შედეგი უდავოდ თვალში საცემი და სასიხარულოა. ახლა ტატიშვილი ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძვის, თუმცა მისი ბოლოდროინდელი ფორმა შეშფოთების საფუძველს იძლევა - მემფისში (აშშ) პირველივე წრეში დამარცხდა, აკაპულკოში (მექსიკა) მხოლოდ ერთი წრე გაიარა. ანა ინდიან ველსის დიდ საერთაშორისო ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება და პირველივე წრეში დამარცხდა რეიტინგში მასზე 100 საფეხურით უკან მყოფ ჩოგბურთელთან - მე-4 ნომრად განთესილმა ქართველმა იაპონელ **მისაკი დოისთან** ორ სეტში წააგო - 3:6, 4:6. ჩვენებური 1 სარეიტინგო ქულით და 1,2 ათასი დოლარით დაკმაყოფილდა. არადა, თუნდაც ერთი წრის გავლა მისთვის მორიგი წინსვლის გარანტია იქნებოდა.

ამერიკული ფორტ უოლტონ ბიჩის (25 ათასი დოლარი) ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველი თამაშობდა: **სოფიო ქვაცაბაია** (365) მე-11 ნომრად განთესეს, ხოლო **ეკა გორგოძე** (420) - მე-14-ედ. ქვაცაბაია პირველ წრეში ისვენებდა, გორგოძემ კი მასპინძელი **კარინა როვირა** დაამარცხა - 6:2, 6:0. მეორე წრეში ეკამ **ნიკოლ რობინსონთან** (აშშ) წააგო - 3:6, 7:6 (5), 5:7. ქვაცაბაიამ მეორე წრეში იტალიელ **გაია სანეზის** აჯობა - 6:4, 3:6, 6:3 და ახლა მასპინძელ **სამანტა კროუფორდს** ეთამაშება. სანამ ქვაცაბაია საკვალიფიკაციო ბადეში იბრძვის, გარკვეულია, რომ ძირითადში ორი ქართველი აუცილებლად იქნება: **მაკა ჩახნაშვილი** (186) მე-8 ნომრად არის განთესილი, ხოლო **სოფიო შაფათავა** (263) განუთესავია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კალათბურთი

## საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი

**4 მარტი**

**ავერსი/მართვე 2–ლომები 35:51**

13:4, 13:15, 6:17, 3:15

**ავერსი/მართვე 2:** აკობიძე (4ქ, 8მ), რეხვიაშვილი (10ქ, 12მ), ფხალაძე (8ქ, 4პ)...

**ლომები:** ზედგენიძე (19ქ, 19მ, 3დ), ბერუაშვილი (16ქ, 18მ, 7პ, 4ჩ), დედანაშვილი (6ქ)...

**კაქტუსი–რუსთავი 2 36:97**

10:19, 6:20, 8:34, 12:24

**კაქტუსი:** საჯაია (6ქ, 15მ), ესართია, (6ქ), ხოსიტასვილი (23ქ, 10მ)...

**რუსთავი2:** გოგობერიშვილი (33ქ, 3პ), ბიწაძე (20ქ, 13მ), სამყურაშვილი (10ქ), ალავერდაშვილი (7ქ, 9მ)...

**აკადემია–ავერსი/მართვე1 56:59**

10:19, 20:6, 14:18, 12:16

**აკადემია:** მგალობლიშვილი (10ქ), ცინცაძე (15ქ), ნონიკაშვილი (11ქ, 11მ), ცირიკიძე (10ქ)...

**ავერსი/მართვე 1:** გოგნაძე (11ქ, 12მ), ქვარაია (10ქ, 19მ), ლომიძე (10ქ), მაჩაიძე (18ქ, 12მ, 6პ, 5ჩ)...

**კარდინალი/ორბი 2–ქუთაისი 41:92**

13:16, 6:22, 16:20, 6:34

**კარდინალი/ორბი 2:** ამოევი (9ქ, 12მ), ვეკუა (8ქ, 14მ, 4პ), ტურაშვილი (8ქ, 6მ), ტულუში (8ქ, 5მ)...

**ქუთაისი:** ვადაჭკორია (13ქ), ინანეიშვილი (20ქ, 17მ, 3დ), ნუცუბიძე (13ქ), გუბაევი (8ქ, 6მ)...

**შსს აკადემია–სამედიცინო 39:51**

9:17, 13:9, 7:12, 10:13

**შსს აკადემია:** ისიანი (20ქ, 27მ), რსტიასვილი (5ქ, 6მ), გიორგაძე (4ქ, 7მ)...

**სამედიცინო:** ლომიძე (13ქ, 16მ), ზაქრაძე (14ქ, 11მ), ბერძენიშვილი (16ქ), დარსალია (18ქ)...

**ზაზა–AXE 75:48**

23:14, 16:16, 17:15, 19:3

**ზაზა:** რაზმაძე (28ქ 9მ), მალლაფერიძე (5ქ, 6მ, 5პ), ბაზუაშვილი (9ქ, 14მ), ხალათიანი (21ქ, 8პ)...

**AXE:** ბექაური (6ქ, 10მ), ქავთარაძე (10ქ), თევდორაშვილი (25ქ), პეტრიაშვილი (2ქ, 13მ)...

**5 მარტი**

**ფოთი–ზაზა 49:77**

18:12, 9:13, 12:30, 10:22

**ფოთი:** ბერაია (14ქ, 24მ), კორსანტია (6ქ, 10მ), ზარანდია (7ქ, 10მ), გარუჩავა (16ქ)...

**ზაზა:** რაზმაძე (20ქ, 10მ), მალლაფერიძე (15ქ, 8ჩ), ბაზუაშვილი (14ქ, 4პ), ხალათიანი (23ქ, 7მ, 7პ)...

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 12 | 10 | 2 | 779/551 | 22 |
| 2. ავერსი მართვე1 | 13 | 9 | 4 | 946/756 | 22 |
| 3. სამედიცინო | 13 | 8 | 5 | 787/624 | 21 |
| 4. შსს აკადემია | 13 | 7 | 6 | 814/708 | 20 |
| 5. ქუთაისი | 11 | 9 | 2 | 793/582 | 20 |
| 6. რუსთავი 2 | 11 | 4 | 7 | 714/644 | 15 |
| 7. კარდინალი ორბი2 | 12 | 2 | 10 | 503/800 | 14 |
| 8. კაქტუსი | 13 | 0 | 13 | 502/1173 | 13 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდინალი ორბი1 | 15 | 13 | 2 | 1055/741 | 28 |
| 2. სოხუმი | 14 | 13 | 1 | 1104/685 | 27 |
| 3. რუსთავი 1 | 14 | 12 | 2 | 1196/683 | 26 |
| 4. ზაზა | 15 | 8 | 7 | 936/881 | 23 |
| 5. ნიკეა | 15 | 7 | 8 | 880/928 | 22 |
| 6. ფოთი | 14 | 6 | 8 | 746/843 | 20 |
| 7. AXE | 14 | 3 | 11 | 758/988 | 17 |
| 8. ავერსი მართვე2 | 14 | 1 | 13 | 592/1114 | 15 |
| 9. ლომები | 13 | 1 | 12 | 396/800 | 14 |



## სუპერლიგა. XVI ტურის რჩეულნი




# მექული მანქანა

მიუხედავად იმისა, რომ „შსს აკადემიას" გამთამაშებელი **ლარი ბლერი** საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებულ 9 მატჩში 19 ქულას ერთხელაც არ ჩამოსცილებია (საშუალოდ 28.9 ქულას აგროვებს), იგი ტურის საუკეთესოდ მაინც პირველად დასახელდა. ამის მიზეზი ან მისი გუნდის ვერმოგება, ან ამა თუ იმ ტურში სხვა კალათბურთელის გაბრწყინება უნდა იყოს.

ბლერს ამერიკაში მეტსახელად „მექული მანქანას" უწოდებდნენ. იგი მეოთხე წელია ევროპაშია, ფინეთისა და საფრანგეთის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და საიტ „ევრობასკეტზე" საკუთარი მოსაზრებაც ბლოგში დაწერა:

*„ლარი ბლერი მქვია, პროფესიონალი კალათბურთელი ვარ და საქართველოში „შსს აკადემიას" ღირსებას ვიცავ. კოლეჯების ლიგის შემდეგ კარიერის ევროპაში გაგრძელება გადავწყვიტე და უკვე მეოთხე წელია ოკეანის გამოღმა ვთამაშობ. დიდი პატივი და პრივილეგიაა ჩემი საყვარელი თამაშით ცხოვრება. მოედანზე ყოველი შესვლისას ღმერთს ამ შანსისთვის მადლობას ვუხდი.*

*ბევრი ამერიკელის მსგავსად, პატარაობაში მეც პროფესიონალ კალათბურთელად ჩამოყალიბებაზე ვოცნებობდი და ევროპაში დიდი გამოცდილებაც მოვაგროვე. ამჟამად საქართველოში ვთამაშობ, რომლის ამინდებსა და კულტურასაც უკვე შევეჩვიე. იმედი მაქვს, გუნდთან ერთად წარმატებული სეზონი გამომივა."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## დანაშაული და სასჯელი

# ბექას 4 მატჩი, ჯერემის – 2

გუშინ სუპერლიგის ოფიციალურ საიტზე სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა:

„სუპერლიგის მე-5 ტურში თსუ-სა და „არმიას" გუნდებს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა.

მისი გადაწყვეტილებით თსუ-ს მოთამაშე **ბექა ჩიკვილაძე** დისკვალიფიცირებულია 4 თამაშით და განესაზღვრა ფულადი ჯარიმა 200 დოლარის ექვივალენტი ლარებში, ხოლო „არმიას" კალათბურთელი **ჯერემი რიჩარდსონი** დისკვალიფიცირებულია 2 თამაშით და განესაზღვრა ფულადი ჯარიმა 200 დოლარის ექვივალენტი ლარებში.

შეგახსენებთ, რომ თსუ-სა და „არმიას" მატჩის მეორე პერიოდის დასრულებამდე 3,5 წამით ადრე არმიელმა ჯერემი რიჩარდსონმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თსუ-ს კალათბურთელ **ვახტანგ ჩქარეულს,** რომელსაც თანაგუნდელი ბექა ჩიკვილაძე გამოესარჩლა. აღნიშნული ინციდენტის გამო ჩიკვილაძე და რიჩარდსონი მატჩიდან გააძევეს."



## ლეგიონი

# დამაიმედებელი დიაგნოზი

**დღეს იტალიის ჩემპიონატის 23-ე ტურის მატჩები გაიმართება. რომელი ქართული გუნდი ვის ხვდება, გუშინ გითხარით, ახლა მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ბოლონიის „ვირტუსს" სან ჯორჯოს „მონტეგრანარო" ეწვევა.**

ბოლონიელთა ქართველი თავდამსხმელის **ვიქტორ სანიკიძის** თამაში წინასწარი მონაცემებით გამორიცხული იყო, ვარაუდობდნენ, რომ კოჭის ტრავმის გამო იგი ორი კვირა ვერ ივარჯიშებდა, მაგრამ ექიმებისგან დამამშვიდებელი დიაგნოზი მივიღეთ. ვიქტორის ტრავმა სერიოზული არ არის, კოჭზე შესიებაც თითქმის დაცხრა და არც სისხლჩაქცევები შეინიშნება. ასე რომ, წინასწარ განსაზღვრული ორი კვირა საგრძნობლად შეიკვეცება.

ნაკლებად სავარაუდოა, მწვრთნელმა **ალესანდრო ფინელიმ** ვიქტორის დღევანდელ მატჩში მოედანზე გამოყვანა გარისკოს, თუმცა მომდევნო შეხვედრისთვის ტრავმა უკან უნდა ჰქონდეს მოტოვებული. „მომდევნო შეხვედრაზე" ასე თამამად იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ „ვირტუსს" იტალიის ჩემპიონატში „მონტეგრანაროს" შემდეგ უახლოესი მატჩის გამართვა 24 მარტს უწევს. საქმე ისაა, რომ ამ უქმეებზე იტალიის „ოლ სტარია", ხოლო 17-18 მარტს გასამართ 24-ე ტურში „ვირტუსი" ისვენებს.

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| | |
|---|---|
| სოხუმი-ბათუმი | 91:52 |
| შსს აკადემია-დინამო | 87:74 |
| თსუ-არმია | 36:118 |
| სამედიცინო-რუსთავი | 74:66 |
| ქუთაისი-ოლიმპი | 90:84 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

41 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
2-ქულ 14/20; 3-ქულ 2/6; საჯ 7/8
03.03.12 შსს-დინამო

**მოხსნა**

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი

14 - ბენჯამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი

7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი

7 - ლარი ბლერი (შსს აკადემია)
23.12.11 რუსთავი-შსს

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
14.02.12 დინამო-არმია

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 9 | 260 | 28.89 |
| 2 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 332 | 23.71 |
| 3 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 14 | 326 | 23.29 |
| 4 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 231 | 23.1 |
| 5 | ძიენ კარტერი | დინამო | 12 | 271 | 22.58 |
| 6 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 10 | 174 | 17.4 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 14 | 234 | 16.71 |
| 8 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 14 | 230 | 16.43 |
| 9 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 15 | 246 | 16.4 |
| 10 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 12 | 194 | 16.17 |
| 11 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 14 | 224 | 16 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიენ კარტერი | დინამო | 12 | 66 | 97 | 163 | 13.58 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 14 | 36 | 111 | 147 | 10.5 |
| 3 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 10 | 42 | 58 | 100 | 10 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 33 | 100 | 133 | 9.5 |
| 5 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 14 | 29 | 97 | 126 | 9 |
| 6 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 14 | 49 | 75 | 124 | 8.86 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 14 | 24 | 98 | 122 | 8.71 |
| 8 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 14 | 40 | 81 | 121 | 8.64 |
| 9 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 13 | 52 | 58 | 110 | 8.46 |
| 10 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 14 | 34 | 74 | 108 | 7.71 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 13 | 119 | 9.15 |
| 2 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 9 | 61 | 6.78 |
| 3 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 12 | 78 | 6.5 |
| 4 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 15 | 83 | 5.53 |
| 5 | დავით არწივიძე | რუსთავი | 14 | 77 | 5.5 |
| 6 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 77 | 5.5 |
| 7 | ბექა წივწივაძე | დინამო | 8 | 38 | 4.75 |
| 8 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 12 | 55 | 4.58 |
| 9 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 41 | 4.1 |
| 10 | დავით ბერიშვილი | თსუ | 9 | 35 | 3.89 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 9 | 29 | 3.22 |
| 2 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 11 | 28 | 2.55 |
| 3 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 15 | 37 | 2.47 |
| 4 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 14 | 31 | 2.21 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 14 | 29 | 2.07 |
| 6 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 15 | 31 | 2.07 |
| 7 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 14 | 28 | 2 |
| 8 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 14 | 27 | 1.93 |
| 9 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 13 | 25 | 1.92 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 14 | 24 | 1.71 |
| 2 | იოაკიმ შელბომი | არმია | 14 | 21 | 1.5 |
| 3 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 14 | 19 | 1.36 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 18 | 1.29 |
| 5 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 13 | 16 | 1.23 |
| 6 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს აკადემია | 14 | 17 | 1.21 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 14 | 64 | 4.57 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 13 | 51 | 3.92 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 12 | 45 | 3.75 |
| 4 | ბექა წივწივაძე | შსს აკადემია | 8 | 28 | 3.5 |
| 5 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი-რსუ | 15 | 48 | 3.2 |
| 6 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 12 | 38 | 3.17 |
| 7 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 13 | 40 | 3.08 |
| 8 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 15 | 45 | 3 |

● ერთა თასი

# ტური, რომელმაც, შესაძლოა, ყველაფერი გადაწყვიტოს



საქართველო-რუმინეთი. პალმერსტონი 2011 წელი

ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში მე-4 ტურის მატჩები შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს. შაბათს, 10 მარტს ორი პრინციპული შეხვედრა გაიმართება. ბუქარესტში, გათამაშების ამჟამინდელი ლიდერი რუმინეთის ნაკრები საქართველოს ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ლისაბონში კი პორტუგალიელები მეზობელ ესპანელებს დაუხვდებიან.

რუმინეთის ნაკრებისთვის „ბორჯღალოსნებთან“ დაპირისპირებას მხოლოდ სატურნირო მნიშვნელობა როდი აქვს. „სტეჟარი“ ყველანაირად ეცდება მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხის გამო რევანში აიღოს და შელახული იმიჯი ოდნავ მაინც გამოისწოროს.

საამისოდ, „მუხის ფოთლების“ დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი დუმიტრაშმა** გუნდში ყველა უძლიერეს რუმინელს უხმო. გამორიცხული არ არის, მატჩის წინ ჩვენს მეტოქეს ტრავმირებული ლიდერი, მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცაც** დაემატოს. ერთი სიტყვით, რუმინელები უკვე გასულ უქმეებზე შეიკრიბნენ და საბრძოლველად ემზადებიან. გამარჯვების შემთხვევაში კი ძნელი სავარაუდოა, ერთა თასს ვინმე შეეცილოს.

იგივეს თქმა შეიძლება თუ გამარჯვებას საქართველოს ნაკრები მოიგებს დარჩენილ ორ შეხვედრაში, შინ რუსეთთან და სტუმრად უკრაინასთან. ცხადია, ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი თავად მეტოქეებსაც არ ეპარებათ.

თუმცა აქ ერთი პრობლემაა. ესპანეთის ნაკრები, რომელიც შაბათს ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ლობუშებმა“ წლეულს ვერ ცერთი თამაში მოიგეს, ამას ისიც დაუმატეთ, რომ შარშან ესპანეთთან სტუმრად წააგეს და ყველა ღონეს იხმარენ, რათა რევანშის აღებასთან ერთად, საკუთარი ქომაგების თვალში რეაბილიტაცია შეძლონ.

პორტუგალიელთა ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **ეროლ ბრაიანმა** გაფართოებული შემადგენლობა გააცხადა. მათ შორის ვეტერანი პირველხაზელები **კრისტიან სპაშუკი** (ბურგუენი) და **ჟუან მურე** (სენტ ეტიენი) მოხვდნენ.

თუ პორტუგალიამ ვერ გაიმარჯვა, მაშინ ერთი კვირის თავზე რუმინეთის ნაკრების მადრიდში სტუმრობას უნდა დაველოდოთ. „ესპანელი ლომები“ პირველობას ვერც „სტეჟარისთან“ მოგებით გაინაღდებენ, რადგან ბოლო მატჩს 19 მაისს სტუმრად რუსეთის ნაკრებთან გამართავენ. თუმცა იმ დროისთვის გამორიცხული არ არის ყველაფერი უკვე გარკვეული იყოს.

გაფართოებული შემადგენლობა დაასახელეს რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებებმაც. რუსთა უელსელმა თავკაცმა **კინგლსი ჯოუნზმა** უკრაინასთან საასპარეზოდ ისევ ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოცდა მოისურვა. ნაკრების შემადგენლობაში, ინგლისურ კლუბებში მოასპარეზე მორაგბეების გარდა, ასევე არ არიან **ალექსანდრე იანუშკინი, ანდრეი ტემნოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ნიკიტა მედკოვი, გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეები**. სოჭში, სადაც რუსებს საწვრთნელი ბანაკი აქვთ, იმყოფება მოსკოვის „სპარტაკის“ მეორეხაზელი **ვასილ კვერნაძე.**

თითქმის უცვლელი შემადგენლობით ემზადება „ლობუშებთან“ საასპარეზოდ ესპანეთის ნაკრები. „ლომების“ ფრანგ თავკაცს, **რეჟის სონეს** მიაჩნია, რომ ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო და დროთა განმავლობაში ისეთ გუნდს შექმნის, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის რეალურად შეძლებს ბრძოლას.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ვასილ კაკოვინი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლა სეინი), შალვა მამუკაშვილი (არმია), თორნიკე ლომიძე (აია)

მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი), გელა შალამბერიძე (აია).

მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

№12-13: მერაბ შარიქაძე (გლოსტერი), დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო),

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ-ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (არმია).

№15: ბექა წიკლაური (გდინია), გიორგი შკინინი (არმია).

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადოი, მიჰაი მაკოვეი, (სამივე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), პეტრუ ტამბა, ვლად ბადალიჩესკუ, ფლავიუს დობრე, მიჰაიტა ადასკალიტეი, კოზმინ რატიუ (ყველა-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისატიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), ვიორელ ლუკაჩი (სტიაუა), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (სარასენზი), ბოგდან პეტრანუ (ფარული).

უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ, (ორივე-ტიმიშოარა), დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინსი, გეორგ კატუნა, იონუც ნიაკსუ (ოთხივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), კატალინ ნიკოლაე (დინამო), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

### რუსეთის ნაკრები

შერკინება: დენის ანტონოვი, იური მატვეევი (ორივე-სლავა), ვლადიმირ ბოლტენკოვი, კირილ კოპეშკინი (ორივე-პენზა), ვლადიმირ ბოტვინიკოვი, პაველ ბუტენკო, ინოკენტი ზიკოვი (სამივე-ენისეი), ალექსეი ვოლკოვი, ევგენი მატვეევი, არტიომ ფატხოვი (სამივე-ვვა), ანდრეი გარბუზოვი, ნაზირ გასანოვი, მაქსიმ სტურზა (სამივე-კრასნი იარი), პაველ კვერნაძე, ანტონ სინიცინი (ორივე-სპარტაკი), კირილ კულემინი (კასტრი).

უკანა ხაზი: მიხაილ ბაბაევი, იური კუშნარიოვი, სერგეი ტრიშინი, ალექსანდრე შაკიროვი (ოთხივე-ვვა), დიმიტრი გერასიმოვი, დენის სიმპლიკევიჩი (ორივე-ენისეი), გერმან გოდლიუკი (სლავა), ივან კოტოვი (კრასნოდარი), ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოსტრიკოვი, ანტონ რიაბოვი (სამივე-კრასნი იარი), ევგენი ტიტოვი (სმენა),

### პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: მიქაელ დიას, ჟოაო ჟუნიორი, დუარტე ფორო, ვასკუ მარკესი (ოთხივე-კდული), ჟოზე დაკოსტა (აგრონომია), ჯორჟე სეგურადო (დირეიტო), ჟოაო მატეუში (აკადემიკა), კრისტიან სპაშუკი (ბურგუენი), ჟუან მურე (სენტ ეტიენი), ბრუნო როჩა (ტექნიკო), მაიკ ტაჟერი (მასი)

მეორე ხაზი: რუი დორეი, გონსალო უვა (დირეიტო).დავიდ პენალვა (მონტობანი), დავიდ დოს რეისი (ნიმი).

მესამე ხაზი: ჟოაო პალვა (აგრონომია), ვასკო უვა, ლუის სოუზა (ორივე-დირეიტო), სალვადორ ვასალო (კასკაისი), ჟულიენ ბარდი (კლერმონი), ჟუან სევერინო (სანტაბოიანა).

№9: ფრანსისკო მაგალიაეში (კდული), პედრო ლეალი (ნიცა), ლორენცო კადოში (აგრონომია).

№10: იანიკ რიკარდო (კასტანე), ნუნო კოსტა (კდული), მანუელ კოსტა (ბელენენსეში).

№12-13: კარლ მურეი, ფრდერიკო ოლივეირა, ფრანსისკო აპელტონი (სამივე-კდული), ჩარლი მორაიში (პო).

№11-14: ადერიტო ეშტევეში, ანტონიო აგილარი (ორივე-დირეიტო), დავიდ მატეუში (ბელნენსეში), ჟოზე ლიმა (აგრონომია).

№15: ჯოზეფ გარდნერი (ჰონდა), გონსალო ფორო (კდული).

### ესპანეთის ნაკრები

ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლაიონზი, სერხიო გერერო (სამივე-სანტაბოიანა), ხოსე კარლოსი (ვიგო), ჯო ჰატჩინსონი, ჯონათან ფიპსი (ორივე-ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს ნუნესი (ლილი), ბენატ ეჩეპერი, მატიო ვისენსანგი (ორივე-ტიროსი), სებასტიან რუე, ხაიმე ნავა (ორივე-სენტ ეტიენი), მატიო პელუკონი (ოში), სერხი ობენალი (კლერმონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), იონ ინსაუსტი (სენ ჟან და ლუზი), მანუელ გარსია (კასტრი), ანტონი პრადალი, ადრიენ აიესტარანი (ორივე-პერიგო), მატიო როსა (ორიაკი), დავიდ ბარერა (მონ დე მარსანი), სესარ სემპერე (ნორსჰემპთონი).

**ერთა თასი 2012**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +33 | 9 |
| 2.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +42 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +18 | 6 |
| 4.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -24 | 4 |
| 5.პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | -34 | 2 |
| 6.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

**ორი წლის ჯამი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 28 |
| 2.რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | +130 | 25 |
| 3.ესპანეთი | 7 | 4 | 0 | 3 | -41 | 19 |
| 4.პორტუგალია | 8 | 3 | 0 | 5 | -19 | 16 |
| 5.რუსეთი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 15 |
| 6.უკრაინა | 6 | 0 | 0 | 6 | -199 | 0 |

**10 მარტი**

**IV ტური**

რუმინეთი-საქართველო
პორტუგალია-ესპანეთი
რუსეთი-უკრაინა



ვალერი ცნობილაძე (რუსეთი)

● ექვსი ერი



დიმიტრი იაშვილი

# იაშვილის გამოუძახებლობა პოლიტიკას არ უკავშირდება

საფრანგეთის ნაკრები გასულ უქმეებზე პარიზში, „სტად დე ფრანსზე“, ექვსი ერის გათამაშების გამოტოვებულ შეხვედრაში ირლანდიის ეროვნულ გუნდთან ფრეს დასჯერდა 17:17 და დიდი სლემის შესრულების შანსი დაკარგა.

მომდევნო მატჩს „ლე ბლო“ კვირას, ისევ პარიზში გამართავს და ამჯერად მეტოქე წინა წლებთან შედარებით ოდნავ დასუსტებული ინგლისის ნაკრები იქნება. ფრანგთა თავკაცმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** საბრძოლო რაზმში ყველა ის მორაგბე იხმო, ვინც „სამყურებთან“ ითამაშა.

ფრანგულ სპორტულ პრესაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, იმ ფაქტმა, რომ სენტ-ანდრემ ეროვნულ გუნდში არ გამოიძახა წარმოშობით ქართველი ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.** „იაშიმ“, რომელმაც ტრავმის გამო ირლანდიასთან მატჩი გამოტოვა, გასულ უქმეებზე „ბიარიცის“ შემადგენლობაში ითამაშა, ორი ლელო გაიტანა და გუნდს 25 ქულა მოუმატა. ბასკებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და დივიზიონიდან გასავარდნ სახიფათო ზონას ოდნავ დაშორდნენ.

*„დიმიტრი იაშვილის შესაძლებლობები კარგად ვიცით. ახლა გვინდა ჟულიენ დიუპიუიც ვნახოთ საქმეში. ის „სტად ფრანსეს“ შემადგენლობაში შესანიშნავად ასპარეზობს და რით უნდა ავუხსნა ახლა ნაკრებში მისი არგამოძახება?*

*ალსანიშნავია, რომ მას აქამდე „ლე ბლოს“ შემადგენლობაში არაერთხელ უთამაშია ბრწყინვალედ. განსაკუთრებით მახსენდება ჟულიენის დებიუტი 2009 წელს, როცა საფრანგეთის ნაკრებმა ტულუზში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს 20:13 მოუგო. აქამდე ჟულიენ დიუპიუის მხოლოდ ტრიბუნებზე ვხედავდით და გვინდა, ახლა მოედანზეც ვნახოთ.*

*ერთი სიტყვით, იაშვილს რომ არ ვუხმეთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის კლუბს რევერანსი გავუკეთეთ. ჩვენთვის გასაგებია, რომ „ბიარიცს“ უჭირს და „იაშის“ დახმარება სჭირდება, მაგრამ მთავარი ყოველთვის ეროვნული გუნდი და მისი ინტერესებია.“* - თქვა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ სენტ-ანდრემ.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებმა დიდი სლემის შესრულების შანსი დაკარგეს, მათ მაინც შეუძლიათ ექვსი ერის მოგება. ინგლისთან მატჩის შემდეგ, ერთ კვირაში „ლე ბლო“ სტუმრად დაუპირისპირდება უელსის ეროვნულ გუნდს. საფრანგეთის ნაკრებმა ორივე მატჩი უნდა მოიგოს.

### საფრანგეთის ნაკრები

შერკინება: ჟან-ბატისტ პუ, ნიკოლა მასი, ვინსენ დებატი, დავიდ ატუბი, დიმიტრი სჟარჟევსკი, ვილიამ სერვა, პასკალ პაპე, იონ მაესტრი, ლიონელ ნალე, ტიერი დუსოტუარი, ჟულიენ ბონერი, იმანოლ არინორდოკი, ლუი პიკამოლი.

უკანა ხაზი: მორგან პარა, ჟულიენ დიუპიუი, ფრანსუა ტრინ-დუკი, ლიონელ ბუქსი, ვესლი ფოფანა, ორელიან რუჟერი, მაქსიმ მერმოსი, ვინსენ კლერი, ჟულიენ მალზიო, კლემან პუატრენო.

**ექვსი ერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. უელსი - 6 ქულა, 2. საფრანგეთი - 5, 3. ინგლისი - 4, 4. ირლანდია - 3, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

**10 მარტი**

უელსი-იტალია
ირლანდია-შოტლანდია

**11 მარტი**

საფრანგეთი-ინგლისი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# მინიმუმ დღევანდელი დონე უნდა შევინარჩუნო

**ლეგენდარულმა როჯერ ფედერერმა გასულ კვირას მორიგი ტურნირი მოიგო - დუბაიში, სადაც ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მიურეი და სხვა ვარსკვლავები თამაშობდნენ, მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ისე მოიგო მთავარი პრიზი, რომ ერთი სეტიც არ დაუთმო მეტოქეებს. საერთოდაც, ფედერერი ისევ მოტივირებულია, არც ფორმა დაუკარგავს და შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული, ყველაზე მეტი ტურნირი აქვს მოგებული პროფესიულ ტურში. დუბაიში გამარჯვების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში შვეიცარიელი თავად ხსნის ბოლოდროინდელი წარმატებების მიზეზებს.**

**- ის ფაქტი, რომ ATP-ის ბოლო შვიდი ტურნირიდან ხუთში გამარჯვებას მიაღწიეთ, ალბათ, დამატებით დამაჯერებლობას გმატებთ...**

- რა თქმა უნდა, და ეს კარგია. საკუთარ თავში დამაჯერებლობა - დაუფასებელი დახმარებაა. იმედი მაქვს, რომ დღევანდელ განწყობას ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებისთვის შევინარჩუნებ. დუბაის მოგება იოლი არ ყოფილა, რადგან აქ საუკეთესო ათეულის რვა წევრი იყო ჩამოსული - მე კი მთელი დისტანცია ისე გავიარე, რომ არც ერთი სეტი არ წამიგია.

**- რა გჭირდებოდათ ყველაზე მეტად ბოლოს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ტრავმის გარეშე გავიარე ეს პერიოდი, რადგან ძალიან მჭიდრო გრაფიკი მქონდა. ამ დროის განმავლობაში მართლაც ბევრი ტურნირი ვითამაშე. ვფიქრობ, ის ექვსკვირიანი დასვენება, რომელიც აშშ-ის ღიასა და დევისის თასის პლეი ოფის შემდეგ ავიღე, ძალიან საჭირო იყო ჩემთვის, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. რა თქმა უნდა, სამწუხარო იყო, რომ შანხაის მასტერსის გამოტოვებამ მომიწია, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით ეს გამართლებული ნაბიჯი იყო. მოგებული ტურნირების გარდა, კარგად ვითამაშე ავსტრალიაში. მხოლოდ დევისის თასი იყო წარუმატებელი.

დანარჩენ ტურნირებზე საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, მაქსიმალურად კონცენტრირებული, აგრესიულად ვთამაშობდი. ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მოგება მინდოდა. გარდა ამისა, შარშანდელი სეზონის შუა ნაწილისგან განსხვავებით, უკეთ ვმოქმედებდი დაცვაში, ვპოულობდი წარმატებულ პასუხს მეტოქეთა შეტევების წინააღმდეგ. ვფიქრობ, ამ მხრივ პროგრესი 2011 წლის როლან გაროსიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ იქ და უიმბლდონზე დავმარცხდი, ვხვდებოდი, რომ ჩემი ჩოგბურთი უმჯობესდებოდა. ეს ამტკიცებდა, რომ სწორი მიმართულებით მივდიოდი. მთავარია, არ გავჩერებულიყავი.

**- ცხადია, რომ თქვენ სხვადასხვა სტილით თამაში შეგიძლიათ - იქნება ეს დაცვითი თუ შემტევი ჩოგბურთი. გრძნობთ, რომ ბოლო წლებში უფრო შეტევას ანიჭებთ უპირატესობას?**

- თუ გავიხსენებთ ჩემს მატჩს 2001 წლის უიმბლდონზე სამპრასის წინააღმდეგ, იქ მე მოწოდების შემდეგ მაშინვე ბადესთან გავდიოდი. მაშინ ძალიან აგრესიულად ვთამაშობდი. ჯერ ერთი, ახალგაზრდა ვიყავი და მეორე - არ მჯეროდა, რომ შევძლებდი აგასის, ნალბანდიანის ან სხვა მოთამაშეების უკანა ხაზიდან თამაშით დამარცხებას. იმისთვის, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავმხდარიყავი, უკანა ხაზზე თამაშის სერიოზულად გაძლიერება მჭირდებოდა. შემდეგ გარკვეული ხანი არ მჯეროდა, რომ ასე კარგად შემეძლო ბეიზლაინზე თამაში. მაგრამ თანდათან შევეჩვიე ამას. შემდეგ ვუმატებდი უკანა ხაზზე თამაშს, კერძოდ, უფრო აგრესიულად დავიწყე მოქმედება.

**- ამბობენ, რომ თქვენ უარი თქვით ივლისში „სანტიაგო ბერნაბეუზე" რაფაელ ნადალთან საგამოფენო თამაშზე...**

- არა, უარი არ მითქვამს. მინდა სწორად გაიგონ ჩემი სიტყვები ესპანეთში. თავად იდეა ძალიან მომეწონა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეთავაზებულ ვადებში იქ ჩასვლა არ შემიძლია. საერთოდ, ასეთი მატჩების თარიღის შეთანხმება ყოველთვის რთულია. არ ვიცი რა იქნება მომავალში. შესაძლოა, ჩვენ მაინც ვითამაშოთ. ან იქნებ, რაფა ვინმე სხვასთან ერთად გავიდეს კორტზე. უნდა გესმოდეთ, რომ მე მჭიდრო გრაფიკი მაქვს, მათ კი სურდათ ეს მატჩი უიმბლდონსა და ოლიმპიურ თამაშებს შორის ჩაეტარებინათ. მე ვთქვი, რომ ამ დროს რთულია საჭირო დღის მონახვა. ვფიქრობ, რამდენიმე დღის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ იმასთან დაკავშირებით, ვითამაშებთ თუ არა ამ შეხვედრას.

**- „დიდი სლემის" ტურნირები, ოლიმპიური თამაშები - რა იქნება თქვენი მთავარი მიზანი ამ წელს?**

- ჯერჯერობით მხოლოდ ინდიან უელსსა და მაიამში კარგ გამოსვლაზე ვფიქრობ. შემდეგ გრუნტზე გადასვლა გვიწევს, ევროპაში უნდა დავბრუნდეთ და ა. შ. შემდეგ კი დაიწყება სეზონის ძალიან რთული და ინტენსიური ნაწილი - როლან გაროსი, უიმბლდონი, ოლიმპიური თამაშები, ამერიკის ღია პირველობა. აქ ძალიან ბევრი ქულა გათამაშდება, გარდა ამისა, ყველა ტურნირი ძალიან პრესტიჟულია. ასე რომ, აუცილებელია ამ პერიოდში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენება. რა თქმა უნდა, რამდენიმე ტიტულის მოგების იმედი მაქვს. ვიცი, ძალიან რთული იქნება, თუმცა აუცილებელია თითოეული ტურნირისგან სიამოვნების მიღება.

მაგრამ მხოლოდ უიმბლდონი და „დიდი სლემის" სხვა ტურნირები არ არის მთავარი. ბოლოს და ბოლოს, ისინი წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ ტარდება, მე კი სეზონში 20 ტურნირში ვიღებ მონაწილეობას. თითოეული შეჯიბრება მიყვარს და იმედი მაქვს, რომ დაძაბული ვარჯიშები დამეხმარება კიდევ უფრო უკეთ ვითამაშო ან მინიმუმ, დღევანდელი დონე შევინარჩუნო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### ინდიან უელსი. ქალების ბადე



## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი


რაიან მილერი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა „ბაფალოს" მეკარე **რაიან მილერი**. ამერიკელმა გოლკიპერმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, თავად საშუალოდ 1.0 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.4 პროცენტს იგერიებდა. მილერის ანგარიშზე ამ სამ მატჩში ორი „შათაუტი" მოდის.

მეორე ვარსკვლავია „დეტროიტის" მცველი **ნიკლას კრონვალი**, რომელმაც გასულ კვირას ორი გოლითა და ხუთი შედეგიანი პასით გამოიჩინა თავი. 31 წლის შვედის ანგარიშზე 66 მატჩში 31 ქულა მოდის, მათ შორის კარიერის პირადი რეკორდი - 14 გოლი.

კვირის მესამე ვარსკვლავმა, „ჩიკაგოს" მეკარე **რეი ემერიმ** მილერის მსგავსად სამიდან სამი მატჩი მოიგო. მისი სტატისტიკური მაჩვენებლებია - 1.13 გაშვებული შაიბა და მოგერიების 95.9 პროცენტი.

# სოჭი აიზერმანს ჩააბარებს

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბის „ტამპა ბეი ლაითნინგის" გენერალური მენეჯერი **სტივ აიზერმანი** 2014 წლის ოლიმპიადისთვის კანადის ეროვნული ნაკრების აღმასრულებელ დირექტორად დანიშნეს. ამის შესახებ იტყობინება კანადის ჰოკეის ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. აიზერმანს ანალოგიური პოსტი ეკავა 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც კანადის ნაკრებმა ოქროს მედალი მოიგო.

ჯერჯერობით უცნობია, დართავს თუ არა NHL-ის ხელმძღვანელობა თავის ჰოკეისტებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნებას. კანადის ჰოკეის ასოციაციის პრეზიდენტი **ბობ ნიკოლსონი** იმედს გამოთქვამს, რომ ზამთრის მომდევნო ოლიმპიადაზე პლანეტის საუკეთესო ჰოკეისტები ითამაშებენ.

აიზერმანი კანადის ნაკრების შტაბს იმ შემთხვევაშიც ჩაუდგება სათავეში, თუ NHL არ გაუშვებს თავის მოთამაშეებს სოჭის ოლიმპიადაზე სათამაშოდ.

გარდა ამისა, გუშინ, კანადის ჰოკეის ასოციაციამ ქვეყნის ნაკრების გენერალური მენეჯერი დანიშნა მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც ფინეთსა და შვედეთში გაიმართება. ეს პოსტი დაიკავა **კევინ ლოუმ**, რომელიც NHL-ის კლუბის „ედმონტონ ოილერზის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია.


სტივ აიზერმანი

## ველოსპორტი

# სპრინტერული გარჩევები

თანდათან ძალას იკრებს ველოსპორტის სეზონი. საფრანგეთში სტარტი აიღო ცნობილმა მრავალდღიანმა კლასიკურმა რბოლამ – პარიზი-ნიცა.

პირველი ეტაპი – დროზე გამოდევნებით რბოლა შვედმა **გუსტავ ლარსონმა** მოიგო და ლიდერის ყვითელი მაისურა მოიპოვა, გუშინ კი გაიმართა მეორე ეტაპი, სადაც სპრინტერებს მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება.

როგორც მოსალოდნელი იყო, 185-კილომეტრიან დისტანციაზე არაერთი გაქცევა ვიხილეთ. ყველაზე სერიოზული იყო 30-კაციანი ჯგუფის შეტევა, რომელშიც იყვნენ პარიზი-ნიცას ფავორიტები – **ბრედლი უიგინსი, ლევი ლაიპჰაიმერი** და **ტეჟაი ვან გარდერენი**. ერთ მომენტში მათი უპირატესობა პელოტონთან ორ წუთსა და 25 წამს შეადგენდა.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, გაქცეულებმა ტემპს ვერ გაუძლეს და პელოტონმა შეძლო ლიდერების დაწევა.

ბოლო კილომეტრებზე დაიწყო სპრინტერული გარჩევები. ყველაზე შეწყობილად „ქუიქ-სტეპის" წევრები მოქმედებდნენ. ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ამ გუნდის ველომბროლმა **სილვენ შავანელმა** აატარა პელოტონი და შეტევის კარგი შესაძლებლობა მისცა თანაგუნდელ **ტომ ბოონენს**. ცნობილმა ბელგიელმა შანსი კარგად გამოიყენა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

აღსანიშნავია, რომ ბოონენმა კარიერაში პარიზი-ნიცას მეექვსე ეტაპი მოიგო. ბელგიელი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. მან ორი კვირის წინ, კატარის ტური მოიგო.

რაც შეეხება ყვითელი მაისურისთვის ბრძოლას, ეტაპის მსვლელობისას აქტიურობამ რბოლის ლიდერობა მოუტანა ბრედლი უიგინსს, რომელიც ექვს წამს უგებს ლაიპჰაიმერს და შვიდ წამს – ბოონენს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ტომ ბოონენი

### ვინიპეგი-ბაფალო 3:1

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლედი-21 (ლიტლი-16), 1:1 ტროპი-2 (ელისი-5, ბოიესი-12), 2:1 ველერი-15 (ლიტლი-17), 3:1 ტორნბურნი-4 (ლიტლი-18, ენსტრიომი-19).

### პიტსბურგი-ფინიქსი 2:1

2:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ზ. მიხალეკი-2 (ჯ. სტაალი-13), 2:0 კუნიტცი-19 (მალკინი-43, პ. მარტინი-21), 2:1 რეი უიტნი-21 (ვრბატა-25, ჰანჟალი-23).

### ანაჰაიმი-ედმონტონი 4:2

1:0, 0:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ბლეიკი-6 (რაიანი-18, ფაულერი-20), 1:1 ჰორკოფი-12 (შულცი-4), 2:1 რაიანი-25 (სელიანე-37), 3:1 პერი-32 (ჰაგმანი-12), 3:2 ებერლე-29 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-24, ჰორკოფი-20), 4:2 პერი-33.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი* | 64 | 42 | 15 | 7 | 91 |
| 2. ბოსტონი* | 64 | 38 | 23 | 3 | 79 |
| 3. ფლორიდა* | 65 | 31 | 22 | 12 | 74 |
| 4. პიტსბურგი | 65 | 39 | 21 | 5 | 83 |
| 5. ფილადელფია | 64 | 36 | 21 | 7 | 79 |
| 6. ნიუ ჯერსი | 65 | 36 | 24 | 5 | 77 |
| 7. ოტავა | 67 | 34 | 25 | 8 | 76 |
| 8. ვინიპეგი | 67 | 32 | 27 | 8 | 72 |
| 9. ვაშინგტონი | 65 | 32 | 28 | 5 | 69 |
| 10. ტამპა ბეი | 65 | 31 | 28 | 6 | 68 |
| 11. ბაფალო | 66 | 30 | 28 | 8 | 68 |
| 12. ტორონტო | 65 | 30 | 28 | 7 | 67 |
| 13. აილენდერსი | 66 | 28 | 29 | 9 | 65 |
| 14. კაროლინა | 65 | 24 | 27 | 14 | 62 |
| 15. მონრეალი | 66 | 25 | 31 | 10 | 60 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 66 | 41 | 17 | 8 | 90 |
| 2. სტ. ლუისი* | 66 | 41 | 18 | 7 | 89 |
| 3. დალასი* | 66 | 35 | 26 | 5 | 75 |
| 4. დეტროიტი | 66 | 43 | 20 | 3 | 89 |
| 5. ნეშვილი | 65 | 38 | 20 | 7 | 83 |
| 6. ჩიკაგო | 67 | 36 | 24 | 7 | 79 |
| 7. ფინიქსი | 66 | 33 | 24 | 9 | 75 |
| 8. სან ხოსე | 64 | 33 | 24 | 7 | 73 |
| 9. ლოს ანჯელესი | 65 | 30 | 23 | 12 | 72 |
| 10. კოლორადო | 67 | 34 | 29 | 4 | 72 |
| 11. კალგარი | 66 | 29 | 25 | 12 | 70 |
| 12. ანაჰაიმი | 67 | 29 | 28 | 10 | 68 |
| 13. მინესოტა | 66 | 28 | 28 | 10 | 66 |
| 14. ედმონტონი | 65 | 25 | 34 | 6 | 56 |
| 15. კოლამბუსი | 65 | 20 | 38 | 7 | 47 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 81 (38+43) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 80 (47+33) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 75 (23+52) |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 72 (28+44) |
| ფილ კესელი (ტორ) | 68 (32+36) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 66 (25+41) |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 66 (15+51) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 66 (13+53) |
| დანიელ სედინი (ვან) | 64 (28+36) |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 66 (27+37) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 47 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 38 |
| კორი პერი (ანა) | 33 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 32 |
| ფილ კესელი (ტორ) | 32 |
| სკოტ ჰარტნელი (ფილ) | 31 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 30 |
| რადიმ ვრბატა (ფინ) | 30 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 53 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 52 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 51 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 45 |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 44 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 44 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 43 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 43 |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 41 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| არსენალი-მილანი | 3:0 (0:4) |
| ბენფიკა-ზენიტი | 2:0 (2:3) |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიფი**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ლესტერი | 3:2 |
| ქოვენთრი-კრ. პალასი | 1:1 |
| დერბი-ბლეკპული | 2:1 |
| ჰალი-ლიდსი | 0:0 |
| მიდლსბრო-ბარნსლი | 2:0 |
| ნოტინგემი-დონკასტერი | 1:2 |
| პიტერბრო-მილუოლი | 0:3 |
| საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 1:1 |
| რიდინგი-პორტსმუთი | 1:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ექსეტერი | 2:0 |
| კარლაილი-როჩდეილი | 2:1 |
| ჩარლტონი-კოლჩესტერი | 0:2 |
| ჰადერსფილდი-ჰარტლპული | 1:0 |
| მილტონი-იეოვილი | 0:1 |
| ოლდჰემი-სკანთორპი | 1:2 |
| პრესტონი-ჩესტერფილდი | 0:0 |
| უენსდი-ბერი | 4:1 |
| ტრანმერი-ნოტსი | 1:1 |
| უოლსოლი-შეფილდი | 3:2 |
| უიკომბი-ლეიტონი | 4:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-პლიმუტი | 1:2 |
| ბრედფორდი-აკრინგტონი | 1:1 |
| ჯილინგემი-ბარნეტი | 3:1 |
| მაკლსფილდი-ჰერეფორდი | 2:2 |
| მორეკამბი-ჩელტენემი | 3:1 |
| ნორთჰემპტონი-ბრ. როვერსი | 3:2 |
| პორტ ვეილი-ბარტონი | 3:0 |
| როტერჰემი-ქრიუ | 1:1 |
| შრიუსბერი-ოქსფორდი | 2:2 |
| სუინდონი-დაგენჰემი | 4:0 |
| ტორკი-ალდერშოტი | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალფრეტონი-სტოკპორტი | 6:1 |
| ბაროუ-ბეტი | 0:1 |
| კემბრიჯი-მენსფილდი | 1:2 |
| ფლიტვუდი-გრიმსბი | 2:1 |
| გეიტშიდი-ჰეიესი | 2:0 |
| ნიუპორტი-ბრენტრი | 3:4 |
| იორკი-ტამუორტი | 0:0 |

**ინგლისის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ჩელსი | 0:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| მოდენა-პადოვა | 2:1 |
| პესკარა-იუვე სტაბია | 2:0 |
| სამპდორია-ემპოლი | 1:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| შალკე A-ლევერკუზენი A | 1:1 |
| დორტმუნდი A-ლოტე | 2:0 |
| ფორტუნა A-ბოხუმი A | 1:1 |
| ესენი-გლადბახი A | 1:4 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ევიანი-მარსელი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-მონაკო | 1:2 |
| კლერმონი-არლი | 0:0 |
| ლავალი-მეცი | 0:0 |
| ტრუა-გინგამი | 1:1 |
| ბულონი-ლანსი | 0:2 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბეზანსონი-ნიმი | 1:1 |
| კევილი-გფკო აიაჩო | 0:3 |
| ბეიონი-ორლეანი | 0:2 |
| რუანი-შერბური | 3:3 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლივინგსტონი-ეარი | 1:2 |
| როსი-პარტიკი | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-ქოუდენბითი | 0:2 |
| ალბიონი-სტენჰაუზმური | 1:0 |
| ისტ ფაიფი-ბრეჩინი | 2:2 |
| სტირლინგი-ფორფარი | 2:2 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჯინი-ანენი | 3:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ამკარი-კრილია | 2:1 |

**ესტონეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ფლორა-ტრანს ნარვა | 4:0 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ალ რაიანი-ესტეგალი | 0:1 |
| ბანი იასი-ალ არაბი | 2:0 |
| ალ ითიჰადი-ფახთაქორი | 4:0 |
| გამბა-პოჰანგი | 0:3 |
| ბუნიოდკორი-ადელაიდა | 1:2 |
| ბრისბენი-ტოკიო | 0:2 |
| ულსა-ბეიჟინგი | 2:1 |
| ნასაფი-ალ ჯაზირა | გადაიდო |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ოლდენბურგი-ბრემერჰავენი | 96:76 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| მანრესა-ობრადოირო | 86:77 |
| ალიკანტე-ვალენსია | 65:70 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ერდემი-ბეშიქთაში | 64:81 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სკა-ცსკა | 5:0 |
| ტორპედო-დინამო (რ) | 4:3 |
| ატლანტი-სევერსტალი | 3:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ლინცი-ოლიმპია | 4:2 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 0:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 3:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტავანგერი | 2:6 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 4:3 |
| სტიორნენი-ლორენსკოგი | 1:4 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 3:4 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ტაპარა | 4:3 (ბ) |
| ილვესი-იოკერიტი | 4:5 (ო) |
| პელიკანსი-ესეტი | 5:2 |
| საიპა-კერპეტი | 3:2 (ბ) |
| ტპს-ლუკო | 4:3 |
| ჰიფკ-იუვიასკიულა | 2:1 |
| ჰპკ-კალპა | 2:8 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-ტრშინეცი | 4:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-ბერნი | 3:0 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 4:3 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 2:4 |
| ცუგი-ბილი | 5:4 (ო) |
| დავოსი-ციურიხი | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-შელეფტეო | 2:3 (ბ) |
| ლულეა-ვაქშიო | 4:1 |
| მოდო-ლინჩოპინგი | 5:4 (ბ) |
| ტიმრა-ბრინასი | 4:5 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 2:3 |
| ჰვ71-იურგორდენი | 2:1 |

## TV პროგრამა

**7 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. დორტმუნდი-მაინცი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. აიაქსი-როდა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. მარსელი-ტულუზა.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიუკასლი-სანდერლენდი.
21:00 იტალიის შოუ.
21:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბოლონია-იუვენტუსი (LIVE).
23:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
00:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ლევერკუზენი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ იორკი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-იტალია.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. ოლიმპიაკოსი-გალათასარაი.
21:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ფიორენტინა (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მინესოტა.
21:30 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
22:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.

**I არხი**

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.

ოლიმპიზმი



რაფაელ ნადალი

# მედროშე რაფა

ესპანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მედროშე მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** იქნება. ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის და ამის შესახებ ივნისში გამოაცხადებენ. უფრო ადრე, ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტი აპირებს შემოიღოს წესი, რომლის მიხედვითაც ერთი სპორტსმენი ვერ გახდება ზედიზედ ორ ოლიმპიადაზე ნაკრების მედროშე, - წერს გაზეთი „მარკა".

2008 წელს, პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ესპანეთის ოლიმპიურ ნაკრებს წინ მიუძღოდა 2004 წლის თამაშების ჩემპიონი, ნიჩბოსანი **დავიდ კალი**. ახალი წესის მიღების შემდეგ ის ვერ შეძლებს იმავე როლის შესრულებას ლონდონის თამაშებზე. ამასთან, კალს ჯერ არ დაუდასტურებია 2012 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობა.

ნადალმა 2008 წლის ზაფხულის თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში.

ესპანეთის ნაკრების „სარეზერვო" მედროშედ ასევე პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ველომრბოლი **სამუელ სანჩესი** დასახელდა. ლონდონის თამაშების გახსნის ცერემონია 27 ივლისს გაიმართება.

# უარი ავსტრალიას



კაირი ირვინგი

2011 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა, „კლივლენდ კავალიერზის" მცველმა **კაირი ირვინგმა** გადაიფიქრა ლონდონის ოლიმპიადაზე ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში თამაში, - იტყობინება NBA-ის ოფიციალური გვერდი. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა მელბურნშია დაბადებული და ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ავსტრალიის კალათბურთის ფედერაციამ კაირის ოლიმპიადაზე თამაში შესთავაზა.

მაგრამ გუშინ ირვინგმა განაცხადა, რომ აშშ-ის ნაკრებში თამაშის გადაწყვეტილება მიიღო. ის 2016 წლის ოლიმპიადაზე თამაშს იმედოვნებს.

ამ სეზონში კაირიმ 31 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 18.5 ქულა, 5.2 შედეგიანი პასი და 3.4 მოხსნა დააგროვა.

ავტოსპორტი

# ნასკარი ძალას იკრებს

ამერიკულ სარბოლო სერიაში – ნასკარში მეორე ეტაპი გაიმართა. ამჯერად პილოტებს ფინიქსის ოვალმა უმასპინძლა.

პოულიდან სტარტი აიღო **მარკ მარტინმა**, თუმცა მისი ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველი სერიოზული ავარია ტრასაზე **პოლ მენარდს** შეემთხვა – ის **ეი ჯეი ალმენდინგერს** შეეჯახა და რბოლა პირველად შეწყდა. რესტარტის შემდეგ კი ლიდერობა მოიპოვა **დენი ჰამლინმა** და ბოლო 59 წრე არავის დაუთმო პირველი პოზიცია.

არადა, ლიდერობის დაკარგვის შანსი არსებობდა. **რაიან ნიუმენის** ავარიის შემდეგ ისევ საჭირო გახდა რესტარტის ჩატარება, მაგრამ ამჯერად არაფერი შეცვლილა. ჰამლინი ყველაზე ადრე გამოეხმაურა რბოლის განახლების ნიშანს და ლიდერობა შეინარჩუნა, რომელიც ფინიშამდე არ გაუშვია ხელიდან.

ჰამლინმა კარიერაში მე-18 გამარჯვებას მიაღწია და ამ მოგებით სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას. ეს ავტომრბოლი იმით არის ცნობილი, რომ 2010 წელს, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი რბოლით ადრე 33 ქულას იგებდა და ეს უპირატესობა გაფლანგა.

ახლა, როგორც ჩანს, ჰამლინი ისევ აპირებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დღის მატჩი ოკლაჰომას დარჩა

გასული სათამაშო დღის ცენტრალური მატჩი ოკლაჰომაში გაიმართა, სადაც ადგილობრივ „თანდერს" დიდი ძალისხმევა დასჭირდა „დალასის" დასამარცხებლად. ჩემპიონი ბრწყინვალე დაცვას თამაშობდა და მეტოქის ლიდერებს - **კევინ დურანტსა** და **რასელ უესტბრუკს** ურთულესი სიტუაციებიდან სროლას აიძულებდა. შესაბამისად, ვარსკვლავურმა ტრიომ თამაშიდან მხოლოდ 12 ტყორცნა გამოიყენა 38 შესაძლებლიდან. სამაგიეროდ, დურანტი და უესტბრუკი თითქმის იდეალურად ასრულებდნენ საჯარიმოებს - 22-დან 19 ჩააგდეს, მეორე ტაიმში კი დაცვაშიც კარგი თამაში გამოუვიდათ. რომ არა **დირკ ნოვიცკი**, რომელიც პირველივე შესაძლებლიდან შორიდან ისროდა და მეოთხე მეოთხედში ოთხი სამქულიანი ჩააგდო, მასპინძლები ნერვულ ფინალს გადაურჩებოდნენ. ასე კი ბოლომდე მოუწიათ ბრძოლამ და ბოლო ორი წუთში კრიტიკული ოთხქულიანი ჩამორჩენის გაბათილებისთვის ზრუნვა.

ამაში მათ სტუმრებიც დაეხმარნენ, რომლებიც ან ბურთს კარგავდნენ, ან შეტევისთვის განკუთვნილ დროში ვერ ეტეოდნენ. საბოლოოდ, ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. მას შემდეგ, რაც დურანტმა მატჩში ერთადერთი საჯარიმო ააცილა, „მავერიქსს" 13 წამი ჰქონდა მინიმუმ მატჩის ოვერტაიმში გადასაყვანად. მაგრამ გადამწყვეტ შეტევაში **ჯეისონ ტერიმ** ცუდად გაითამაშა ბურთი **ჯეისონ კიდთან** და რთული მდგომარეობიდან მოუწია სროლამ. ბურთი ფარს მოხვდა და მოხსნა უესტბრუკს დარჩა, რომელმაც საჯარიმოთი დაუსვა წერტილი შეხვედრას. ცალკე აღნიშვნის ღირსია **სერჟ იბაკა**, რომელიც ორი გადამწყვეტი მომენტის გმირი აღმოჩნდა საკუთარ და მეტოქის ფართან.

## კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზისა" და „დენვერ ნაგეტსის" გამთამაშებლები - **დერიკ როუზი** და **ტაი ლოუსონი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი როუზი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. დერიკმა საშუალოდ 28.8 ქულა, 7.5 პასი და 1.75 ჩაჭრა დააგროვა.

სამიდან სამი მოგება ჰქონდა გასულ კვირას „დენვერს", ლოუსონის სტატისტიკური მონაგარი 20.7 ქულა, 11.7 პასი და 7.0 მოხსნა იყო.

**როუზის კვირა**

**28 თებერვალი. ჩიკაგო-ნიუ ორლეანი 99:95.** 32 ქულა, 9 პასი, 3 ჩაჭრა.

**29 თებერვალი. სან ანტონიო-ჩიკაგო 89:96.** 29 ქულა, 4 პასი.

**4 მარტი. ფილადელფია-ჩიკაგო 91:96.** 35 ქულა, 8 პასი, 4 მოხსნა.

**ლოუსონის კვირა**

**29 თებერვალი. დენვერი-პორტლენდი 104:95.** 18 ქულა, 9 პასი, 5 მოხსნა.

**2 მარტი. ჰიუსტონი-დენვერი 105:117.** 22 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა.

**4 მარტი. სან ანტონიო-დენვერი 94:99.** 22 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯოშ სმიტი** („ატლანტა"), **კევინ გარნეტი** („ბოსტონი"), **რაჟონ რონდო** („ბოსტონი"), **კობი ბრაიანტი** („ლეიკერსი"), **მაიკ კონლი** („მემფისი"), **მარკ გასოლი** („მემფისი"), **დერონ უილიამსი** („ნიუ ჯერსი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა") და **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა").

**კლივლენდი-იუტა 100:109**

**26:28, 15:28, 31:29, 28:24**

კ: ირვინგი (22), ჯეიმისონი (22+6 პასი), სეშენსი (14), გი (13).

ი: ჯეფერსონი (25+13 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), ჰეივორდი (23+5 პასი), ჰოვარდი (14+5 მოხსნა), მილსეპი (13+9 მოხსნა+5 პასი).

**ტორონტო-ორლანდო 88:92**

**20:23, 18:20, 25:25, 25:24**

ტ: დეროზანი (23), ბეილესი (15+6 მოხსნა+5 პასი), ჯონსონი (13+7 მოხსნა+7 პასი), გრეი (11+11 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (36+13 მოხსნა), ანდერსონი (19+13 მოხსნა), რედიკი (13+6 პასი), ნელსონი (11+6 პასი).

**მილუოკი-ფილადელფია 97:93**

**28:33, 23:22, 23:16, 23:22**

მ: ჯენინგსი (33+7 პასი), გუდენი (25+10 მოხსნა), ილიასოვა (11+18 მოხსნა), დანლივი (10).

ფ: უილიამსი (26), იგუოდალა (16+5 პასი), იანგი (14+13 მოხსნა), მიქსი (13), ტერნერი (2+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა-დალასი 95:91**

**26:23, 19:29, 23:13, 27:26**

ო: უესტბრუკი (24+6 მოხსნა), დურანტი (22+7 მოხსნა), ჰარდენი (16), იბაკა (8+7 მოხსნა+6 დაფარება).

დ: ნოვიცკი (27+5 მოხსნა), ტერი (18+5 მოხსნა+7 პასი), მაინმი (13+5 მოხსნა), მერიონი (10+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**პორტლენდი-ნიუ ორლეანი 86:74**

**27:17, 19:21, 24:10, 16:26**

პ: ბატუმი (19), უოლასი (13), მეტიუზი (12), ფელტონი (11+10 პასი), ოლდრიჯი (10+11 მოხსნა).

ნ-ო: ბელინელი (18+5 მოხსნა), აიონი (10), კამანი (10+11 მოხსნა).

**ვაშინგტონი-გ. სტეიტი 100:120**

**24:41, 27:24, 20:24, 29:31**

ვ: იანგი (25), უოლი (20+6 მოხსნა+14 პასი), ბუკერი (14), მაკგი (10+10 მოხსნა).

გ-ს: ელისი (25+5 მოხსნა+8 პასი), ტომპსონი (18), უდო (17+6 მოხსნა), ლი (13+10 მოხსნა), კარი (12), რაშიპოშ (10).

**ჩიკაგო-ინდიანა 92:72**

**22:20, 20:23, 33:13, 17:16**

ჩ: დენგი (20+6 მოხსნა), როუზი (13+9 პასი), ლუკასი (13), ბრიუერი (12+7 მოხსნა), გიბსონი (10+9 მოხსნა), ნოა (9+17 მოხსნა).

ი: ჯორჯი (21), ჰილი (17), გრეინჯერი (11), უესტი (10+9 მოხსნა).

**მინესოტა-კლიპერსი 95:94**

**26:16, 19:28, 30:21, 20:29**

მ: ლავი (39+17 მოხსნა), უილიამსი (15+9 მოხსნა), მილიჩიჩი (13), რიდნური (12).

კ: გრიფინი (26+12 მოხსნა), უილიამსი (19), პოლი (18+5 პასი).

**დენვერი-საკრამენტო 119:116 (ო)**

**24:26, 29:27, 32:26, 23:29, 11:8**

დ: აფლალო (32), ფარიდი (20+12 მოხსნა), ლოუსონი (16+7 მოხსნა+13 პასი), ჰარინგტონი (14+9 მოხსნა).

ს: თორნტონი (27), ევანსი (27+5 მოხსნა), სალმონსი (14+5 პასი), ტომპსონი (13+8 მოხსნა), გარსია (11+7 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 40 | 32 | 8 | 80.0 |
| 2. მაიამი* | 37 | 28 | 9 | 75.7 |
| 3. ორლანდო | 39 | 25 | 14 | 64.1 |
| 4. ფილადელფია* | 39 | 22 | 17 | 56.4 |
| 5. ინდიანა | 36 | 23 | 13 | 63.9 |
| 6. ატლანტა | 37 | 22 | 15 | 59.5 |
| 7. ბოსტონი | 36 | 19 | 17 | 52.8 |
| 8. ნიუ იორკი | 37 | 18 | 19 | 48.6 |
| 9. მილუოკი | 38 | 15 | 23 | 39.5 |
| 10. კლივლენდი | 38 | 13 | 23 | 36.1 |
| 11. ტორონტო | 38 | 12 | 26 | 31.6 |
| 12. დეტროიტი | 38 | 12 | 26 | 31.6 |
| 13. ნიუ ჯერსი | 38 | 12 | 26 | 31.6 |
| 14. ვაშინგტონი | 37 | 8 | 29 | 21.6 |
| 15. შარლოტი | 35 | 4 | 31 | 11.4 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 38 | 30 | 8 | 78.9 |
| 2. სან ანტონიო* | 37 | 25 | 12 | 67.6 |
| 3. ლეიკერსი* | 37 | 23 | 14 | 62.2 |
| 4. კლიპერსი | 36 | 22 | 14 | 61.1 |
| 5. მემფისი | 37 | 22 | 15 | 59.5 |
| 6. დალასი | 39 | 22 | 17 | 56.4 |
| 7. დენვერი | 39 | 22 | 17 | 56.4 |
| 8. ჰიუსტონი | 38 | 21 | 17 | 55.3 |
| 9. მინესოტა | 39 | 20 | 19 | 51.3 |
| 10. პორტლენდი | 38 | 19 | 19 | 50.0 |
| 11. იუტა | 37 | 18 | 19 | 48.6 |
| 12. ფინიქსი | 37 | 17 | 20 | 45.9 |
| 13. გ. სტეიტი | 35 | 15 | 20 | 42.9 |
| 14. საკრამენტო | 38 | 12 | 26 | 31.6 |
| 15. ნიუ ორლეანი | 38 | 9 | 29 | 23.7 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ქულა**

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.9 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.8 |
| კევინ ლავი (მინ) | 25.4 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 23.7 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 22.9 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 22.6 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 22.2 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.6 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 21.2 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.9 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.7 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 12.9 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.4 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 11.1 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.6 |
| მარსინ გორტატი (ფინ) | 10.6 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 10.4 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.4 |
| გრეგ მონრო (დეტ) | 10.1 |

**პასი**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 10.9 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 10.2 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.6 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.3 |
| კრის პოლი (კლიპ) | 8.3 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 8.2 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.9 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 7.8 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 7.7 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 7.3 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| მაიკ კონლი (მემ) | 2.6 |
| რიკი რუბიო (მინ) | 2.3 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.2 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.9 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 1.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.7 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 1.7 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.2 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.6 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 2.5 |
| მარკ გასოლი (მემ) | 2.2 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.2 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.1 |
| სამუელ დალემბერი (ჰიუ) | 2.0 |



დურანტი, იბაკა და უესტბრუკი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია